ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 25 მარტი, 2013 №70 (6071) ფასი: 30 თეთრი

15 მარტიდან!
„ახალი თაობა“+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




## ეკა ბესელია: „საქართველოში ბავშვების 12% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს“ გვ.2



## ალეკო შალამბერიძე: „სამართლიანობას თუ ხელისუფლება არ აღადგენს, ამას გააკეთებს ხალხი“ გვ.3



## აკაკი ასათიანი: „ქართულმა ოცნებამ ბაქიბუქს თავი დაანებოს და საქმე აკეთოს!“ გვ.5

## 1 წლის გოგიტა აბაშიძის სიკვდილში მთელი საქართველო დამნაშავეა გვ.7

## გოგი ხუციშვილი: „ნაციონალები სააკაშვილს უნდა გაემიჯნონ“ გვ.4





## ხათუნა ლაგაზიძე: „საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნა ნაციონალებისთვის იქნებოდა ცუდი“ გვ.4



## მამუკა გიორგაძე: „საპარლამენტო უმრავლესობა ფუჭე ლიდერებით არის სავსე“ გვ.6



## ძლიერმა ქარმა თბილისის იუსტიციის სახლის სახურავი დააზიანა

აჭარის გარდა, ძლიერმა ქარმა საქართველოს დედაქალაქიც დააზარალა. ავლაბარში, წითელწყაროსა და ვახტანგ მეექვსის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლებს ქარმა სახურავები ახადა. დაზიანდა ერთ-ერთი 9-სართულიანი კორპუსისა და თბილისის იუსტიციის სახლის სახურავიც. თბილისის საგანგებო სამსახურში აცხადებენ, რომ დღის განმავლობაში 60-მდე გამოძახება დაფიქსირდა. აღნიშნული უწყება საგანგებო რეჟიმში მუშაობს და გაწმენდით სამუშაობს აწარმოებს.

მედიანიუსი

13 მარტიდან!
„ახალი თაობა“
+
შექსპირი
8 ლარი




ISSN 1987-9385

**2** პრეზიდენტმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დანიშნა

**5** საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით საქართველომ 128-ე ადგილი დაიკავა

**2** 25 მარტი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა

**5** ქართული მხარე აფხაზეთიდან მომავალი გემის ფოთში დაკავებას უარყოფს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ეკა ბესელია: „საქართველოში ბავშვების 12% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს“

შორენა მარსაგიშვილი



ერთი წლის გოგიტა აბაშიძის ტრაგიკულმა ისტორიამ მთელი ქვეყანა შოკში ჩააგდო. ერთი შეხედვით დაუჯერებელია, რომ 21-ე საუკუნეში ბავშვი შიმშილით დაიღუპა. თანაც იმ ქვეყანაში, რომელსაც ნატოზე და ევროკავშირზე აქვს პრეტენზია. ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში ასეთ ტრაგედიას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვებოდა. საქართველოშიც გააპროტესტეს ეს ამბავი. ამ ტრაგედიამ საქართველოში ყველა შეძრა. იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი რამე ჩვენს ქვეყანაში აღარ მოხდება.

ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით საქართველოში თითქმის ყველამ გააკეთა კომენტარი. თავს ყველა დამნაშავედ მიიჩნევს. დანაშაულის გრძნობა აქვს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ეკა ბესელიასაც. მან გუშინ საგანგებო განცხადება გაავრცელა. „ახალი თაობა“ ამ წერილს უცვლელად გთავაზობთ.

– ძალიან მტკივნეულია ხელვაჩაურის რაიონში მცხოვრები მცირეწლოვანის, გოგიტა აბაშიძის ტრაგედია. ეს საზოგადო ტკივილია და წუხილი. ღრმა მწუხარებას ვუცხადებ გარდაცვლილი ბავშვის ოჯახს. ფაქტის პოლიტიზირების გარეშე ვაცხადებ, რომ შეუძლებელია, ვინმე გულგრილი დარჩენილიყო მომხდარის გამო, მაგრამ ობიექტური გამოძიების ჩატარება აუცილებელია. დარწმუნებული ვარ , დაუყოვნებლივ და სათანადოდ წარიმართება გამოძიება და სიღრმისეულად გაანალიზდება, რამდენად შეიძლებოდა აღნიშნული მოვლენის თავიდან აცილება.

2008, 2009, 2012 წლებში გამოქვეყნდა გაერო-ს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევები, რომელშიც მითითებული იყო, რომ საქართველოში ბავშვების 12% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. გასულ წლებში საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში აისახა სიღარიბის დამანგრეველი და შეუქცევადი ეფექტი საქართველოში მცხოვრებ ბავშვებზე და გაიცა რეკომენდაცია სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური ზომების გატარებისთვის, ამ პრობლემის გადასაჭრელად. ჯერ კიდევ 2008 წელს, გაერო-ს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა გამოხატა შეშფოთება ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული სიღარიბისა და სიდუხჭირის გამო. კომიტეტმა მოუწოდა მონაწილე სახელმწიფოს, სიღარიბის დაძლევის სტრატეგიაში ცალკე თავი გამოეყო ბავშვებისათვის და პრიორიტეტი მიენიჭებინა მათი საჭიროებებისათვის. წინა ხელისუფლების ასეთი მძიმე მემკვიდრეობის ფონზე, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჩვენ დავიწყეთ გაერო-ს ბავშვთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციების შესწავლა. მე, როგორც ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, მიმაჩნია, რომ საჭიროა სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირება, რაც ბავშვთა საჭიროებებს პირველ რიგში გაითვალისწინებს . ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი მუშაობს ბავშვზე ზრუნვის უწყვეტი სისტემის შემუშავებაზე, რომელშიც ყველა რგოლი, სხვა რგოლთან კოორდინირებულად განახორციელებს ადეკვატური მომსახურების მიწოდებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. იმედი მაქვს, პატარა გოგიტას უკიდურესად სამწუხარო ისტორია აღარ განმეორდება, რადგან საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დავამკვიდრებთ ბავშვთა უფლებების დაცვის პროაქტიულ მიდგომას, როდესაც თითოეული მოქალაქე და, განსაკუთრებით, სახელმწიფო თვალს არ დახუჭავს ბავშვთა წინაშე არსებული დარღვევის მიმართ, – ნათქვამია ეკა ბესელიას განცხადებაში.

გოგიტა აბაშიძის ტრაგიკულ ისტორიას საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილიც გამოეხმაურა. თავის განცხადებაში, ბესელიას მსგავსად გაეროს დასკვნაზე საუბრობს. სადაც წერია, რომ საქართველოში ბავშვების 12% უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს.

უჩა ნანუაშვილი იმედოვნებს, რომ პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ განხორციელდება დაუყოვნებელი და სიღრმისეული მოკვლევა, თუ რამდენად შეიძლებოდა აღნიშნული მოვლენის თავიდან აცილება ადეკვატური მომსახურებებისა და ბავშვზე ზრუნვის მექანიზმების არსებობის შემთხვევაში.

– ძალიან მნიშვნელოვანია, აღნიშნული შემთხვევა არ განვიხილოთ მხოლოდ ერთი ოჯახის ტრაგედიად და გავაანალიზოთ თუ რამდენად სისტემურია ეს პრობლემა და რამდენად ადეკვატურია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები ამ კუთხით. ჯერ კიდევ 2008 წელს, ხოლო შემდგომში 2009, 2012 წლებში გამოქვეყნდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევები, სადაც მითითებული იყო, რომ საქართველოში ბავშვების 12 პროცენტი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ დღის განმავლობაში თითოეული მათგანი მოიხმარს მხოლოდ 2 ლარს, ხოლო 30 პროცენტი კი– ფარდობითი სიღარიბეში. ამავე კვლევების თანახმად, შესწავლილი ოჯახების 10 პროცენტი აცხადებდა, რომ მათ მიერ საკვების მომხმარება, იმდენად შეზღუდული იყო, რომ აღნიშნული გამო საფრთხეში იყო მათი ჯანმრთელობა.

გასულ წლებში, საქართველოს სახალხო დამცველის, საპარლამენტო და სპეციალურ ანგარიშებში არაერთხელ აისახა სიღარიბის დამანგრეველი და შეუქცევადი ეფექტი საქართველოში მცხოვრებ ბავშვებზე და გაიცა რეკომენდაცია სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური ზომების გატარებისთვის, ამ პრობლემის გადასაჭრელად“, – ნათქვამია სახალხო დმაცველის განცხადებაში და აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ 2008 წელს, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის მიერ საქართველში არსებული სიტუაცია ბავშვთა სიღარიბის კუთხით შეფასდა, როგორც არასახარბიელო. კომიტეტმა გამოხატა შეშფოთება ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული სიღარიბისა და სიდუხჭირის გამო და, აღნიშნა, რომ ბევრი ბავშვის ცხოვრების დონე ძალზე დაბალია, რაც აისახება ისეთ ინდიკატორებში, როგორიც არის საცხოვრებლის, წყლისა და სანიტარული პირობების მისაწვდომობა. კომიტეტმა მოუწოდა მონაწილე სახელმწიფოს, სიღარიბის დაძლევის სტრატეგიაში ცალკე თავი გამოეყო ბავშვებისათვის და პრიორიტეტი მიანიჭებინა მათი საჭიროებებისათვის. დღევანდელი მდგომარეობა ცხადყოფს, რომ გათვალისწინებული არ იქნა გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის, საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების შედეგები და სახალხო დამცველის რეკომენდაციები. მნიშნელოვანია, რომ დღეს მომხდარმა ტრაგიკულმა ფაქტმა სახელმწიფო სტრუქტურებს უფრო თვალსაჩინოდ დაანახოს სოციალური დაცვის სისტემის იმგვარად რეფორმირების აუცილებლობა, რომელიც გაითვალისწინებს როგორც ბავშვთა, ისე ყველა სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს. აუცილებელია დამკვიდრდეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მტკიცებულებაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკის შემუშავების პრაქტიკა, რომელიც დაეყრდნობა კვლევის და მონიტორინგის შედეგებს და ძირითად ვექტორად აქცევს არა რესურსებზე დაფუძნებულ, არამედ საჭიროებებიდან გამომდინარე მიდგომას, ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. შეიმუშავებს ბავშვზე ზრუნვის უწყვეტ სისტემას, სადაც ყველა რგოლი, სხვა რგოლთან კოორდინირებულად განახორციელებს ადეკვატური მომსახურების მიწოდებას საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში. თითოეული საჯარო მოხელე გააცნობიერებს იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რაც მას ეკისრება კანონის შესაბამისად და გულისხმიერად მოეკიდება ნებისმიერი მოქალაქის დახმარების თხოვნას, – ვკითხულობთ უჩა ნანუაშვილის განცხადებაში.

მისი თქმით, ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოში, ისევე როგორც ბევრ ქვეყანაში, ხშირად კონკრეტული ადამიანის ტრაგედია ხდება საზოგადოების გამოფხიზლების საფუძველი სხვადასხვა უკანონობის თუ სოციალური სამართლიანობის დარღვევის მდგომარეობიდან. აღნიშნულის პრევენცია შესაძლებელია განვითარებული და მობილიზებული სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობით, რომლისთვისაც მეზობლის, თანასოფლელისა თუ თანაქალაქელის უფლების დარღვევა მისაღები ფაქტი არ არის და დარღვევისთანავე იწყებს მოქმედებას მის აღმოსაფხვრელად.

# დავით დარჩიაშვილი: „საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების პროცესში, შესაძლოა, პრობლემები შეექმნას“



საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის, დავით დარჩიაშვილის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო უმრავლესობა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს სრულად არ გაითვალისწინებს, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმების პროცესში შესაძლოა პრობლემები შეექმნას.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით „ევროპის სახალხო პარტია“ საკუთარ განცხადებაში ვენეციის კომისიის დასკვნას ეყრდნობა, რომ არ შეიძლება ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანლობასთან ერთად სასამართლოს ხელმძღვანელობაც იცვლებოდეს.

დარჩიაშვილის განმარტებით, თუ გადაწყვეტილია, რომ სამომავლოდ სასამართლოს ხელმძღვანელობის ნაწილი პარლამენტიდან განსხვავებული წესით აირჩეს, ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა მოხდეს ოპოზიციური აზრის გათვალისწინება და ოპოზიციას მიეცეს კენჭისყრის დროს მნიშვნელოვანი როლის თამაშის შესაძლებლობა.

მედიანიუსი

# პრეზიდენტმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომა დანიშნა



პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე განკარგულება გამოსცა. შესაბამისი დოკუმენტი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა.

პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 2013 წლის 25 მარტს, 14:00 საათზე დაიწყება. პრეზიდენტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგსაც აქვეყნებს, რომელიც 49 განსახილველი სკაითხისაგან შედგება და რომელშიც პრეზიდენტის უფლებამოსილების განმსაზღვრელი საკონსტიტუციო ცვლილებების მესამე მოსმენაც შედის. დღის წესრიგში ვერ მოხვდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის სადავო კანონპროექტი, რომელსაც ორი საკანონმდებლო მოსმენა უკვე გავლილი აქვს და საბოლოო დამტკიცებამდე მხოლოდ მესამე მოსმენალა რჩება.

პრეზიდენტს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწ ვევის უფლებას კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი ანიჭებს.

მედიანიუსი

# 25 მარტი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა

დღეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სამების საპატრიარქო ტაძარში ხვალ 12.00 საათზე პარაკლისს აღავლენს.

ამასთან, დღეიდან სამებაში პარაკლისების ჩატარება კვლავ დაიწყება და ყოველდღიურად აღევლინება.

ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია 1811 წელს დაკარგა, როდესაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოში საპატრიარქო ტახტი და დანიშნა ეგზარქოსი. 1917 წლის 25 მარტს კი ქართულმა ეკლესიამ ქართული ავტოკეფალია აღიდგინა.

მედიანიუსი

# გორში სტალინის ვაგონს ხუთსართულიანი კორპუსის სახურავი დაეცა

გორში, სტალინის სახელ-მუზეუმში განთავსებულ მატარებლის ვაგონს, რომელიც იოსებ ჯუღაშვილის პირად სამგზავრო საშუალებას წარმოადგენდა, ხუთსართულიანი კორპუსის სახურავი დაეცა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ინციდენტის დროს სახლ-მუზეუმში და უშუალოდ ვაგონშიც ტურისტები იმყოფებოდნენ. სახურავის ნაწილი, რომელიც სტალინის ვაგონს დაეცა, ქარმა იქვე მდებარე ერთ-ერთ ხუთსართულიან კორპუსს გადახადა. შეგახსენებთ, რომ ძლიერმა ქარმა გორში დღეს რამდენიმე საცხოვრებელ კორპუსს სახურავი გადახადა. არიან დაშავებულებიც. ერთ-ერთი მოხდილი სახურავი შინდისის გზატკეცილზე მოძრავ ავტომობილს დაეცა. მძღოლი თავის ქალას დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მედიანიუსი

# რუსეთი, საქართველო და სომხეთი საზღვარგარეთ თავშესაფრის მაძიებელთა შორის ლიდერობენ

რუსეთი, საქართველო და სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ევროპაში თავშესაფრის მაძიებელთა სიმრავლით ლიდერობენ.

2012 წელს ევროპაში თავშესაფარი საქართველოს 10 611-მა მოქალაქემ ითხოვა. ამის შესახებ გაეროს ლტოლვილთა საკითხებში უმაღლესი კომისრის ანგარიშში არის ნათქვამი. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან თავშესაფრის მოთხოვნით შემდეგი რაოდენობის განაცხადებები დაიწერა: რუსეთი -– 20 522 განცხადება (მე-4 ადგილი); საქართველო -– 10 611 განცხადება (მე-10 ადგილი), სომხეთი -– 4 450 განცხადება (22-ე ადგილი) და აზერბაიჯანი -– 2 015 განცხადება (34-ე ადგილი).

საერთაშორისო დაცვის მსურველთა რიცხვში პირველ ადგილს ავღანეთი იკავებს. მასზე 36 600 განცხადება მოდის. მეორე ადგილზე სირიის მოქალაქეები არიან, რომლებიც ლტოლვილის სტატუსს განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებში ითხოვენ.

ჯამში 2012 წელს ევროპის 38 ქვეყანას თავშესაფრის მოთხოვნით 355 500-მა ადამიანმა მიმართა. ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთათვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყნები გასულ წელს გერმანია, საფრანგეთი და შვედეთი იყვნენ. ყველაზე მეტი -– 83 400 განაცხადი კი აშშ-ზე მოდიოდა.

მედიანიუსი

# ქარიშხალმა ქობულეთი გაზის გარეშე დატოვა

ძლიერი ქარიშხლის შედეგად ქობულეთის მუნიციპალიტეტი ბუნებრივი აირის გარეშეა დარჩენილი.

როგორც ,,მედიანიუსს“ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აცნობეს, დაზიანებულია ცენტრალური მილსადენი, რომლის შეკეთებაც გამოდარების შემდეგ დაიწყება. ამ დროისათვის კი ქობულეთში კვლავ წვიმს.

შტორმის შედეგად დატბორილია აღმაშენებლის ქუჩა და რაონული საავადმყოფოს ეზო. წვიმის გამო კი ამოტვუმბვითი სამუშაოები ვერ ხორციელდება.

სინოპტიკოსები დასავლეთ საქართველოში გამოდარებას ხვალ დღის მეორე ნახევრისთვის პროგნოზირებენ. მედიანიუსი


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალეკო შალამბერიძე: „სამართლიანობას თუ ხელისუფლება არ აღადგენს, ამას გააკეთებს ხალხი“

## რიჩარდ ნორლანდის ნებართვის გარეშე დასაძინებლად ველარ წავსულვართ

შორენა მარსაგიშვილი

**სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში საგრძნობლად გაჭიანურდა. „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალეკო შალამბერიძე ამას სახიფათო ტენდენციად მიიჩნევს. ყოფილი დეპუტატი ახალ ხელისუფლებას სწორი ნაბიჯების გადადგმას ურჩევს. ამბობს, რომ ასეთი ნაბიჯებით მოხდება სააკაშვილის განეიტრალება. მას სწორ ნაბიჯად მიაჩნია დავით უსუფაშვილის გადაწყვეტილება. საუბარია სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარებაზე. ამის წყალობით საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცება მოხერხდა. რა სარგებლობას მოუტანს ეს ქვეყანას, რას უნდა დაუფიქრდეს ივანიშვილი, რას უნდა ველოდოთ სააკაშვილისგან და რა უნდა ვკითხოთ რიჩარდ ნორლანდს, ამის შესახებ ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

***— რას ფიქრობთ 21 მარტს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ნაციონალური მოძრაობაც და ქართული ოცნებაც იძახის, რომ გამარჯვება მათ დარჩათ. თქვენი აზრით, ვინ ვის გადაუგრიხა ხელი?***

— ვინ ვის გადაუგრიხა ხელები, ვერ გეტყვით. სამაგიეროდ პირდაპირ შემიძლია იმის თქმა, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში ბლომად არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც გადახურებული თავები აქვთ. ამ ადამიანებს, სამწუხაროდ, წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რას ნიშნავს საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა. სწორედ მათმა გამონათქვამებმა დაძაბეს სიტუაცია, რაც მთლიანობაში მოსახლეობისთვის აღმოჩნდა ცუდი. ბოლო 3 თვის მანძილზე მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებზე იყო საუბარი. მეოცნებეები იძახდნენ, ხმა მოგვეცით, ნაციონალები პასუხობდნენ, არ მოგცემთ. ამ ფონზე კი სოციალურმა პრობლემებმა უკანა პლანზე გადაიწია. არადა, საკითხი შეიძლებოდა უფრო მარტივად გადაწყვეტილიყო.

***— უფრო მარტივად როგორ?***

— საპარლამენტო უმრავლესობას უნდა გაერკვია, რა სურდა, კონსტიტუციის შეცვლა თუ სააკაშვილის ინტრიგის აყოლა.

***— რომელ ინტრიგას გულისხმობთ?***

— სარეიტინგო კენჭისყრას, რომლის გარეშეც ნაციონალები ცვლილებებს ხმას არ აძლევდნენ. ამ სარეიტინგოზე მეოცნებეებს არაჯანსაღი რეაქცია ჰქონდათ. საბედნიეროდ, ბოლოს საღმა აზრმა გაიმარჯვა, რასაც მხოლოდ ერთ კაცს უნდა ვუმადლოდეთ.

***— ის ერთი კაცი რომელია, ივანიშვილი?***

— ივანიშვილი არა. ის ერთი კაცი გახლავთ დავით უსუფაშვილი. ის ყველაზე უკეთ მიხვდა, რაშიც იყო საქმე და მიიღო სწორი გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უაზრო დაპირისპირება კიდევ კარგა ხანს გაგრძელდებოდა. მიმაჩნია, რომ ამ პროცესის დასრულება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ახლა ბურთი არის სააკაშვილის მოედანზე, რომლის ნამდვილ ბუნებასაც საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებისთანავე მივხვდით.

***— რას გულისხმობთ?***

— „იმედზე“ 22 მარტს მისი გამოსვლა იყო სრული კატასტროფა. ამ დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სააკაშვილის ერთადერთი მიზანი ქვეყანაში სიტუაციის არევაა. საბედნიეროდ, ეს პროცესი დასრულდა, სააკაშვილი ვეღარ აურევს. ახლა, მგონი, დადგა ის დრო, რომ სოციალური პრობლემებისთვისაც მოვიცალოთ. მოვაგვაროთ უმუშევრობის და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. მათი მოგვარება არის ძალიან მნიშვნელოვანი. ხალხი ამას დიდი ხანია, რაც ელოდება.

***— ზემოთ აღნიშნეთ, რომ სააკაშვილი სიტუაციას ვეღარ აურევსო. დარწმუნებული ხართ, რომ არაფერს მოიმოქმედებს?***

— იქ, სადაც სააკაშვილია, ვერაფერში ვერ იქნები დარწმუნებული. ამ ეტაპზე მისი განეიტრალება მოხერხდა. თუმცა ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საქართველოში დემოკრატია ჯერ კიდევ მყიფეა. ამის მიუხედავად, გვაქვს შანსი, რომ საქართველო დემოკრატიულ ქვეყნად გადაიქცეს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩვენთან პოლიტიკოსები არ კვდებიან. მე მხედველობაში პოლიტიკური სიკვდილი მაქვს, თორემ სიკვდილით ალექსანდრე მაკედონელიც კი მოკვდა.

***— და რატომ არ კვდებიან ჩვენთან პოლიტიკურად პოლიტიკოსები? რასაც ეგენი საშინელებებს აკეთებენ სხვა ქვეყანაში მათ მართლა მოკლავდნენ პოლიტიკურად.***

— საქმეც ისაა, რომ ჩვენთან პოლიტიკოსები ბევრ სისულელეს სჩადიან. ახალმოსულები თავიანთ წინამორბედებზე უარესებს აკეთებენ, რაც ძველებს პოლიტიკური სამარიდან წამოდგომის საშუალებას აძლევს. ამ ლოგიკით პოლიტიკური სამარიდან წამოდგომის ერთგვარი შანსი სააკაშვილსაც აქვს.

***— ის არც მიიჩნევს თავს პოლიტიკურ სამარეში. გვპირდება, რომ მას პოლიტიკური ველიდან ვერავინ გაიყვანს.***

— მაგაში ეჭვიც არ მეპარება, რომ პოლიტიკაში დასარჩენად ყველაფერს გააკეთებს. ამ მიზნის მისაღწევად არაფერს მოერიდება. ძველებურად ლაღი ველარ იქნება, მაგრამ გასაკეთებელს გააკეთებს. ბოლო პერიოდში მას უკვე ძალიან გაუჭირდა.

***— რაში გამოიხატება მისი გაჭირვება?***

— მის გამოსვლებში. ადრე არასდროს ამბობდა, რის გაკეთებას აპირებდა. ახლა კი გამოდის და პირდაპირ გაიძახის, რას გეგმავს.

***— ეს კარგია თუ ცუდი?***

— ვისთვის როგორ. თავად სააკაშვილისთვის ცუდია. მისი ოპონენტებისთვის კი კარგია. ასეთი განცხადებებით უფრო იოლი გახდება გონებაარეული პოლიტიკოსების დამარცხება სააკაშვილის თამადობით. თუ საპარლამენტო უმრავლესობა სწორ პოლიტიკას აწარმოებს, მისგან კიდევ ბევრ გულახდილ გამოსვლას მოვისმენთ, რაც მის დამარცხებაში დაეხმარება ქვეყანას. მაგრამ აქ სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც უნდა ვიაქტიუროთ.

***— რატომ არ აქტიურობთ, ვინმე გიშლით ხელს?***

— ჩვენი პარტია „თავისუფალი საქართველო“ შეძლებისდაგვარად აქტიურია. ჩვენ თითქმის ყველაფერს ვაკეთებთ, რაც პარლამენტს მიღმა დარჩენილმა პოლიტიკურმა ძალამ უნდა აკეთოს. ერთადერთი, რასაც არ ვაკეთებთ, ფეხბურთს არ ვთამაშობთ. თუ საჭირო გახდა ფეხბურთსაც ვითამაშებთ. 27 აპრილს ქვეყანაში ტარდება შუალედური არჩევნები. მიმაჩნია, რომ ქართულმა ოცნებამ ეს 3 ოლქი ოპოზოციურ ძალებს უნდა დაუთმოს. სირცხვილია, როცა საპარლამენტო ოპოზიცია მარტო ნაციონალურ მოძრაობას ჰქვია. მე ვეთანხმები იმ ხალხს, ვინც ამბობს, რომ დამნაშავეთა ჯგუფს ოპოზიციის მანტია არ უნდა ჰქონდეს მოსხმული. ისინი პოლიტიკური ველიდან უნდა განიდევნონ.

***— არჩევნებში გამარჯვებული ქართული ოცნება ასე არ ფიქრობს. რამდენიმე დღის წინ ბიძინა ივანიშვილმა სიამაყით აღნიშნა: ნაციონალებს პარაშუტები მივეცი და უფსკრულში გადაჩეხვას გადავარჩინეო.***

— ივანიშვილისთვის ხალხს ხმა იმიტომ არ მიუცია, არიქა, ნაციონალები გადაარჩინეო. და თუ ის მართლაც ამის გაკეთებას აპირებს ძალიან შემცდარა. დიდი შეცდომა იყო მისი ეს განცხადება. მან პარაშუტი ნაციონალებს 21 მარტს კი არ გადაუგდო, როცა სარეიტინგო კენჭისყრას დათანხმდნენ, არამედ იმ დღეს, როცა ეს განცხადება გააკეთა. ივანიშვილის ასეთი გამოსვლები მიხეილ სააკაშვილს აცოცხლებს. დღეს მათ შორის მიდის სერიოზული ბრძოლა. ამ ბრძოლაში პრემიერმა ასეთი შეცდომები არ უნდა დაუშვას. დღეს გაწონასწორებული და ჭკვიანი პოლიტიკა უნდა გატარდეს იმისთვის,



რომ სააკაშვილი მოვაცილოთ პოლიტიკას. მას საქართველოსთვის მხოლოდ ცუდის მოტანა შეუძლია.

***— სამართლიანობის აღდგენის პროცესზე რას ფიქრობთ. ამბობენ, რომ ამ პროცესმა ჩაილურის წყალი დალია. არადა, ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ დამნაშავეები დაისჯებოდნენ.***

— საქართველოში ადამიანები უკვე დიდი ხანია ელოდებიან სამართლიანობის აღდგენას. ამის შანსი გააჩინა პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლამ. ხალხმა სწორედ ამიტომ აირჩია ქართული ოცნება. ეს პროცესი აუცილებლად უნდა დაიწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ, თანაც ხალხს რასაც დაჰპირდი, ის უნდა შეასრულო. თუ არადა, ეს ხალხი შემოგიბრუნდება შენ. თუ ახალი ხელისუფლებიდან ვიღაცებს სურთ, რომ ხალხის ქონება გადაინაწილოს, არ გამოუვათ! მე იმედი მაქვს, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი გაგრძელდება. დამნაშავეების დაუსჯელობას სასამართლოებს აბრალებდნენ. გვეუბნებოდნენ, ჩვენ კი ვიჭერთ, მაგრამ სასამართლო ათავისუფლებსო. ახლა ხომ ცვლიან სასამართლოებთან დაკავშირებით კანონს. სამართლიანობა რომ აღდგეს, ამისთვის პროკურატურაში უფრო სერიოზული პირები უნდა მოვიდნენ.

***— თქვენ კბილაშვილი სერიოზულ ფიგურად არ მიგაჩნიათ?***

— კბილაშვილი არის ძალიან სერიოზული პიროვნება და მაღალი რანგის ადვოკატი. მე მას პიროვნულად დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ მთავარი პროკურორი უფრო სხვანაირი უნდა იყოს.

***— სხვანაირი როგორი, მრისხანე?***

— თუნდაც. მთავარ პროკურორს უფრო მეტი გამოცდილება უნდა ჰქონდეს, ვიდრე ეს კბილაშვილს აქვს. ასევე ბევრი ვინმე უნდა შეიცვალოს პროკურატურაში. ეს სტრუქტურა სააკაშვილის ხალხით არის სავსე. ეს ერთი უბედურება გახლავთ, მეორე უბედურება კი ისაა, რომ პროკურატურაში პროფესიონალები არ არიან. პროკურატურა ყოველთვის ითვლებოდა ელიტურ სტრუქტურად. სადაც საფეხურებრივი ზრდა მიმდინარეობდა წლების განმავლობაში. სააკაშვილის მიერ მოყვანილ ბიჭ-ბუჭებს რა უნდა მოსთხოვო. აქ სერიოზული ცვლილებები უნდა გატარდეს. ასევე არ უნდა შეგვეშინდეს, რას იტყვის დასავლეთი. ისინი დღეს ძალიან აქტიურად ერევიან ჩვენს საშინაო საქმეებში.

***— და სამართლიანობის აღდგენასაც ხელს უშლიან.***

— მართლა ხელს გვიშლიან სამართლიანობის აღდგენაში. სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ასეთი უხეში ჩარევა მოსაწონი ნამდვილად არ არის. ეს რომ ასეა, სააკაშვილის დამსახურებაა. მან მიაჩვია ეს ხალხი ასეთ ქმედებებს. ყველაფერს მათ უთანხმებდა და ასე ინარჩუნებდა სკამს. ამ მხრივ გამორჩეული როლი ამერიკას ეკავა. ამერიკას სურს, რომ დღეს საქართველოში ნორმალური ვითარება იყოს. ისინი მიეჩვივნენ, რომ ჩვენს საშინაო საქმეებში უნდა ჩაერიონ. ამიტომაც ერევიან. ისეთ დონეზე მივიდა საქმე, რომ დაძინებაზე ნებართვა აშშ-ს ელჩ რიჩარდ ნორლანდისგან უნდა ავიღოთ. ვიმეორებ, ეს არის სააკაშვილის ბრალი.

***— რატომ მარტო სააკაშვილის, ივანიშვილიც კარგად უგდებს ყურს აშშ-ს ელჩს.***

— იმედია, ივანიშვილი შეცვლის ამ ვითარებას. მისთვის მთავარი უნდა იყოს, რას იტყვის თავისი მოსახლეობა და არა დასავლეთი. ამერიკასთან მიდგომაც უნდა შევცვალოთ. ისინი იმიტომ გვკარნახობენ, რომ ჩვენ ვეკითხებით, რა გავაკეთოთ. უკვე დროა, ჩვენი პოლიტიკა თავად ჩვენ ვაკეთოთ. ეს, რა თქმა უნდა, დასავლეთთან უნდა შევათანხმოთ, მაგრამ გადაწყვეტილებები ჩვენ უნდა მივიღოთ.

***— მოდით, ისევ სამართლიანობის აღდგენის პროცესს დავუბრუნდეთ. დღევანდელი გადმოსახედიდან რას ფიქრობთ, შეჭამს თუ არა პურს სამართალი?***

— წესით, უნდა შეჭამოს. ქვეყანაში ბევრი უსამართლობაა დაგროვილი. თუ ხელისუფლება არ აღადგენს სამართალს, ამას გააკეთებს ხალხი, რაც გაცილებით მძიმე შედეგებით დასრულდება. სამართლიანობის აღდგენაში ხელს დასავლეთიც გვიშლის. მათ უნდა მივაწოდოთ სრული ინფორმაცია თუ რას სჩადიოდნენ ნაციონალები. ამის შემდეგ მათი პოზიციები შეიცვლება. დღეს ერთი ამბავია ატეხილი, რომ საქართველო შესაძლოა ევროკავშირის ასოცირებული წევრი გახდეს. სამწუხაროდ, არავინ არ სვამს კითხვას, რისთვის გვინდა ეს წევრობა. რაში გვჭირდება ეს წევრობა, ტერიტორიული მთლინობის აღსადგენად თუ მხოლოდ ასოცირებული წევრობისათვის? და ასოცირებული წევრობა რომ არ დავკარგოთ, ამისთვის თურმე რეგიონული ენების შესახებ ქარტიას უნდა მოვაწეროთ ხელი. სამწუხაროდ, საქართველოში პროქართული პოლიტიკა არ ტარდება, რაც იმას არ ნიშნავს, რომ აქ ვინმე პრორუსია. მერწმუნეთ, საქართველოში პრორუსული ძალებისთვის ადგილი არ არის. მე პარლამენტს მოვუწოდებ, თავი დაანებოს ამ რეგიონულ ენაზე საუბარს და იმ საქმეებს მიხედოს, რაც მართლა სჭირდება ქვეყანას.

***— მეოცნებეებმა გვამცნეს, პარლამენტი წელს ვერ დაბრუნდება თბილისშიო. ეს რას ნიშნავს, სააკაშვილის ნებას დაჰყვნენ თუ მართლა ვერ ესწრება შენობის რეაბილიტაცია?***

— ქუთაისში პარლამენტის ყოფნა არის სააკაშვილის ავადმყოფური ახირება. ის ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ თავისი გაიტანოს. არ დაგვავიწდეს ისიც, რომ მას დასავლეთში დიდი მხარდაჭერა აქვს. ის გახლავთ საერთაშორისო დონის ჩამშვები. როგორც კი აქ ვინმეს პროკურატურაში დაიბარებენ, ეგრევე რეკავს დასავლეთში, არიქა, გვიშველეთ მე და დემოკრატიასო. ისინიც დემოკრატიის ხათრით რეკავენ. ამ დროს არავინ არ შეშფოთებულა ბერლუსკონის და სარკოზის გამო. მათზე ხმას არავინ იღებს და ვილაცა უბედური ვანო მერაბიშვილის გამო ერთ ამბავს ტეხენ.

***— ისე, მაგ უბედურმა მერაბიშვილმა დაიბარა, ჩემს ძალას 19 აპრილს გაჩვენებთო.***

— ეს რა მითხარით? შემეშინდა, 19 აპრილს არაფერი არ მოხდება. ისე დაივიწყებს ხალხი მაგ დღეს, როგორც შარშანდელი თოვლი დაივიწყა. მაგ დღეს მხოლოდ ერთი რამ არის სახიფათო. ერთმანეთს არ დაერიონ და მერე ეს ხელისუფლებას არ დააბრალონ.

# ილია II: „ხატის საშუალებით თაყვანს ვცემთ თვით წმინდანს“

გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე პატრიარქმა მართლმადიდებლობის ზეიმის მნიშვნელობაზე იქადაგა.

როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინეთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II აღნიშნა, დღეს არის მართლმადიდებლობის ზეიმი და ეს დღე სხვა სულიერ დღესასწაულებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულია.

მისი განმარტებით, ეს დღესასწაული მეცხრე საუკუნეში დაწესდა, როდესაც მოწვეული იყო მეშვიდე მსოფლიო კრება და განიხილებოდა ხატების საკითხი.

უწმინდესის თქმით, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, რომ არ შეიძლებოდა ხატის თაყვანისცემა, რადგან ეს მიაჩნდათ კერპთაყვანისმცემლობად. პატრიარქის თქმით, ეს არ არის კერპთაყვანისმცელობა.

„ხატი არის სარკმელი ზეცის. ის მოგვაგონებს ამა თუ იმ წმინდანს. ის არის პირვანდელი სახე. ამ ხატის საშუალებით თაყვანს ვცემთ თვით წმინდანს. მის პირველ სახეს“, — ბრძანა უწმინდესმა და იმედი გამოთქვა, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატი დაბრუნდება საქართველოში.



როგორც ილია II აღნიშნა, დღევანდელი დღე თვალსაჩინოა იმითაც, რომ ამ დღეს მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოს პირველმა და წმინდა სინოდმა დაამტკიცეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია.

„ღვთის წყალობა და მადლი განამტკიცებს ქართულ მართლმადიდებლობას. ჩვენ უნდა მადლობა შევწიროთ უფალს, რომ ვართ მართლმადიდებლები და უნდა გვესმოდეს რა არის მათლმადიდებლობა. ეს არის ის სარწმუნოება, ის საღვთო წერილი, რომელსაც აღიარებდა მთელი მსოფლიო, როდესაც არ იყვნენ არც კათოლიკეები, არც პროტესტანტები, არც სხვები, როდესაც იყო ერთი სამოციქულო ეკლესია. სწორედ იმას ვცემთ ჩვენ თაყვანს“, — ბრძანა უწმინდესმა და აღნიშნა, რომ ევროპაში, ამერიკაში და სხვა კონტინენტებზე მრავალი გადმოდის მართლმადიდებლურ რწმენაზე და იქმნება ეპარქიები.

ქადაგების დასრულების შემდეგ პატრიარქმა მიულოცა ერს დღევანდელი დღესასწაული, ხოლო უფალს დიდება შესწირა დიდი წყალობისათვის.

ქადაგების დასრულების შემდეგ ილია II რამდენიმე მღვდელმსახური დააჯილდოვა.

**მედიანიუსი**

# გოგი ხუციშვილი: „ნაციონალები სააკაშვილს უნდა გაემიჯნონ“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილთან



***— საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. როგორია თქვენი შეფასება? ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა უმრავლესობასაც და უმცირესობასაც მიულოცა და განაცხადა, რომ დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯია...***

— ბევრი მსჯელობა იყო, ეს საკონსტიტუციო ცვლილება რამდენად იყო აუცილებლად გასატანი? რამდენად იყო მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის? მე ვთვლი, რომ ეს ცვლილება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო. ამის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. „ნაციონალური მოძრაობა“ ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტი არ აპირებს თავისი უფლებამოსილების გამოყენებას და რა საჭიროა ცვლილების მიღება. კონსტიტუციის ეს მუხლი იყო ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სუპერსაპრეზიდენტო მმართველობისა. სუპერსაპრეზიდენტო მოდელი ცხრა წლის განმავლობაში გვქონდა. ყველა შემთხვევაში ეს გამოსასწორებელი იყო, არა მხოლოდ სააკაშვილთან მიმართებით, გამოიყენებდა თუ არა ამ უფლებას, ზოგადად ეს ნორმა იყო შესაცვლელი, რადგან სრულიად ამოვარდნილია ყველა დემოკრატიული ნორმიდან. იყო კი საშიშროება, რომ პრეზიდენტს ძალისმიერი გადაწყვეტილებით დაეთხოვა ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და მთავრობა? თეორიულად ამის შესაძლებლობა არსებობდა, თუმცა, პრაქტიკულად, ნაკლები იყო ეს შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, ვიმეორებ ეს ცვლილება გასატანი იყო.

***— კენჭისყრის შედეგებზე რას იტყვით, მოელოდით ასეთ შედეგებს?***

— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბევრი კონსულტაციისა და თათბირის შემდეგ უმრავლესობას სარეიტინგო გამოკითხვა შესთავაზა. ეს კი სჭირდებოდათ იმისთვის, რათა დაეფიქსირებინათ, რომ გუნდური გადაწყვეტილება მიიღეს, რომელსაც რეალურად არ ეთანხმებიან. ჩემი აზრით, რეიტინგული გამოკითხვის გადაწყვეტილება უმცირესობამ მიხეილ სააკაშვილის პირადი ზეწოლის შედეგად მიიღო. დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდება, რომ ყველანაირად წინააღმდეგობა გაუწიოს „ქართულ ოცნებას“. შეთანხმება, რომელიც მოხდა და რომელსაც დადებითი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა, პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში გადააქცია ისტერიკად.

***— რატომ ჰქონდა ასეთი რეაქცია, რისი გამოვლენა იყო მისი მხრიდან?***

— ეს იყო მიხეილ სააკაშვილის ისტერიკული რეაქცია მთელ ამ პროცესზე, არაადეკვატური ხედვა მოვლენებისადმი. მაგალითად, მან თქვა: „ჩვენ ისევ ძლიერად გამოვჩნდით“. „ძლიერი გუნდი ვართ“, „არ დავნებდით“, „ვერ გაგვტეხეს“, „გაუძლით შანტაჟებსა და ხელების გადაგრეხას“, „ოჯახებზე ზეწოლას“. „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი რუსული ფულით არ იყიდება“. ეს მისი ფრაზებია, რომელიც კენჭისყრის დასრულებისთანავე თქვა. ეს არის ის შეფასებები, რასაც ამ ქვეყანაში სერიოზულად უკვე არავინ აღიქვამს, უკვე აღარც საზღვარგარეთ. ეს ნიშნავს, რომ პრეზიდენტის ფიგურის გარშემო სერიოზული კრიზისია. ამ ყველაფერზე „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან რეაქცია უნდა იყოს.

***— ბატონო გოგი, როგორი უნდა იყოს რეაქცია?***

— „ნაციონალური მოძრაობა“ სააკაშვილის გარეშე უნდა გამოვიდეს. ეს ახალი ეტაპის დასაწყისი უნდა იყოს. სააკაშვილმა თავისი განცხადებით, რომელიც ღია ეთერით გადაიცემოდა, საკუთარი თავის სრული დისკრედიტაცია მოახდინა. უმცირესობამ დისკრედიტებული ლიდერისგან დისტანცირება უნდა შეძლოს. დღეს მათ უუნარო ლიდერი ჰყავთ. დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ უფრო ძლიერად გამოიყურება, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი, ადრე კი პირიქით იყო. დღეს სააკაშვილი ამ გუნდს უფრო ასუსტებს, ვიდრე აძლიერებს. ამის გაცნობიერება უნდა მოახდინოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“. თუ გააგრძელებენ კვლავ ერთ ხმაში საუბარს, მაშინ არაფერი გამოუვათ, რადგან ყველა ხედავს, რომ პრეზიდენტის ხმა არაადეკვატურია, უსუსურია. ეს მათთვის დამღუპველი იქნება.

***— სააკაშვილმა განაცხადა, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პოლიტიკის ავანსცენიდან ვერ გამომიყვანენ, რისი სურვილიც აქვთო. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებას“ გულისხმობდა. გამოდის, პრეზიდენტი ძლიერი ოპოზიციის ლიდერობისთვის ემზადება. რას იტყვით?***

— ეს არის მისი ახირება, აკვიატება. ამ პიროვნებას ახასიათებს აკვიატებული იდეები, აკვიატებული აზროვნება. ოქტომბრამდე თავის პოზიციას ინარჩუნებს, მაგრამ, როგორც გუნდის ლიდერი — არა. ამ გუნდს მოქმედების ასპარეზს უკარგავს თავისი არაადეკვატური პოზიციით. ვინაიდან ამ გუნდს არ აქვს უნარი, სააკაშვილს გადაათქმევინოს აკვიატებული აზრი ან მათ ხედვასთან შესაბამისობაში მოიყვანონ, ერთადერთი გზა დარჩენიათ — სააკაშვილს გაემიჯნონ. სხვა ლიდერები უნდა წარმოჩნდნენ, რომლებიც სადავეებს საკუთარ ხელში აიღებენ. ამ ადამიანებმა უნდა თქვან, რომ ჩვენ ახლა რაციონალური აზროვნება გვინდა, რომ ახლა საღი პოზიციის დაფიქსირებაა საჭირო. მათ ღიად უნდა თქვან, რომ პრეზიდენტის პოზიციებთან შეუთავსებლობა აქვთ, რომ მის პოზიციას არ ეთანხმებიან. ეს არის მათი გადარჩენის ერთადერთი გზა.

***— ამ ფონზე 19 აპრილის აქციას რა დატვირთვა ექნება?***

— ეს აქცია მასობრივ აქციად იყო ჩაფიქრებული, რომელსაც პიარ-საშუალებებით უფრო მრავალრიცხოვნად და შინაარსიანად წარმოაჩენდნენ, ვიდრე ის რეალურად იქნებოდა. ჯერ 8 თებერვალი, მერე აგრარული უნივერსიტეტი (რომლის ირგვლივაც განვითარებულ მოვლენებს მეც ცალსახად აღვიქვამ, როგორც ორივე მხარის კრიზისს). ეს ყველაფერი, მათი აზრით, კარგი საწყისი და ფონი იქნებოდა აპრილის აქციისთვის, მაგრამ რეალურად ასე არ არის. თუ აქცია მრავალრიცხოვანი იქნებოდა და თუ რაღაც არეულობა მოხდებოდა, ეს შეიძლება გადაზრდილიყო სხვა რაღაცაში ანუ პრეზიდენტს ამით ესარგებლა, მისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა, კონსტიტუციური ძალაუფლება გამოეყენებინა. საკონსტიტუციო ცვლილებებით კი ეს საფრთხე განეიტრალდა. უნდა ვთქვა, ასეთი გადაწყვეტილება რომ მიეღო სააკაშვილს, ეს იქნებოდა მისი წინდაუხედავი, ბრმა გადაწყვეტილება, რასაც მას ხალხი არ აპატიებდა. ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა, მის ამ გადაწყვეტილებას დიდი პროტესტი მოჰყვებოდა და ძალიან დიდი მასები დაუპირისპირდებოდნენ.

# ხათუნა ლაგაზიძე: „საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნა ნაციონალებისთვის იქნებოდა ცუდი“

თამარ ნინიძე

**რატომ შეიძლება იქცეს სამომავლოდ სარეიტინგო კენჭისყრა თავის ტკივილად „ქართული ოცნებისთვის“, რას მიაღწია ამით ნაცმოძრაობამ და რა ახალი საფრთხის წინაშე დგას საქართველო, ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ პოლიტიკურ ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძეს ესაუბრა.**

***— თქვენი გამოხმაურება სარეიტინგო კენჭისყრის თაობაზე კრიტიკული იყო, აღნიშნეთ, რომ ეს საქართველოს გრძელვადიან პერსპექტივაში კარგ შედეგს არ მოუტანს. რას გულისხმობდით ამაში?***

— როგორც პარტიის, ასევე ფრაქციის დაშლისგან თავის დაზღვევა იყო ამ კენჭისყრის მიზანი. მათ სუსტი მხარდაჭერის პირობებში საკუთარ მხარდამჭერებს გაუგზავნეს შეტყობინება, რომ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ უმრავლესობის გადაწყვეტილებებზე, ასევე დასავლეთისთვის დაენახვებინათ, რომ ისინი ცოცხლობენ და არიან ის ძალა, რომელსაც შეუძლია ტონი მისცეს პროცესებს საკუთარ ქვეყანაში და არის ის ძალა, რომელზეც დასავლეთს შეუძლია ხელახლა დადოს ფსონი. ამ მიზნებს ერთობლიობაში ნაცმოძრაობამ ამ კენჭისყრით მიაღწია.

***— პროგნოზი უმადური საქმეა, მაგრამ მაინც რომ წარმოვიდგინოთ სურათი, უმრავლესობა არ დაეთანხმა სარეიტინგო კენჭისყრას, რას მივიღებდით შედეგად?***

— არც არაფერს საგანგაშოს. ნაკლებად უარესი იქნებოდა საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნა და, აი, რატომ, სააკაშვილი ვერ გაბედავდა პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნას და მთავრობის ერთპიროვნულად დანიშვნას, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მისი ამ ნაბიჯის წინააღმდეგი იქნებოდა. ამას მოჰყვებოდა ისეთი მძლავრი და მყისიერი პროტესტი, რომ სააკაშვილს ამ უფლების გამოყენებიდან რამდენიმე საათში მოუწევდა ქვეყნის დატოვება. მეორე მხრივ, მისი გუნდიც წინააღმდეგი იყო ამ ცვლილებების. დავით ბაქრაძემ განაცხადა კიდეც, თუკი პრეზიდენტი გამოიყენებს თავის საკონსტიტუციო უფლებას, ის თავის თავს მის გუნდში ვეღარ დაინახავს. დავით ბაქრაძე ცნობილია თავისი ლოიალობით სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მიმართ. თუკი ბაქრაძე ასე აფიქსირებდა ამ პოზიციას უნდა ვივარაუდოთ, რომ უმცირესობის დიდი ნაწილი იზიარებდა ამ პოზიციას. სააკაშვილს დაუპირისპირდებოდა როგორც საზოგადოება, ისე საკუთარი გუნდი. ამიტომ ის ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. ტაქტიკურად მოგებული დარჩებოდა ქართული ოცნება, იმიტომ რომ საკონსტიტუციო ცვლილებების შესაძლო ჩავარდნა საპროტესტო მუხტის გაძლიერების ფონზე ნაცმოძრაობის პოლიტიკურ მომავალზე სავალალოდ აისახებოდა. ამ თვალსაზრისით შეიძლება ეს თანხმობა სარეიტინგო კენჭისყრაზე სამომავლოდ მმართველი კოალიციისთვის თავის ტკივილად იქცეს.

***— ბაქრაძის განცხადებასთან ერთად, იქნება აკაკი ბობოხიძის გამოსვლაც შეაფასოთ. ბობოხიძე რომ ივანიშვილს აკრიტიკებს, ეს მოულოდნელი არ არის, მაგრამ მან სააკაშვილის ტელეგამოსვლაც გააკრიტიკა. ნაცმოძრაობა ხომ არ იშლება და ჩვენ ხომ არ გამოგვეპარა საზოგადოებისთვის ეს მეტად სასიხარულო ამბავი?***

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს განცხადებები რისი დასტურია, არ ვიცი, მაგრამ სიმპტომატურია, რომ ნაცმოძრაობის მიერ კონტროლირებად მედიაში ამ ბოლო დროს ხშირად ისმის, რომ ნაცმოძრაობაში არის რამდენიმე ინტერესთა ჯგუფი, რომლებიც მომავალს ერთმანეთის გარეშე ხედავენ. არ ვიცი, ეს პროცესი სააშკარაოზე როდის შეიძლება გამოვიდეს. სარეიტინგო კენჭისყრა შეიძლება ამ პროცესის შეკავებასაც ემსახურება. სააკაშვილს უდავოდ ეცოდინება, რა მოძრაობები და ინტერესებია ნაცმოძრაობაში, ვინ ვის ლობირებს პრეზიდენტის პოსტზე ამ ჯგუფებიდან. შეიძლება, მას უნდოდეს ამ ჯგუფების ინტერესების დაკმაყოფილება, მან კი არ დადოს ფსონი კონკრეტულ კანდიდატზე, არამედ საზოგადოებას შესთავაზოს ყველა ამ ჯგუფიდან შესაძლო კანდიდატი აირჩეს, მათ შორის ყველაზე კონკურენტუნარიანი, თუმცა, საპრეზიდენტო არჩევნებზე თუ ვსაუბრობთ, ამ არჩევნებზე ნაცმოძრაობის შანსი ნებისმიერ შემთხვევაში ნულოვანია. ერთადერთი შანსი მათ ჰქონდათ, თუ ქართულ პოლიტიკაში შემოვიდოდა ივანიშვილის წონის პოლიტიკური ფიგურა, მაგრამ ჯერ მსგავსი ვინმე ჰორიზონტზე არც იკვეთება და რომც იყოს რომელიმე ქართველი ბიზნესმენი, ის არ ისურვებდა გაკოტრებულ ნაცმოძრაობასთან ასოცირებას. ამიტომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ნაცმოძრაობის შანსებზე საუბარი უსაფუძვლოა. რაც შეეხება ქართულ ოცნებას, როცა საუბარია პრაიმერზე, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ნაცმოძრაობისთვის, მხოლოდ ის რომ დაბალანსდეს ეს ჯგუფები, პრაიმერი გაცილებით ეფექტური იქნებოდა მმართველი კოალიციისთვის, ეს იქნებოდა მისთვის ხმამაღალი განაცხადი. ბიძინა ივანიშვილი თუ დათანხმდება იმას, რომ



კოალიციამ საერთო სახალხო გამოკითხვით გამოავლინოს საპრეზიდენტო კანდიდატი, ეს იქნებოდა მრავალმხრივ დადებითი ნაბიჯი. ჯერ ერთი, ქართულ ოცნებას აქვს იმის ფუფუნება, რომ ჰყავდეს რამდენიმე თანაბარძალოვანი კანდიდატი, ზედაპირზე ჩანან ირაკლი ალასანია, თეა წულუკიანი, სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ქართული ოცნების წევრი არ არის, მაგრამ ძალიან აქტიურად ასოცირდება ამ ბოლო დროს მასთან, ხალხს მიანდონ არჩევანი მათ შორის. ეს იქნებოდა ქართული პოლიტიკური კულტურისთვის, პოლიტიკური ისტორიისთვის სრულიად უპრეცედენტო ნაბიჯი, როცა ხელისუფლება იმდენად ღიაა და იმდენად არ ეშინია საკუთარი მოსახლეობის, რომ მას ანდობს საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევას. ეს იქნებოდა მისი მხრიდან მოსახლეობის ნდობის უპრეცედენტო გამოხატულება და ასევე ეს შეუწყობდა ხელს პოლიტიკური კულტურის ამაღლებას. მე არ შემეშინდება ამ სიტყვის. რამდენად გაბედავს ქართული ოცნება ამას, ამის თქმა გამიჭირდება. ქართულ ოცნებაში სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო ზოგიერთი ფიგურით უკმაყოფილებაა, მზარდი რეიტინგის ეშინიათ თუ სხვა მიზეზის გამო, არ ვიცი, არ გამოვრიცხავ, რომ კოალიციამ თავი შეიკავოს პრაიმერის წესით კანდიდატის შერჩევისგან. თუმცა მაინც მიმაჩნია, რომ პრაიმერი დასავლეთისთვისაც იქნებოდა გზავნილი, ის იმდენად ღიაა ამ პროცესებისთვის, რომ ის საყვედურები, რაც ოცნებას აქამდე შეხვდა, უსაფუძვლოა. საპრეზიდენტო არჩევნებზე ისედაც ცნობილია, რომ გაიმარჯვებს ქართული ოცნება, მაგრამ პრაიმერი ამ პროცესს გაცილებით მეტ ექსპრესიას, მუხტსა და ინტერესს შესძენს.

***— ბოლო დროს ივანიშვილისგან სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ მან ურჩია, მან დაურეკა, მან დააწერინა წერილი უსუფაშვილს. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ განცხადებებს?***

— ეს ნიშნავს იმას, რომ ბოლომდე არ ესმით ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დარღვევის არსი, ცოტა უცნაურია, როცა აღმასრულებელი ხელისუფლება კარნახობს და თავს ახვევს საკანონმდებლო ხელისუფლებას გადაწყვეტილებებს. მით უფრო უცნაურია, როცა ამას აღმასრულებელი ხელისუფლება ღიად აცხადებს. საქმე გვაქვს სახელისუფლებო შტოებს შორის შეკავებისა და ბალანსის სისტემისა და პრინციპის დარღვევასთან, ვფიქრობ, რომ აქ ამის საფუძველი არის არა იმდენად სურვილი, არამედ თეორიული ბაზისის ნაკლებად ცნობა, იმედია, რომ ხვალ და ზეგ მსგავსი რამ არ გამეორდება. საინტერესოა, როგორ პოლიტიკურ ლანდშაფტზე ყალიბდება საქართველო. საინტერესოა უსუფაშვილისა და რესპუბლიკელების პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ პრემიერმა უკარნახა უსუფაშვილს ესა თუ ის გადაწყვეტილება, განსაკუთრებით სარეიტინგო კენჭისყრის დღეს, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა უსუფაშვილი, როგორც პოლიტიკური ფაქტორი. შეიძლება დაისვას კითხვა — პარლამენტის თავმჯდომარე თავისთავად პოლიტიკური ფაქტორია? მაგრამ დავით ბაქრაძე არანაირი ფაქტორი არ იყო, ის იყო პარლამენტის თავმჯდომარე მაგრამ იმდენად ნომინალური, რომ ის, როგორც პოლიტიკური ფაქტორ,ი არავისთვის ანგარიშგასაწევი ფიგურა არ იყო. უსუფაშვილი პოლიტიკური ფაქტორია, ამას განაპირობებს რამდენიმე პოზიცია, ის, რომ რესპუბლიკური პარტია ბოლოდროინდელი გადანაწილებების შედეგად მსუყედ არის წარმოდგენილი თვითმმართველობის ორგანოებში, მას აქვს მყარი პოზიციები პარლამენტში, ასევე მათ აქვთ უალტერნატივო საერთაშორისო კონტაქ-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

### ხელვაჩაურში ძლიერმა ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა

ძლიერმა ქარმა ხელვაჩაურის მუნიციპალუტეტის სოფლებში შუშანეთში, ჭარნალში და სამებაში საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა.

როგორც დაზარალებულები აცხადებენ, მათ მსგავსი სიმძლავრის ქარი არ ახსოვთ.

სამივე სოფელში შემთხვევის ადგილას სოფლის რწმუნებულები მივიდნენ და სიტუაციას ადგილზე გაეცნენ.

მათი განცხადებით, უკვე დადგენილია ზარალი და მონაცემები მუნიციპალიტეტების გამგეობებს გადასცეს. მოსახლეობას ხელისუფლების დახმარების იმედი აქვს.

### გორში ძლიერი ქარის გამო მამაკაცი დაშავდა

ძლიერმა ქარმა გორში რამდენიმე საცხოვრებელ კორპუსს სახურავი გადახადა. არიან დაშავებულებიც.

ერთ-ერთი მოხდილი სახურავი შინდისის გზატკეცილზე მოძრავ ავტომობილს დაეცა. მძღოლი თავის ქალას დაზიანებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მედიანიუსი

## მაია ფანჯიკიძე ოფიციალური ვიზიტით ნიდერლანდებში გაემგზავრა



გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი ნიდერლანდების სამეფოს ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში მინისტრი შეხვედრას გამართავს თავის ჰოლანდიელ კოლეგასთან, ფრანს ტიმერმანსთან; დაგეგმილია შეხვედრები ნიდერლანდების სამეფოს პარლამენტში, სენატის საგარეო, თავდაცვისა და განვითარების და ევროპულ საქმეთა კომიტეტების წარმომადგენლებთან. ასევე, წარმომადგენლობითი პალატის საგარეო, ევროპულ საქმეთა და თავდაცვის კომიტეტების წევრებთან.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე განხილული იქნება საკითხთა ფართო სპექტრი, ორ ქვეყანას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების აქტუალურ საკითხები.

მინისტრის ვიზიტის ფარგლებში შედგება საქართველოს საპატიო კონსულების დანიშვნის ოფიციალური ცერემონია.

საგარეო საქმეთა მინისტრი საჯარო ლექციას წაიკითხავს ლეიდენის უნივერსიტეტში, ასევე მონაწილეობას მიიღებს კლინგენდაელის უნივერსიტეტში დაგეგმილ დისკუსიაში საქართველოს შესახებ.

**მედიანიუსი**

## დავით კირვალიძე გერმანიაში საერთაშორისო გამოფენას დაესწრება



გერმანიაში, ქალაქ დუსელდორფში 24-26 მარტს ყოველწლიური ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების უმსხვილესი საერთაშორისო გამოფენა იმართება. გამოფენას სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრებიან, — აცნობეს „მედიანიუსს“ სამინისტროდან.

საქართველო აღნიშნულ გამოფენაში ყოველწლიურად მონაწილეობს. წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებლებთან ერთად,ქართულ პროდუქციას“ღვინის ეროვნულის სააგენტო“, „ქართული ღვინის ასოციაცია“ და 12 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია წარმოადგენს. ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იქნება ქართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიების ,,კახურის“, ,,ტიფლისის მარანის“, ,,ვაინ მენის“, ,,მეღვინეობა ხარების“, ,,თელავის ღვინის მარნის“, ,,თელიანი ველის“, ,,თბილღვინოს“, ,,კორპორაცია ქინძმარაულის“, ,,კორპორაცია ქართული ღვინის“, ,,კახური ტრადიციული მეღვინეობის“, ,,შუხმანის“ პროდუქცია.

**მედიანიუსი**

## საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით საქართველომ 128-ე ადგილი დაიკავა

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული ახალი ანგარიშში, საქართველოში საკუთრების უფლების დაცვის ხარისხი დაბალი მაჩვენებლითაა შეფასებული.

საქართველომ 7 შესაძლოდან მხოლოდ 3,1 ქულა მიიღო და ამ თვალსაზრისით შედგენილ 140-ქვეყნიან რეიტინგში 128 -ე ადგილი დაიკავა. საქართველოს მხოლოდ ისეთი ქვეყნები ჩამორჩნენ, როგორებიც რუსეთი, უკრაინა, ვენესუელა, ჰაიტი, ჩადი, მადაგასკარი, ზიმბაბვე, ალჟირი, ბურუნდი და ყირგიზეთი არიან.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის სპეციალისტების მტკიცებით, მსოფლიოში საკუთრების უფლება ყველაზე კარგად ფინეთშია დაცული, მეორე ადგილზე შვეიცარია გავიდა, ხოლო მესამეზე — სინგაპური.

რეიტინგი 2012 წლის მონაცემებს ეყრდნობა.

**მედიანიუსი**

## ქართული მხარე აფხაზეთიდან მომავალი გემის ფოთში დაკავებას უარყოფს

ქართული მხარე აფხაზეთიდან თურქეთის მიმართულებით მოძრავი ხომალდის ,,აიდარის“ ფოთში დაკავებას უარყოფს.

ქართული მხარის ინფორმაციით, გემმა გზის გაგრძელება შტორმის გამო ვერ შეძლო.

ქართული მხარის თქმით, მას შემდეგ, რაც ფოთის აკვატორიაში შტორმი დასრულდება, ხომალდს გრაფიკის შესაბამისად, გზის გაგრძდელება შეეძლება.

ქართველი სამართალდამცავების განცხადებით, ეკიპაჟის წევრები თავს კარგად გრძნობენ და ფოთში გადაადგილების საშუალება თავისუფლად აქვთ.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთიდან თურქეთის მიმართულებით მიმავალი ტვირთით დატვირთული ხომალდის ფოთში დაკავების შესახებ ინფორმაცია 21 მარტს გავრცელდა. არსებული ინფორმაციით, ეკიპაჟის წევრებს შორის რუსეთის, უკრაინის და აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან.

აღნიშნულ ფაქტს, აფხაზური მხარეც გამოეხმაურა. ქვეყნის დე-ფაქტო პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა საქართველო მეკობრეობაში დაადანაშაულა და ქართულ მხარეს მოუწოდა ეცნობებინათ მათთვის ეკიპაჟის წევრების მდგომარეობა.

**მედიანიუსი**

## 24 მარტს ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა

მსოფლიოში 24 მარტს ტუბერკულოზთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დაავადების შედეგად, ყოველწლიურად 3 მილიონამდე ადამიანი, მათ შორის, 100 000 ბავშვი იღუპება. ამასთან, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში ტუბერკულოზით დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 1 პროცენტი ინფიცირდება.

რაც შეეხება საქართველოს, 2008 წლის მონაცემებით, საქართველოში 5 836 შემთხვევაა რეგისტრირებული. ყოველ 100 000 მცხოვრებზე ტუბერკულოზის 132,7 შემთხვევაა, რომელთაგან 94,3 ახალია, 42.5 — ბაცილგამომყოფი.

ტუბერკულოზთან ბრძოლის დღე 1992 წლიდან ყოველწლიურად ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით მთელს მსოფლიოში აღინიშნება. ტუბერკულოზის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება თბილისშიც ჩატარდება.

**მედიანიუსი**

# აკაკი ასათიანი: „ქართულმა ოცნებამ ბაქიბუქს თავი დაანებოს და საქმე აკეთოს!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ტრადიციონალისტთა ლიდერ აკაკი ასათიანთან

*— ბატონო აკაკი, საკონსტიტუციო ცვლილებები კვლავ აქტუალურია. აზრი ორად არის გაყოფილი და მიდის მსჯელობა, უნდა დაეთმო თუ არა უმრავლესობას. როგორი იქნება თქვენი შეფასებები?*

— მე ვფიქრობ, უმრავლესობას მანამადე არ უნდა დაეწყო ბაქიბუქი. აი, ეს იყო არასწორი. მე არ ვიცი, საერთოდ რატომ ეშინოდათ. სააკაშვილი ამ უფლებას ვერ გამოიყენებდა, მაგრამ ხელისუფლებას უნდოდა, ის მინიმალური რისკიც მოეხსნა და ახლა რისკი მოხსნილია და ეს კარგია. ნაციონალური მოძრაობა რომ რაღაცას მაინც გამორჩებოდა აქედან, ეს ყველასთვის ნათელი იყო. მაგათთვის ხომ მთავარი პროპაგანდისტული ნაბიჯებია. მთავარი იყო, დაეჯერებინათ ხალხისთვის, რომ მათი მხარდაჭერის გარეშე არაფერი გამოვიდოდა. პროპაგანდისტული გამარჯვება ალბათ ნაცმოძრაობამ მოიპოვა, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა რატომ მიიყვანა საქმე აქამდე უმრავლესობამ, ეს მართლა ვერ გავიგე. თუ ასე აპირებდნენ, მაშინ ასეთი კატეგორიულობა რაღა შუაში იყო.

*— თავიდანვე უნდა დაეთმოთ?*

— თუ მაინც დათმობდნენ? რად უნდოდათ ასეთი განცხადებები, რომ ხმები მაინც გვაქვს, უკან არ დავიხევთ, თქვენ მხარდაჭერას არა აქვს მნიშვნელობა, მაინც გავიტანთ... რად უნდოდათ ამხელა ამბავი? ან ბოლო მომენტში რაღას თანხმდებოდნენ ამ რეიტინგულ კენჭისყრას, თავიდანვე შეიძლებოდა ამაზე თანხმობა ეთქვათ.

*— რაღაც შეიცვალა, იმ დროს შესვენება რომ გამოცხადდაო და თქვენი აზრით, რა მოხდა?*

— არ ვიცი. ალბათ, დარწმუნდნენ, რომ არ ჰყოფნიდათ ხმები და აღარ გარისკეს. ხომ იცოდნენ, რამდენი ხმაც ჰქონდათ, თუ არ იყვნენ დარწმუნებულები, რომ ნაციონალებიდანაც წამოვიდოდა ხმები, მაშინ რა თამაშს თამაშობდნენ. ბანქოს თამაშივით იყო, ბლეფზე თამაშობენ და ბოლოს კარტი რომ იხსნება... ჯანდაბას, რაც იყო, იყო, ალბათ, მაინც სწორი ქნა უსუფაშვილმა, მან ქნა თუ სხვამ, ალბათ ჯობდა, რომ არ ჩააგდეს საკითხი.

*— მაშინ თავიდანვე დათანხმებოდნენ სარეიტინგო კენჭისყრას...*

— მინიმუმ ეს ბაქიბუქი მაინც ნუ იქნებოდა, რომ აი, ჩვენ მაინც გავიტანთ, არ გვჭირდება თქვენი ხმები და ასე შემდეგ... რაღაც ცუდად გამოვიდა. ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ცუდად გამოჩნდა. ძალიან მაინტერესებს, ასეთი მნიშვნელოვანი რატომ იყო უმრავლესობისთვის, რომ საკითხი არ ჩავარდნილიყო. მე მგონი, მათ გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ ნაცმოძრაობის შესაძლებლობებზე. რა შესაძლებლობები აქვთ? მხარდაჭერა არ აქვთ, მინიმალურიც არ ჰქვია იმ მხარდაჭერას, რაც ამ ეტაპზე მათ გააჩნიათ. ამ სიტუაციაში ხომ ეს არის გადამწყვეტი ფაქტორი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ კენჭისყრის დღეს ამერიკის ელჩი ბრძანდებოდა პარლამენტში. მაინცდამაინც იმ დღეს მოინდომა ანგარიშის ჩაბარება. თუ უნახავს ვინმეს სადმე, რომ რომელიმე ქვეყნის ელჩს, განსაკუთრებით კი ამერიკის ელჩს, ანგარიში ებარებინოს პატარა ქვეყნის პარლამენტისთვის, თუ როგორ იმუშავა. ძალიან კომიკური საბაბი იყო.

*— საზოგადოებაში უკვე გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტი, რომ ძალიან ცუდად ერევა ყველა ნიუანსში ამერიკის ელჩი. რატომ უნდა აკეთებდეს კომენტარს ამერიკის ელჩი იმის თაობაზე, შეუჩერონ თუ არა ავტორიზაცია აგრარულ უნივერსიტეტს? ეს ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია?*

— ყველა მირბის მასთან და ერთმანეთს აბეზღებს, აი, ნახე, ის რა ცუდი ბიჭია, რა ცუდად იქცევა და ისინიც მონაწილეობენ ამაში. ისინი ექსპერიმენტს ატარებენ ამ ქვეყანაში და მათი აზრით, ექსპერიმენტი წარმატებით მიმდინარეობს. მოხდა გადატრიალება, მაშინ მათ საქართველოში ამხელა გავლენა არ ჰქონდათ და მაშინ მათ რუსებს ნებართვა მისცეს და გამსახურდია დაამხობინეს. მერე ეს ე.წ8 ვარდების რევოლუცია ხომ? მშვიდობიანად შეიცვალა ხელისუფლება, გამოსვლები, მღელვარება, მაგრამ მშვიდობიანად შეიცვალა და ეს უკვე პროგრესი იყო. ახლა აგერ არჩევნებით შეიცვალა ხელისუფლება და ორი პარტია თანაარსებობს. აღარ მინდა ამ იდიოტური



სიტყვის გამეორება, იმის არ იყოს, დაუჩემებიათ ნეპოტიზმიო და ნეპოტიზმი არის მექრთამეობა და რასაც ეგენი გულისხმობენ, ახლობლების დანიშვნას — იმიას ჰქვია პატენდალიზმი. აი, ამ დონეზე ვართ რა, ტერმინოლოგიური პრობლემებიც კი გვაქვს. ამერიკელები თვლიან, რომ წარმატებით გამოჰყავთ პლასტელინისაგან ის ფიგურები თუ ფორმები, როგორც მათ მიაჩნიათ საჭიროდ. ისინი თვლიან, რომ ამით გვაჩვევენ თანამშრომლობას, პოლიტიკურ ურთიერთობებს, მაგრამ ჩვენგანაც ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? ხომ არ შეიძლება ყველაფერზე ანგარიშს აბარებდე, ყველაფერზე რეაგირებას და კომენტარს სთხოვდე. ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული და ჩვენი პრობლემაა. რა თქმა უნდა, არის პრინციპული საკითხები, მართლაც სტრატეგიული მნიშვნელობის, რომლებიც უნდა შეუთანხმოს კაცმა ისეთ ქვეყანას, როგორიც შეერთებული შტატებია. რომც არ გინდოდეს, იძულებული ხარ.

*— მაგრამ აგრარული უნივერსიტეტის საკითხზე რომ გარბიხარ და კომენტარს ამერიკის ელჩს აკეთებინებ, ცოტა სასაცილოა, სატირალი თუ არა...*

— გეთანხმებით. არის ო, ჰენრის ასეთი მოთხრობა „მეფეები და კომბოსტო“, მართალია გამოგონილ რესპუბლიკაზეა, მაგრამ იქ ამერიკაც კი არ ერეოდა. იუნაითედ ფრუთ იყო ასეთი გაერთიანებული ხილის კომპანია, ბანანების რესპუბლიკას ეძახდნენ მათ, იმიტომ, რომ ბანანები გაჰქონდათ იქიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში. აი, იმ კომპანიის დონეზე წყდებოდა ქვეყანაში პრეზიდენტების ბედი და სამწუხაროდ, ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ დავემსგავსეთ ამას. ოღონდ ეს არ არის იმათი ბრალი, ვიმეორებ. ეს იგივეა, ყველაფერ ცუდს რუსებს რომ ვაბრალებთ, ჩვენთან თუ წყალი არ არის, ჩვენთან თუ უმუშევრობაა, ეს რუსეთის ბრალია. ეს გასაგებია, ამას მიმართავდა შევარდნაძის ხელისუფლებაც, მოქალაქეთა კავშირიც, ნაცმოძრაობა. კარგია, რომ ახალმა ხელისუფლებამ ეს მაინც შეწყვიტა, თორემ რუსეთთან დიდი სიამტკბილობა მაინც არ არის, მაგრამ ეს მაინც შეწყდა, რომ არ არის ეს სულელური რიტორიკა, შიდა პროპაგანდისთვის გათვლილი. ამ მეორე შემთხვევას რაც შეეხება, ბევრი არაფერი, ღირსეულად მოქცევაა საჭირო, თორემ აქაც არსებითი არაფერი მომხდარა.

*— მეტი პრინციპულობაა, ალბათ, საჭირო...*

— რა თქმა უნდა, პრინციპულობაც, თუ რამე სწორად მიგაჩნია, ამერიკელებს ის თვისება მაინც აქვთ, რომ იმათი დარწმუნება შეიძლება რაღაცაში. ისინი ამას გაითვალისწინებენ, ისინი ანგარიშს უწევენ რეალობას. ეს არჩევნებიც, თქვენ ხომ კარგად გესმით, რომ ამერიკაში არავის უნდოდა ნაცმოძრაობის დამარცხება. ვისაც ეს უნდოდა, იმას იქ ისეთი გავლენა არ ჰქონდა. თუმცა მივიდა საქმე აქამდე, დაინახეს, რომ ხალხში ასეთი განწყობაა და უკვე შეუძლებელია. ისინიც მიყჰვნენ ხალხის ნებას, მით უმეტეს, ორივე ძალა იმათ ეკითხებოდა ჭკუას. ახლა თვლიან, რომ ეს სიტუაცია უნდა გამოიყენონ ბოლომდე. მე ვთვლი, რომ არის საკითხები, რაც ქართულმა ოცნებამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს. ნაციონალები ახლა სულ მივლენ და დააბეზღებენ იქ ბიძინას, რომ მას არ უნდა ამერიკისკენ, უნდა რუსეთისკენ, მერე ესენი გამოცვივდებიან, არა, გვინდა, ამერიკა გვინდაო. ეს რა სამტკიცებელია, რა თავის სამართლებელია, სად არის რუსეთთან რამე?! რა ნაბიჯი? ბორჯომი და ღვინო, რომლებსაც თელავდა უბრალოდ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციასთან ვალდებულება აქვთ და იმას აკეთებენ, ჯერჯერობით კი არაფერი არ დაძრულა. არის ერთი ამბავი, კონსტიტუციაში უნდა შევიტანოთ, რომ კურსს არ შევიცვლითო. გამაგებინეთ ერთი, რომელ ქვეყანას უწერენ კონსტიტუციაში?! კონსტიტუციაში ერთადერთი ნეიტრალიტეტს თუ დაწერენ. კონსტიტუციაში ასეთი პუნქტი არ არის, არასოდეს არ იწერებოდა. ქვეყანაა და თავისი ინტერესები უნდა ჰქონდეს. აი, ასეთი კიდევ ერთი უსიამოვნო ნალექი დატოვა ამ ამბავმა, თორემ მეტი არაფერი.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია იმან, რომ ამერიკის ელჩი კენჭისყრამდე პარლამენტში იყო?*

— არ ვიცი... შეიძლება. კულუარებში ამაზე ჯერ არავისთან მისაუბრია. ვკითხავ ვინმეს, ბევრია იქ ჩემი ნაცნობი. შეიძლება ასე იყო, შეიძლება არ იყო. დღეს ამის მტკიცებას ვერ დავიწყებ. თუმცა ეჭვის საფუძველს იძლევა. ჩვენი ელჩები არ გამოდიან პარლამენტში მოხსენებით და რატომღაც ამერიკის ელჩი ჩავიდა... ცოტა არასერიოზული სახე ჰქონდა ამას. ცუდი კი არაფერი უქნია, დარწმუნებული ვარ, ის იქნებოდა კომპრომისის მომხრე. ცუდი კი არ არის კომპრომისი, ოღონდ მანამდე რა დიდი ჭკუა უნდოდა ამის მიხვედრას, რომ ამ რამდენიმე თვის მანძილზე ასეთი აჟიოტაჟი თვითონ ოცნებას არ აეტეხა ამის გარშემო. ამდენს თქვენც ატყობთ და ჩვენც ვიცით, რომ სააკაშვილი არის ექცენტრიული ადამიანი, მაგრამ სულელი ნამდვილად არ არის, რომ მთავრობა და პარლამენტი დაეთხოვა. ეს რომ გაეკეთებინა, ვინმეს წარმოუდგენია, აქ რა დატრიალდებოდა?! გამხეცდებოდა ეს ხალხი. ხალხში მაინც დარჩა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რევოლუცია ერჩივნა ხალხს... მე მიმაჩნია, რომ კარგია, ასე რომ მოხდა, მაგრამ დარჩა ხალხში ეს გრძნობა. უკმაყოფილებაა, რატომ ვერ იჭერენ, ან არ იჭერენ სუყველას. ნაცმოძრაობასავით ოცნებაც ხომ არ მოხვეტავს სუყველას და შეყრის ციხეში. ასე არ უნდა იყოს და ამაზე არავინ არ დავობს. თუმცა უფრო კვალიფიციურად შეიძლება ამის კეთება, ჯერ საქმე მომზადდეს კარგად და მერე, თუმცა ეს სულ სხვა საუბრის თემაა. დავუბრუნდები ისევ იმ თემას და რა აუცილებელი იყო ასეთი ამბის ატეხა? ჩვენ მაინც გავიტანთ ჩვენსას, ჩვენ საკმარისი ხმები გვაქვს, ბოლო დღეებში კიდევ უფრო პრინციპულად იდგნენ, არა გაიძახოდნენ და... თქვი, რომ კი ვფიქრობთ, არც ეს არის გამორიცხული, ამაზეც ვიფიქრებთ. ჯობდა თავიდანვე შეექმნათ ფონი, თუკი მაინც წავიდოდნენ ამაზე. ცუდად გამოვიდა...

*— გულგატეხილობას გამოიწვევს ეს საზოგადოებაშიო... ნაციონალები კი დადიან გაჯგიმულები, თითქოსდა ქვეყნის მხსნელები იყვნენ...*

— ამ ნაციონალებს რა ჯგიმავთ, ესეც არ ვიცი. გაჯგიმვის საფუძველი ნამდვილად არა აქვთ. მაგრამ ეგენი ხომ სულ ამაზე იყვნენ აწყობილები, იმიტომ წააგეს ეს არჩევნები. სულ ვირტუალურ სამყაროს ქმნიდნენ, ისე, როგორც რუსეთთან ომი მოვიგეთ... მათ გასაჯგიმად საქმე ნამდვილად არ აქვთ, მაგრამ ოცნების მიმართ მხარდაჭერა დიდია და ამას მოჰყვება გაწბილება, იმედგაცრუება. მაინც ჯანდაბას, არსებითად მოიხსნა საკითხი, თუ სადღაც ნული მთელი ერთი მეასედი პროცენტი მაინც არსებობდა, რომ სააკაშვილი ამას გამოიყენებდა, მორჩა, დამთავრდა, არავის სალაპარაკო აღარ ექნება. ნაციონალებმა დიდიდიდი ერთი კვირა იბაქიბუქონ, მერე ისინიც მიხვდებიან, რომ დიდი არაფერი მოუგიათ. ასევე ოცნებაც მიხვდება, რომ ამხელა ამბავი არ იყო ასატეხი. შეიძლება რამე ისეთ ინფორმაციას ფლობდნენ, რაც მე არ ვიცი, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ სააკაშვილი ამ ნაბიჯის გადადგმას ვერ გაბედავდა. ელემენტარული თვითგადარჩენის ინსტინქტის ლოგიკიდან გამომდინარე ამას არ გააკეთებდა და მე მჯერა, რომ ის ამას გულწრფელად ამბობდა, რომ არ გამოვიყენებო. თქვა კიდევაც, მაინც არ ვაპირებდი გამოყენებასო. დღეს ნაციონალები თვლიან, რომ ოცნებას სულ არაფერში გამორჩნენ პატარა წარმატებას მაინც. ჩვენ გარეშე კონსტიტუციური ცვლილებების გატარება არ შეიძლებოდა და ახლა ამას არიან ჩაბღაუჭებულები.

# მამუკა გიორგაძე: „საპარლამენტო უმრავლესობა ფუყე ლიდერებით არის სავსე“

## ვინ და რატომ წამოსწია რეგიონული ენის პრობლემა

შორენა კოწოწაშვილი

ეროვნული მოძრაობის წევრი მამუკა გიორგაძე ქვეყნისთვის დამღუპველს უწოდებს იმ ტენდენციას, რომელიც რესპუბლიკელების მხრიდან დადგა და ჯავახეთში სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადებას გულისხმობს. გიორგაძის თქმით, ეს იქნება სეპარატიზმის წახალისება და საქართველოში ფედერალური ტერიტორიული მოწყობის დამკვიდრებისკენ გადადგმული ნაბიჯი.

რა შეცდომებს უშვებენ „ქართული ოცნების“ უმწიფარი პოლიტიკოსები და რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „სახალხო პარტიის“ ლიდერი მამუკა გიორგაძესთან.




***— ბატონო მამუკა, მართლაც ნაცმოძრაობის პოლიტიკური რეანიმაცია მოხდა პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების ამ ფორმით კენჭისყრით?***

— როდესაც საკონსტიტუციო ცვლილებების თემა წამოიჭრა, ჩემთვის მისი აქტუალობა ცოტა გაუგებარი იყო, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სააკაშვილი არ გამოიყენებდა და კიდევ უფრო მეტი, ვერ გამოიყენებდა ამ უფლებებს, რადგან მოხდებოდა მისი საბოლოო განადგურება. მთავრობის დათხოვნას ავტომატურად მოჰყვებოდა პარლამენტის დათხოვნა და ახალ არჩევნებში ნაცმოძრაობას გაუჭირდებოდა ბარიერის გადალახვა. შეიძლება, სააკაშვილი გარეგნულად ექსცენტრულია და გაუწონასწორებელი ადამიანის თვისებებს ამჟღავნებს, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ ადეკვატურია; მისი მხრიდან დღეს პროცესის ასე რადიკალური ესკალაცია მის პოლიტიკურ განადგურებას გამოიწვევდა. ამიტომ ასეთ საფრთხეს ჩვენ არ ველოდებოდით. შეიძლება, ოცნებას სხვა ინფორმაციები ჰქონდა, მაგრამ გაუგებარია 3 თვის განმავლობაში ასე დასმა საკითხისა. რა თქმა უნდა, არსებობდა საფრთხე, რომ ეს გაეკეთებინა, როგორც გააკეთა 2007 წელს ან 26 მაისს, მაგრამ სააკაშვილმა იცის, რომ მაშინ სულ სხვა კალიბრის მოწინააღმდეგეები ჰყავდა, დღეს კი ივანიშვილის სახით სულ სხვა კალიბრია წარმოდგენილი; მეორე მხრივ, არც ვითარებაა ისეთი, რომ მან შეძლოს ასეთი მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. ამიტომ ჩვენ მისი მხრიდან მთავრობის დათხოვნას არ ველოდებოდით. უცნაური იყო ამ საკითხის ასე დრამატიზება. მაგრამ, რადგან დრამატიზება გაუკეთდა, რჩებოდა ის ვარიანტი, რომ ამით ნაცმოძრაობის საბოლოო განადგურებისკენ მიმართული ქმედებები განხორციელდებოდა და ნაციონალების პოლიტიკურ საფლავზე ლამაზად დაიდებოდა გვირგვინი.

***— ანუ ამ ეტაპზე შეცდომა იყო უმრავლესობის მხრიდან საკონსტიტუციო ცვლილებების შემოტანა?***

— საკონსტიტუციო ცვლილებების წამოწევით მიღებული პრაქტიკული შედეგი ნამდვილად ვერ ვნახეთ. ვერ ვნახეთ, რას ემსახურებოდა ამდენი ძალისხმევა. მაგრამ გამოჩნდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა პარლამენტში სხვისი ზურგით შესული, ხელოვნურად გაფუებული, ლამაზად შეფუთული ლიდერების არაქმედითი პოლიტიკური ლიდერების კრებულია და რომ ივანიშვილის რეიტინგს ამოფარებულებს, მხოლოდ ტელეკამერების წინ ხელოვნურად დაყენებული ხმით შეუძლიათ თავის მოწონება და ისეთ მარტივ ამოცანებსაც კი ვერ ჭრიან დამოუკიდებლად, როგორიც არის გვირგვინის დადება პოლიტიკური მოწინააღმდეგის წინასწარ ანონსირებულ საფლავზე. გამოჩნდა, რომ უმრავლესობაში არის უპასუხისმგებლო ხალხი. ასამდე დათვლა დეპუტატმა ხომ უნდა იცოდე და, თუკი იცოდი, რომ ასამდე დეპუტატი არ გყავდა, რატომ მიეცი სააკაშვილს იმის საშუალება, რომ კიდევ ერთხელ დაეცინა ქართველი ერისთვის?! გაბადრული სახით გამოსული სააკაშვილის ხილვა უმრავლესობას ძალიან სიამოვნებდა?! შესაძლებელი იყო ბოლო წუთამდე უფრო ღირსეულად და რაფინირებულად გამოსვლა ამ კონკრეტული მომენტიდან. ან თავიდანვე გაეკეთებინათ, ან დღის დასაწყისში და ეთქვათ, რა ვქნათ, ეს ნაციონალების ახირებააო. რა საჭირო იყო ივანიშვილის ამ საკითხში ჩართვა და თან ძალიან უხერხული კუთხით?! თავის თავზე უნდა აეღოთ ეს დეპუტატებს, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ესენი ფუყე ლიდერები არიან. სამწუხაროა, როდესაც ასეთ ელემენტარულ ამოცანას ვერ გადაჭრი იმ დიდი გამოწვევების ფონზე, რაც საქართველოს წინ ელოდება, ალბათ, ეს პარლამენტი სრული უუნარო იქნება. ამ პარლამენტის იმედი ნამდვილად არ უნდა გვქონდეს.

***— ზოგი ფიქრობს, რომ ამ საკონსტიტუციო შეთანხმებით სახელმწიფომ მოიგო.***

— რითი მოიგო სახელმწიფომ იმ არარსებული საფრთხის განეიტრალებით? თუ ჩვენ ასეთ ჰიპოტეტურ საფრთხეებზე გავამახვილებთ ყურადღებას, ამ კონსტიტუციაში ასეთი საფრთხე კიდევ ბევრი რჩება. სააკაშვილს, დღეს მოქმედი კონსტიტუციით, კიდევ მრავალი საფრთხე უპყრია ხელთ. ის ჯერაც შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია. შესაძლებელია სერიოზული პროვოცირების გაკეთება, რომელიც 48 საათის მერე უნდა ეცნობოს პარლამენტს. 48 საათი კი არა, 24 საათში წააგო სააკაშვილმა 8 აგვისტოს. მსგავსი ასანთებით დახუნძლულია საქართველოს კონსტიტუცია. მაშინ ყველა ასეთი შენელებული მოქმედების ნაღმი გავანეიტრალოთ დღესვე, რათა ის ხვალ არ მოიყენოს სააკაშვილმა. სააკაშვილს რჩება მრავალი მექანიზმი პარლამენტის და მთავრობის დათხოვნის, თუნდაც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით. მას ნამდვილად შეუძლია მოვლენების ესკალაცია.

***— რას დაარქმევდით ამას, ნაციონალებთან გარიგებას თუ ახალი ხელისუფლების სისუსტეს? ბევრი ამას რესპუბლიკელების ფაქტორით ხსნის, უმრავლესობაში პოლიტიკოსების სიმცირით.***

— აშკარაა, პარლამენტში არის დეფიციტი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებისა, ხოლო უმრავლესობაში საერთოდ არ ჩანს გამოკვეთილი პასუხისმგებლობის მქონე ლიდერი. მეტ-ნაკლებად ადეკვატურად ამ მიმართულებით უსუფაშვილი გამოიყურება. დამტკიცდა, რომ ნაცმოძრაობის პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელებას სწორედ „ქართული ოცნების“ ასეთი უნიათო ქმედებები უწყობს ხელს. ოცნებისთვის დღეს ძალიან კომფორტულია ხალხის თვალში ასეთ დისკრედიტებულ ძალასთან ოპონირება, მაგრამ, აი, ამ ცდუნებას — ვითარების გაიოლებას — საქართველოსთვის შედეგი არ მოჰყვება იმიტომ, რომ ხვალ-ზეგ, როდესაც გაცილებით სახელმწიფოებრივი საკითხები წამოვა წინა პლანზე, ეს პრობლემები შემდეგ იჩენს თავს. ოცნების ზოგიერთი წარმომადგენელი ისეთ განცხადებებს აკეთებს, თითქოს სხვა გალაქტიკიდან იყოს ჩამოსული. დამტკიცდა ის სიმართლე, რაც თქვა ბიძინა ივანიშვილმა, რომ პოლიტიკურად მომწიფებელი ხალხი ჰყავს პარლამენტში; იგივე უსუფაშვილის განცხადება ავიღოთ — სამი დეპუტატიც არ არის, რომელსაც შეუძლია საქმის კეთება და მსგავსი შეფასებები, რომელსაც ივანიშვილი თავის გუნდის შესახებ აკეთებს, ძალიან სამართლიანია. როცა პრემიერი ასეთ განცხადებას გააკეთებს, შესაბამისი ქმედებაც უნდა განახორციელოს. ჩვენი სატირალი ხომ არ არის, მას რომ გუნდში უმწიფარი პოლიტიკოსები ჰყავს? რომ მის გუნდში მხოლოდ იმით არიან დაკავებული, რომ როგორმე მას ასიამოვნონ. ეს პრობლემა მოსაგვარებელია.

***— და მოსაგვარებელია ვადამდელი არჩევნების გზით?***

— ეს უკვე მათ უნდა გადაწყვიტონ, როგორ მოაგვარებენ ამ პრობლემას; როგორ გახდიან პარლამენტს ქმედუნარიანად; როგორ მოხვდებიან პარლამენტში ის ადამიანები, რომლებიც არიან ჩართული პოლიტიკაში და დარწმუნებული არიან თავიანთ სწორ პოზიციაში. შეიძლება, ეს პოზიცია ვიღაცას არ მოსწონდეს, მაგრამ ხვალ, როდესაც ქვეყნის წინაშე დადგება პრინციპული გადაწყვეტილებების მიღების დრო, ეს პარლამენტი ვერ მიიღებს ამ გადაწყვეტილებებს. ეს უკვე ქვეყნის პრობლემა გახდება. სანამ ეს მხოლოდ უმრავლესობის პრობლემაა, ვითარების გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება, მაგრამ ხვალ, როცა ეს უკვე ქვეყნის პრობლემა გახდება, ამის გამოსწორება გართულდება. ამიტომ ივანიშვილი ან ახალი არჩევნებისკენ უნდა წავიდეს, ან მან უნდა გახსნას საჯარო სივრცე, სადაც სხვა პოლიტიკურ ჯგუფებსაც მიეცემათ აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ აღმოვჩნდებით მონოპოლიზებულ გარემოში, სადაც არშემდგარი ლიდერები, პრაქტიკულად, ვერ აგვარებენ პრობლემებს და მივიღებთ ძალიან მძიმე შედეგებს ჩვენი ქვეყნისათვის. ვფიქრობ, ივანიშვილი ვალდებულია, საჯარო სივრცე გახსნას, რადგან ამბობს, რომ ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს შექმნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური პროცესები კონკურენტულ გარემოში განვითარდეს. ჩვენ, პრაქტიკულად, ღიმილით ჩავატრეთ თემები, რომლებიც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, მათ შორის ბათუმში მეჩეთების მშენებლობა; ენების ქარტიის თემა; იგივე აფხაზეთის მხარედ აღიარება. თუნდაც ის, რომ დღეს საქართველოში არის ოფიციალური სტრუქტურა, რომელსაც ვინმე სანაკოევი ხელმძღვანელობს და ამას ჰქვია ცხინვალის დროებითი ადმინისტრაცია. მსგავსი თემებია დღეს სწორედ წინა პლანზე წამოსაწევი. ჩვენ კი ისეთ რამეზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომელიც არც ქვეყანას არგია და არც პარლამენტში წარმოდგენილ ჯგუფებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ცოტა უკეთ წარმოჩნდნენ საზოგადოების წინაშე. რეალურ თემებზე უნდა ვისაუბროთ და არა ვირტუალურზე. თუ ,,ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის დეპუტატებს ერთმანეთში გასაყოფი არ ჰქონდათ, როგორც დღეს გამოჩნდა, სამი თვის განმავლობაში ერთმანეთს კვერცხებს რაღას ესროდნენ და რატომ დგამდნენ ასეთ სპექტაკლებს? რადგან პრინციპულ საკითხებზე არ შეუძლიათ მსჯელობა და ამის უფლება არა აქვთ; არ აქვთ პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე და არიან ხელოვნურად გაფუებული ლიდერები და არა ბრძოლისუნარიანი პოლიტიკოსები, იმიტომაც ვიღებთ ამ სურათს.

***— დაბოლოს, როგორია თქვენი პოზიცია ბოლო დღეების ხმაურიან განცხადებებზე? პრეზიდენტის თქმით, ახალი ნაციონალური მოძრაობა დაიბადა, ახალქალაქის სომეხი მოსახლეობა კი სომხურის რეგიონულ ენად დაკანონებას ითხოვს.***

— აი, სწორედ ეს არის უბედურება. ყურადღებას არ ვამახვილებთ იმ გარემოებაზე, რომ ერთ-ერთი სახელისუფლებო პარტიის მეშვეობით წამოიწია ხელახლა ძალიან საშიშმა თემამ ქვეყნისათვის და ჩვენ ამაზე ვამბობთ, თითქოს ეს არაფერია. როგორ არ არის საშიში, როდესაც რესპუბლიკური პარტიის ახალქალაქის საკრებულოს ფრაქციამ წამოსწია ეს თემა. ე.ი. ხელისუფლების გარკვეული წარმომადგენლობა მხარს უჭერს ამ თემის წამოწევას და შემდგომ გარკვეულ ვითარებაში მის რეალიზებას ქართველი ხალხის უკითხავად; და მეორე მომენტი — ნაცმოძრაობის რეანიმირება თავიდან ბოლომდე ,ოცნების“ კისერზეა. ,,ოცნებამ“ უნდა გაგვცეს პასუხი, მის კომფორტულ ყოფას რატომ უნდა შეეწიროს ქართველი საზოგადოება. რატომ ხდება კოჰაბიტაცია მათგანვე დანაშაულებრივ ორგანიზაციად გამოცხადებულ ნაცმოძრაობასთან და არა იმ ჭეშმარიტ რეალურ პოლიტიკურ ჯგუფებთან, რომლებიც მთელი ამ წლების განმავლობაში საქართველოს ინტერესებს იცავდნენ. ამაზე პასუხი უნდა გაგვცენ, აგრეთვე იმაზეც, რატომ ხდება აქცენტების გაკეთება მხოლოდ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის დახურულ სივრცეში მიმდინარე პროცესებზე. მერე ამას მათ მიერ დაფინანსებულ არასამთავრობოებთან და ტელევიზიებთან რომ დააპიარებენ, ეს ჰგონიათ ამათ საზოგადოების ჩართულობა სახელმწიფოს ცხოვრებაში. სახელმწიფოებრივი საკითხები კონსენსუსის გზით უნდა მიიღებოდეს. თუ ეს არ ესმით, კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა. თუ ესმით და არ აკეთებენ, მაშინ ქართველმა საზოგადოებამ უნდა აჩვენოს თავისი რეალური შესაძლებლობები და ის პროცესი, რომელიც 1 ოქტომბრიდან განვითარდა. ქვეყნის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი პროცესები კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და ქვეყანა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოვიდეს.

# ხათუნა ლაგაზიძე: „საკონსტიტუციო ცვლილებების ჩავარდნა ნაციონალებისთვის იქნებოდა ცუდი“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ტები, კოალიციის ფარგლებში. დღევანდელი სტატუსკვოდან თუ ამოვალთ, რესპუბლიკურმა პარტიამ 1 ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ მოხსნა სრული ნაღები. ეს სრული ნაღები რესპუბლიკური პარტიის ხელშია. მის ფონზე ყველა სხვა წევრი კოალიციისა არის დათრგუნული. რამდენად ჯდება ეს ივანიშვილის მიერ დაპირებული მრავალპარტიული სისტემის ფარგლებში და კონცეფციაში, ძნელი სათქმელია, ალბათ, ამ წინასაარჩევნო დაპირებას ივანიშვილი არ დაივიწყებს, რომ მრავალ სუბიექტს ჰქონოდა განვითარების ერთნაირი შანსი, იმედია, ამ მიმართულებით ნაბიჯები სამომავლოდ გადაიდგმება. საინტერესოა, როგორი განლაგებაა ამ პოლიტიკურ ლანდშაფტზე. ტრადიციული მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრისტული მიმართულების ნაცვლად გვაქვს პრორუსული, პროდასავლური და ულტრანაციონალური მიმართულება, იდეოლოგია, განწყობა. არჩევნების შემდეგ იმდენად გაიხსნა მედიასივრცე, იმდენად შეუზღუდავია აზრის გამოხატვის თავისუფლება, რომ პოლიტიკური ლანდშაფტი უმალ დაიკავა ბევრმა სხვადასხვა მიმართულების საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, საინფორმაციო საშუალებამ და იდეოლოგმა. ერთბაშად ამოიზარდა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მოსურნე პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების, ბიზნესმენების რაოდენობა. საქმე გვაქვს სახიფათო ტენდენციასთან, სოციალური ქსელებით ვრცელდება ვიდეოები, თუ როგორ დაანგრევს დასავლეთი საქართველოს, მის ტრადიციებს, როგორ მიუღებელია საქართველოსთვის დასავლეთევროპული ღირებულებები, აქცენტი კეთდება ჰომოსექსუალიზმსა და ამ ტიპის მიმართულებაზე.

***— ზემოქმედება ხდება საზოგადოებაზე იმ თვალსაზრისით, რომ არჩევანი გაკეთდეს მკაფიოდ რუსეთის სასარგებლოდ, თუმცა, ვინ შეისწავლა, დასავლეთი თუ ჰომოსექსულიზმის პროპაგანდას ეწევა, რუსეთი მორალისა და ზნეობის მწვერვალია?***

— აქ უკვე გლობალური თემა შემოვიტანეთ. ქართული ტრადიციული მენტალიტეტისთვის უცხოა ჰომოსექსუალიზმი. მეორე მხრივ, თუ მოხდა სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაუმჯობესება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების კვალდაკვალ, რუსეთისადმი დადებითი განწყობა გაიზრდება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე განაცხადა, რომ მზად არის უვიზო რეჟიმის შემოღებისთვის. ამ მხრივ რუსეთიდან სწრაფი ნაბიჯები გადაიდგმება დაახლოების მიზნით, სახიფათო იდეოლოგიურ მიმართულებას მივიღებთ, რომ დასავლეთი საქართველოსთვის რისკის შემცველელია და საფრთხეს უქმნის მის ტრადიციულ ღირებულებებს. ხელისუფლებამ ამ სახიფათო ანტიდასავლურ რიტორიკასა და პროპაგანდას უნდა დაუპირისპიროს საკუთარი ძლიერი არგუმენტები და ღია და მკაფიო პროპაგანდა დასავლეთის მხარდასაჭერად. სხვა ინტერპრეტაცია უნდა იყოს დასავლეთის ღირებულებებისა. დასავლეთიც კარგად ხედავს, რომ მოხდა აცდენა დასავლეთის ღირებულებებსა და ქართულ ფასეულობებს შორის. ამაში კი უდიდესი როლი ითამაშა ნაცმოძრაობამ, რომელიც საკუთარ თავს აიგივებდა დასავლეთთან. მისი შეცდომები და დანაშაული დასავლეთთან იყო გაიგივებული, დღეს ვდგავართ იმ რეალობის წინაშე, რომ დასავლური იდეა საქართველოში გადასარჩენია. ხელისუფლებამ საზოგადოებას უნდა შესთავაზოს ქართული ევროპეიზმი, დამყარებული ევროპულ ღირებულებებსა და ქართულ ფასეულობებზე. ამით შეგვიძლია, ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი გავხდეთ. უნდა ვეძებოთ საერთო ნიშნულები, საერთო წერტილები.

# თბილისში აქცია „ყველა ბავშვი ყველას ბავშვია“ გაიმართა

თბილისში, „რუსთაველის“ მეტროსთან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოში 1 წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აქცია — „ ყველა ბავშვი ყველას ბავშვია“ გამართეს.

სოციალურ ქსელ ფეისბუქში დაგეგმილ აქცია მონაწილეებმა ხელისუფლებას მოუწოდეს, უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ გაჭირვებული ოჯახების მიმართ. აქციაზე მათ გამოტანილი ჰქონდათ ლოზუნგი წარწერით: „ბავშვის შიმშილი არის სირცხვილი“.

აქცია „ყველა ბავშვი ყველას ბავშვია“ რამდენიმე სოციალურად დაუცველი ოჯახიც შეუერთდა.

აქციის მონაწილეებმა მეტრო „რუსთაველდან“ საზოგადოებრივ მაუწყებელთან გადაინაცვლეს და მაუწყებლის შენობაში შესვლა სცადეს, თუმცა დაცვამ მათ წინააღმდეგობა გაუწია და შენობაში შესვლის საშუალება არ მისცა.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან მათი მისვლის მთავარი მიზანი ის იყო, რომ მეტი საეთერო დრო დაუთმონ სოციალურად დაუცველ ადამიანებს, რათა მათი პრობლემები მუდმივად იყოს გაშუქებული.

**მედიანიუსი**

## ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საბჭოში შეხვედრებს გამართავს

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საბჭოში შეხვედრებს გამართავს.

სტრასბურგში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ღარიბაშვილი დღეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ტორბიორნ იაგლანდს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს ვოიჩეკ სავიცკის, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების გენერალურ დირექტორს ფილიპ ბოიას, ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის ჯგუფის აღმასრულებელ მდივანს პატრიკ ფენიქსსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების ელჩებს შეხვდება.

ირაკლი ღარიბაშვილი ევროსაბჭოს ოფიციალურ პირებს შსს-ში გატარებულ და დაგეგმილ რეფორმებს გააცნობს. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ევროსაბჭოს განსახილველად ახალი პოლიციის ეთიკის კოდექსი პირველად წარუდგინა. განხილვის შემდეგ, მისი ოფიციალური დამტკიცება მოხდება.

გარდა ამისა, შს მინისტრი ხელს მოაწერს დოკუმენტებს: დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების, კონფისკაციისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას; კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის დამატებით ოქმს და სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებით ოქმს.

აღნიშნული ოქმების ხელმოწერის ვალდებულება ქართულ მხარეს ევროკავშირთან სავიზო დიალოგის სამოქმედო გეგმის თანახმად დაეკისრა.

პირველი

## არჩილ ხაბაძე: „გოგიტა აბაშიძის გარდაცვალება მთელი საზოგადოების ტრაგედიაა“

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე 1 წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალების ფაქტს გამოეხმაურა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გუშინ ხაბაძემ აჭარის მინისტრთა საბჭოს წევრებთან ერთად საგანგებო ბრიფინგი გამართა.

„ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალება ყოველი ჩვენგანის, ჩვენი ერის ტრაგედიაა. ეს არის ჩემი პირადი ტრაგედია, რადგან მე, როგორც ამ კუთხის შვილს და რეგიონის ხელმძღვანელს, უფლება არ მაქვს შევეგუო მსგავს ფაქტებს. დღეს საქართველოს მართავს მთავრობა, რომლისთვისაც ყველაზე ძვირფასი და ღირებულია ადამიანი – მისი სიცოცხლე და უფლებების დაცვა. მინისტრთა კაბინეტი სრული შემადგენლობით, მოვითხოვთ სასწრაფოდ დაიწყოს ამ ფაქტის გამოძიება, რათა დროულად მოვახდინოთ სათანადო რეაგირება. ასევე მინდა, გამოვეხმარო და მადლობა გადავუხადო დღეს გამართული აქციების მონაწილეებს საზოგადოებრივი მხარდაჭერისათვის. დღევანდელი ფაქტი მთელი საზოგადოების ტრაგედიაა და ეს აღარ უნდა განმეორდეს“, – აღნიშნა არჩილ ხაბაძემ.

პირველი

## შსს-მ ცრუ შეტყობინებაში ბრალდებული დააკავა

შსს-მ ცრუ შეტყობინებაში ბრადლებული დააკავა. 1969 წელს დაბადებული გიორგი კ. ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ჩატარებული ღონისძიების შედეგად, გუშინ დილით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულმა გუშინწინ, 26 მაისის მოედანზე, კაზინო „აჭარაბეთის“ შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ ინფორმაცია „112“-ს მიაწოდა. სამართალდამცველებმა და გამნაღმველებმა გამოძიების შედეგად დაადგინეს, რომ გამოძახება ცრუ იყო, შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა.

სამართალადამცველებმა პიროვნების ვინაობა, ვინც საგანგებო სიტუაციების სამსახურში დარეკა, რამდენიმე წუთში დაადგინეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. გამოძიებას ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის მე-5 განყოფილება აწარმოებს.

პირველი

# 1 წლის გოგიტა აბაშიძის სიკვდილში მთელი საქართველო დამნაშავეა

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

შიმშილით გარდაცვლილი ერთი წლის გოგიტა აბაშიძე სოფელ მახოდან სამედიცინო ცენტ „მედინაში“ იქნა გადმოყვანილი, შემდეგ კი ბავშვთა საავადმყოფოში, სადაც შოკურ მდგომარეობაში მიიყვანეს. როგორც გარდაცვლილის ექიმები ამბობენ, ბავშვი 4 კგ და 200 გრამი დაიბადა, ერთი წლის შემდეგ კი მას იგივე წონა ჰქონდა, მაშინ, როცა ბავშვი 12 კილოგრამი უნდა ყოფილიყო, – იუწყებოდა ერთ-ერთი მედიასაშუალება.

როგორ და რით იმართლებს თავს საქართველოში ვინმე ამ ფაქტის შემდეგ? პასუხისმგებლობის საკითხის დასმა ერთია და მასზე მოპასუხე ვინ გამოჩნდება–მეორე.

დავიწყოთ საზოგადოებით. ჩვენ იმ საზოგადოების ნაწილი ვართ, რომელსაც თავის მოწონების მიზნით შეუძლია ბანკიდან სესხი აიღოს, ოღონდ „თავი არ შეირცხვინოს“. საწესჩვეულებო სუფრებზე, შოპინგებსა და საპრეზენტაციო ადგილებში გვიყვარს ელიტარული სახის ჩვენება. ხურგადასა და გოაში თუ ვინმემ ფეხი გააბიჯა, სოციალური ქსელების აჭრელებაც არ გვიჭირს ამ „ზოგადსაკაცობრიო ფაქტის“ აღსანიშნავად. კარგად თუ დაუფიქრდება პუბლიკა, წელიწადში ერთი სადილის ფულითაც კი შეიძლება საქმის გაკეთება, ოღონდ ამას ორგანიზაცია სჭირდება. თუ მცირე ფულსაც კი „ბადედ“ ვაქცევთ და არა „თევზად“, მაშინ აზრიანი ადამიანი სიღატაკეს თავს დააღწევს. საზოგადოების მაღალი ეშელონების ერთმა სადილმაც კი შეიძლება საშვილიშვილოდ გააუმჯობესოს ცხოვრება საშიმშილოდ და სასიკვდილოდ განწირულ ადამიანს.

როგორი მრევლი, ისეთი მღვდელიცო. სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლები ძალიან ხშირად რელიგიის სათნოების სახის შენარჩუნებაზე კი არა, კომფორტის მოწყობაზეა გადასული. რომელი კონფესიაც არ უნდა ავიღოთ, არ მგონია, რომ გაცემას და ქველმოქმედებას არ ქადაგებდეს. რევოლვერიან-ჯიპიანი სასულიერო წინამძღვრები იდეებით კვებავენ ამბიონებიდან ხალხს, მაგრამ ეს ნამდვილად არ კმარა დამშეული კუჭის ამოსავსებად.

ნორვეგიის სამეფოს ჯანმრთელობის სამინისტრომ არც ისე დიდი ხნის წინ ესტონეთის ციხეებში მონიტორინგი ჩაატარა რამდენიმე სხვა სახელმწიფოსთან ერთად. ამაზე ჩვენმა თანამემამულემ, ამ მონიტორინგის ერთ-ერთმა წევრმა, ზაზა წერეთელმა განაცხადა: „სულ რამოდენიმე თვის წინ ესტონეთის ერთ-ერთ ციხეს ვსტუმრობდი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად. ესტონეთის იუსტიციის სამინისტრო ერთ-ერთი აქტიური დამხმარე იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროსი და ჩვენი პენიტენციალური სისტემის რეფორმირებებშიც ღებულობდა მონაწილეობას. ამ ციხეში ვიზიტისას ესტონელებმა შეგვიყვანეს საკონფერენციო ოთახში, სადაც სხვა ნივთებთან ერთად გამოფენილი იყო სუვენირები სხვადასხვა ქვეყნებიდან, ვისთანაც ესტონეთის ამ ციხეს შეხება ჰქონია.



სუვენირების უმეტესობა იყო ან იმ ქვეყნის დროშა, ან პენიტენციალური სისტემის ღერბი თუ სამკერდე ნიშანი. მხოლოდ ერთი სუვენირი გამოირჩევოდა ყველა დანარჩენისგან. ალაბათ მიხვდებით საიდან, დიახ, საქართველოდან – ეს ზარაფხანაში დამზადებული ოქროს ფიგურა იყო. დავიჯერო, ესტონელმა სპეციალისტებმა მხოლოდ საქართველოს გაანდეს თავისი საიდუმლოებები და ამიტომ მხოლოდ ჩვენ ვაჩუქეთ ოქროს ფიგურა? მართალი გითხრათ, ძნელი დასაჯერებელია“.

როცა ქვეყნის ხელისუფლება აძლევს თავს უფლებას, რომ ოქროს სუვენირები გაასაჩუქროს ბიუჯეტის ხარჯზე, მაშინ ქვეყანაში ბავშვები არ უნდა იხოცებოდნენ შიმშილით.

აჭარაში დატრიალებული ტრაგედია მხოლოდ მაშინ აღიქვა ხელისუფლებამ, როცა ლოყაზე ხელის ჩამოსმა და ქოთქოთი აღარაფრის მომტანი იყო. ასლან აბაშიძის მეუღლეს თურმე გარდაცვალებამდე ორი ორგანიზაცია ჰქონია გახსნილი და მთლიანად აჭარის მოსახლეობის გაჭირვებული ფენა ჰყავდათ აღრიცხული, რომელსაც შიმშილით სასიკვდილოდ არ იმეტებდნენ. „მოვარდული“ ცხოვრების დაწყების შემდეგ აჭარაში, როგორც გვეუბნებოდნენ, ყველაფერი წინ მიდიოდა და ვარშალომიძის გარდა, ყველა მდიდრდებოდა. ფაქტი კი ჭიუტია: ბატონი ლევანი ისევ მომხიბვლელ და სასურველ სასიძოდ რჩება საქართველოში(მგონი, ისევ არ დაქორწინებულა), ხოლო აბაშიძეების ოჯახს სამუდამოდ წაართვა შიმშილმა შვილი.

გულწრფელები რომ ვიყოთ, ან ახალ ხელისუფლებას აქვს ხმა ამოსაღები?! ტერიტორიულ ორგანოებში ხელმძღვანელებად პოლიტიკური სიმპატიით არაერთი ადამიანი დაინიშნა. ძალიან ბევრს ეს მხოლოდ 1 ოქტომბრამდე დროშის ფრიალის გამო მიეკუთვნა, მაგრამ რას აკეთებენ იმისათვის, რომ სოციალური ფონი გაუმჯობესდეს? პრემიების გამოწერა და ზეგანაკვეთური ანაზღაურება შრომის დაფასების ერთი სასიამოვნო ფორმაა, მაგრამ როცა მუნიციპალიტეტში საჭირო კალორიას ვერ ღებულობს ადამიანი, ამით არა მარტო ჯანმრთელობის პრობლემა იქმნება, არამედ ე.წ. მეორეული პრობლემებიც: არასრულფასოვანი ცხოვრების გამო ადამიანი ბოროტდება და ხშირად კრიმინალურ ცხოვრებაზე გადადის.

გოგიტა აბაშიძეს უკვე აღარაფერი ეშველება, თუნდაც გამოძიებამ დაადგინოს, რომ სოციალური აგენტი იყო მიკერძოებული („ნაციონალური“ ხელისუფლების პირობებში სოციალური დახმარება პოლიტიკური ნიშნითაც რიგდებოდა. მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ ავყომობილიანფერადტელევიზორიან და საერთოდ, მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახებს, რომლებიც „ნაცმოს“ ერთგულებით გამოირჩეოდნენ, ენიშნებოდათ ის კაკალი, ყვავს რომ გააგდებინეს).

ბიუროკრატიული პრობლემებით დახუნძლულ ქვეყანაში სამძიმრის გამოცხადება გარდაცვლილის ოჯახისათვის, ზოგადად, საკითხს არ წყვეტს დადებითად.

არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც სოციალურ საკითხებზე მუშაობს და ასე თუ ისე, დაფინანსებასაც ღებულობენ, შიმშილობის ზღვარზე არსებულ ოჯახებთან დაკავშირებით ბაზებს თუ მაინც ქმნიან? მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ვერ მოვიძიე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, რომელიც ამ საკითხებზე ამომწურავ პასუხს მომცემდა. სიღარიბისა და სიღატაკის დეფინიციაზე, საარსებო მინიმუმისა და სამომხმარებლო კალათის განსაზღვრისათვის იხარჯება ფინანსები, მაგრამ სიღარიბის დასაძლევად არ იდგმება გადამწყვეტი ნაბიჯები.

დაახლოებით, საქართველოს ბავშვების 42% შიმშილობს ან არასრულფასოვან საკვებს ღებულობს. სიღარიბე, პირველადი ჯანმრთელობისა და განათლების სტრუქტურული ერთეულებზე ხელმიუწვდომლობა უნდა დაიძლიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მომავალი თაობის დეგრადაცია გარდაუვალია.

ეპიზოდური შემთხვევებია, როცა მედია ბევრად მეტს აკეთებს ჯანმრთელობის დაცვისა და სიღარიბის დაძლევისათვის, ვიდრე სახელმწიფო სოციალური სტრუქტურები.

საბოლოოდ ვიტყვი, რომ ადამიანის უპირველეს უფლებაზე, სიცოცხლის უფლებაზე, ყველამ უნდა იზრუნოს. რამდენადაც პრობლემა ძალიან მასშტაბურია, ამიტომ მისი დაძლევაც მხოლოდ მასშტაბური ღონისძიებით შეიძლება.

# მერაბ ჯანიაშვილი: „საბჭოთა ანაბრებზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს აქვს აღებული და კომპენსაციაც მისი გადასაწყვეტია“

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ აწარმოებს კვლევას 90-იან წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებული ჰიპერინფლაციური პროცესების შესახებ. რამ გამოიწვია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ინფლაცია და რა შედეგები მოყვა ამ პორცესებს. კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საბჭოთა და დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში მიღებული ანაბრები, – რა გახდა მათი გაუფასურების მიზეზი, რომელის შედეგადაც მოსახლეობამ საკუთარი დანაზოგები დაკარგა. კვლევის შესახებ აფბას წევრს მერაბ ჯანიაშვილს ვესაუბრეთ.

***– რატომ გადაწყვიტეთ თემით დაინტერესება და საბჭოთა ანაბრების საკითხის გარშემო კვლევის ჩატარება?***

– მოგეხსენებათ ანაბრების თემა არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური სპეკულაციების და მანიპულაციების საგანი, მის მოგვარებაზე კი რეალური მსჯელობა და მითუმეტეს, კონკრეტული ნაბიჯები ფაქტობრივად, ჯერ არ გადადგმულა. ჩვენ როდესაც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მოვიძიეთ ინფორმაცია საბჭოთა ანაბრების შესახებ, აღმოჩნდა, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც 20 წელზე მეტია ეს საკითხი გაყინულია და მთავრობებს მის მოსაგვარებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამთ. ეს მაშინ, როდესაც ყველა ქვეყანაში წინ აქვთ წაწეული საკითხი. ზოგან უკვე დამთავრდა კომპენსაციების გაცემა, ზოგან მიმდინარეობს, 2 ქვეყანაში კი ახლა იწება მათი ანაზღაურება. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ შეგვესწავლა ეს საკითხი, გაგვეცა პასუხი იმ უამრავ პასუხგაუცემელ კითხვისთვის, რომელიც ამ თემის გარშემო საზოგადოებას აწუხებს და ხელისუფლებისთვის მოგვეთხოვა საბჭოთა ანაბრების გარშემო მუშაობის დაწყება.

***– თუ მოიძიეთ რაიმე ახალი ინფორმაცია, რაც ფართო საზოგადოებისთვის ამ დრომდე უცნობი იყო?***

– ამ საკითხზე მუშაობისას ძალიან საინტერესო ინფორმაციებს წავაწყდით. აი, მაგალითად, აღმოჩნდა, რომ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამდე მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ინფლაციის გამო უნდა მომხდარიყო ანაბრების აფასება 40%-ი და თითო ანაბარზე დამატებით 200 მანეთი დაუმატა ყველა მეანაბრეს. თუმცა 1992 წლის 5 მარტს ტაშკენტის შეხვედრაზე რუსეთმა უარი განაცხადა საბჭოთა ანაბრების დაბრუნებაზე და შესაბამისად, ყველა ქვეყანას საკუთარი ხარჯებით მოუწია ამ პრობლემის მოგვარება. საქართველომ ჯერ კიდევ 1992 წელს აღიარა საბჭოთა ანაბრები შიდა ვალად. გასარკვევი გვაქვს რა ოდენობის თანხის აღიარება მოახდინა მაშინდელმა მთავრობამ ვალად. საქართველოს ხელისუფლებამ 1995 წელს მოახდინა საბჭოთა ანაბრების ინდექსაცია, დაახლოებით 8,5 მლრდ. მანეთის 502 მილიონ ლართან გათანაბრება მოხდა, რომელიც შიდა ვალადაც აღიარა. ამ ინდექსაციის ფარგლებში კომპენსაციების გაცემაც დაიწყო, ერთ წელს 4 მილიონ 300 ათასი ლარი გაიცა. პირველ ეტაპზე ინვალიდების კომპენსირება იგეგმებოდა, ხოლო შემდგომ ნელ-ნელა ყველა მეანაბრის. მაშინდელი ინდექსაციის თანახმად, ყველა ანაბრის წიგნაკზე პირველ 1000 მანეთზე 100 ლარის, ხოლო მომდევნო 1000-ზე 10 ლარი გაიცემოდა. ლეიბორისტებმა მსგავსი ინდექსაცია არასამართლიანად მიიჩნიეს და მის გასაუქმებლად საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი. შედეგად, სასამართლომ დააკმაყოფილა შალვა ნათელაშვილისა და მისი თანაპარტიელების მოთხოვნა, ინდექსაციის ეს მოდელი არასამართლიანად ჩაითვალა და მისი მსგავსი სახით გაცემა ხელისუფლებას აეკრძალა. ამის შემდგედ მთავრობას ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია საკითხის წინ წასაწევად.



შედეგად დღეს ჩვენ გვაქვს სიტუაცია, როდესაც ზოგიერთ მოქალაქეს ყველა ინსტანციის სასამართლოში მოგებული აქვს დავა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ანაბრების დაბრუნების მოთხოვნით. სასამართლო აცხადებს, რომ ეს სამართლიანი მოთხოვნაა, თუმცა იქვე ამატებს, რომ რადგან არ არსებობს ინდექსაციის სისტემა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ თანხების კომპენსირება შესაბამისად უცნობია თუ რა რაოდენობის თანხა უნდა გაიცეს ამა თუ იმ მეანაბრეზე. ამიტომ, იგი ვერ ავალდებულებს რომელიმე სახელმწიფო უწყებას ითავოს ამ თანხების გაცემა. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნი, რომ პირველ ეტაპზე ინდექსაციის სამართლიანი და ობიექტური მოდელის მოძიებაა აუცილებელი. ხოლო მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება კომპენსაციების გაცემის სხვადასხვა გზების ძიება, რადგან ასეთი უამრავია, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც და საქართველოს რომელიმეს მაგალითის მსგავსის გადმოღებაც შეუძლია.

***– რა გეგმები გაქვთ მომავალში და როგორ ფიქრობთ „ქართული ოცნება“ თუ მოახდენს საბჭოთა ანაბრების კომპენსირებას?***

– ჩვენი არასამთავრობო ანაბრების თემის გარშემო აპირებს ექსპერთა საბჭოს შექმნას, რომლებთანაც პერიოდულად გვექნება კონსულტაციები თუ რა მიმართულებით წავიყვანოთ კვლევა და რაზე გავაკეთოთ აქცენტები.

რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, მართალია მათ წინასაარჩევნოდ მოსახლეობისთვის მსგავსი დაპირება არ მიუციათ, თუმცა ბოლო პერიოდში უმრავლესობის წარმომადგენლების მხრიდან ამ საკითხით დაინტერესება, იმედს გვაძლევს, რომ ეს ხელისფულება მაინც გადადგამს ანაბრების პრობლემის მოსაგვარებლად ქმედით ნაბიჯებს. რეალურად ეს სახელმწიფოს ვალია, რაც ბატონმა ნოდარ ხადურმა დააფიქსირა კიდევაც თავის ინტერვიუში, სადაც აღნიშნა, რომ კანონის თანახმად, ეს ანაბრები აყვანილია სახელმწიფოს შიდა ვალში. ვფიქრობ, შესაბამისად, სახელმწიფომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გასცეს მეანაბრეებს პასუხი, მოხდება თუ არა მათი დანაზოგების კომპენსირება და თუ არ მოხდება, მაშინ ესეც უნდა დააფიქსიროს, რომ ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ამ საკითხის გარშემო გაურკვევლობა.

ესაუბრა თათია ქოჩლაძე

# ეროვნულმა კინოცენტრმა სამწლიანი ანგარიში წარმოადგინა

ეკა ირემაშვილი

ეროვნულმა კინოცენტრმა გადაწყვიტა ფართო საზოგადოებისთვის წარედგინა ბოლო სამი წლის საქმიანობის ანგარიში, რომელშიც ყველა დეტალი ნათლად არის ასახული. ეს ანგარიში მოიცავს 2010 წლის 25 თებერვლიდან 2013 წლის 25 თებერვლის ინტერვალს, როდესაც ცენტრს თამარ ტატიშვილი ხელმძღვანელობდა. ამჯერად ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის გარეშეა დარჩენილი, თუმცა ცნობილია, რომ ამ თანამდებობის დასაკავებლად 15 კანდიდატი იბრძვის.

ანგარიშში ნათქვამია:

„ეროვნული კინოცენტრი წარმოადგენს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც შეიქმნა „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე და ამოქმედდა 2001 წლის აპრილში. ეროვნული კინოცენტრი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას კინოს სფეროში.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს კინოცენტრის საქმიანობასა და მიღწეულ შედეგებს, რომელიც განხორციელდა 2010-2012 წლებში, კერძოდ ანგარიში შესულია ინფორმაცია შემდეგ მიმართულებებზე: ორგანიზაციული რეკონსტრუქცია, ფილმწარმოების განვითარება, ქართული კინოს პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით, ქართული კინოინდუსტრიის დაკავშირება ევროპულ კინოინსტიტუციებთან, და სხვა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ ცვლილებებს, 2010 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ინიციატივით და მხარდაჭერით ეროვნულ კინოცენტრში განხორციელდა ადმინისტრაციული რეორგანიზაცია. 2010 წლის 25 თებერვალს კინოცენტრის დირექტორად დაინიშნა თამარ ტატიშვილი. ეკონომიკისა და კულტურის სამინისტროებთან მოლაპარაკებების შედეგად ეროვნულ კინოცენტრს, სარგებლობისთვის გადაეცა საკუთარი სამუშაო ფართი კულტურის სამინისტროს შენობაში. მანმადე ეროვნული კინოცენტრი განთავსებული იყო იჯარით აღებულ ტერიტორიაზე, სადაც უკიდურესად მინიმალური სამუშაო პირობები იყო დაცული. ეროვნულ კინოცენტრისთვის ფართის გადაცემის შემდეგ ოფისში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები, შედეგად თანამშრომლებს მიეცათ დამაკმაყოფილებელი პირობები პროდუქტიული მუშაობისთვის, კინოცენტრის ფართის ხელმისაწვდომობით ეროვნული კინოცენტრი გახდა ხშირი მასპინძელი კინოსთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებებისა თუ ინდივიდუალური შეხვედრებისთვის, როგორც ქართველი ასევე უცხოელი სტუმრებისთვის. 2010 წლის მეორე კვარტალში ეროვნული კინოცენტრის ახალი ხელმძღვანელობის ინიციატივით აქტიურად დაიწყო მუშაობა ეროვნული კინოცენტრის ორგანიზაციული იმიჯის განვითარება-გაძლიერებისათვის. ჩამოყალიბდა კინოცენტრის ბრენდ-კონცეფცია: შეიცვალა ეროვნული კინოცენტრის ლოგო, დაიხვეწა საინფორმაციო მასალები, მომზადდა ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდისთვის დიზაინი, შეგროვდა ინფორმაცია, ფოტო და ვიდეო მასალა. ჩამოყალიბდა ოთხი სტრუქტურული მიმართულება: სახელმწიფო სუბსიდირების მიმართულება, დისტრიბუციისა და კინოექსპორტის მიმართულება, სტრატეგიული დაგეგმარებისა და კვლევის მიმართულება და ადმინისტრაციული მიმართულება. 2011 წლის დასაწყისში ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებს დაემატა კინოკომისიის მიმართულება. 2010 წლის მეორე კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა დახვეწა და შეიმუშავა დაფინანსების გაღებისთვის ახალი წესები. აპრილი-მაისის თვეში დამტკიცდა სამგზავრო თანხების გაცემის და პროექტების დაფინანსების ახალი წესები, ასევე დამტკიცდა სახელმწიფო გერბიანი ბეჭედი და ახალი ლოგო. რაც შეეხება ფილმწარმოებას, 2010-2012 წლებში ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდა 9 სრულმეტრაჟიანი, 5 მოკლემეტრაჟიანი, 11 დოკუმენტური და 9 ანიმაციური ფილმი. სულ 34 ფილმი. ამჟამად წარმოებაშია 8 სრულმეტრაჟიანი მხატვრული (აქედან 3 კო-პროდუქცია), 8 დოკუმენტური, 4 მოკლემეტრაჟიანი და 1 ანიმაციური ფილმი. სულ 24 ფილმი. ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს გაწევრიანება ევრიმაჟში. ორი წლის წინ საქართველო ოფიციალურად გახდა ევროპის საბჭოს ევროპული კინოს მხარდაჭერის ფონდის „ევრიმაჟის“ 36-ე წევრი ქვეყანა. ფონდში მოლაპარაკების ოფიციალური პროცესი მიმდინარეობდა როგორც ევროპის საბჭოს ელჩების კომიტეტთან, (წარმართავდა საქართველოს ელჩი ევროპის საბჭოში), ისე ფონდის წევრ 34 ქვეყანასთან (წარმართავდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი). მოლაპარაკებები მიმდინარეოდა ასევე საქართველოს კულტურის მინისტრსა და მის კოლეგებს შორის საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში. პროცესში ასევე დიპლომატიური კუთხით ჩართული იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

მოლაპარაკების პროცესი იყო რთული, განიხილებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმების ჭრილში და ბოლო დღემდე უცნობი იყო, როგორი იქნებოდა საბოლოო კენჭისყრის შედეგი. საქართველოს ფონდის სრულუფლებიან წევრად აღიარება კულტურული პოლიტიკის დიდი მიღწევაა, იზრდება არა მხოლოდ ქართული ფილმების დაფინანსების წყარო და პერსპექტივები, არამედ საქართველო სრულფასოვნად წარმოჩინდება საერთაშორისო, კერძოდ კი ევროპულ პროფესიულ სივრცეში, ისევე როგორც ხდება ეროვნული კინოცენტრის პროფესიული პოზიცირება ევროპულ ოფიციალურ ინსტიტუციებთან. 2011 წლის ბოლოდან, ევრიმაჟის რეგულაციების თანახმად კინოპროდიუსერებს საქართველოდან შესაძლებლობა მიეცათ განაცხადი შეეტანათ კო-პროდუქციის პროექტებისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად.



თამარ ტატიშვილი

საქართველოს ფონდში გაწევრიანების შედეგად დაფინანსება მოიპოვა პროექტმა „ძმა“, რეჟისორი: თეონა მღვდელაძე-გრენადე (საქართველო-საფრანგეთი) დაფინანსება 150.000 ევროს ოდენობით, პროექტმა „მანდარინები“ რეჟისორი: ზაზა ურუშაძე (ესტონეთი-საქართველო) დაფინანსდა 110.000 ევროს ოდენობით“, – ნათქვამია ეროვნული კინოცენტრის სამწლიან ანგარიშში.

თამარ ტატიშვილის პერიოდში ამუშავდა საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებები – ევროპული კონვენცია კინემატოგრაფიულ კო-პროდუქციაზე. ამ საკითხში საქართველოს მხრიდან კომპეტენტურ ორგანოდ განისაზღვრა კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, რომლის მიხედვითაც ეროვნული კინოცენტრი გახდა კო-პროდუქციულ პროექტებზე კო-პროდუქციის სტატუსის მინიჭებაზე უფლებამოსილი ორგანო. ეროვნული ფილმის ცნობისა და ეროვნული ვიზირების და გაცემის წესის თანახმად ამოქმედდა ეროვნული ფილმის დებულება. ეროვნული კინოცენტრის კომპეტენტურ ორგანოდ გამოცხადების და ეროვნული ფილმის დებულების მიღებით, მოხდა ევროპის კონვენციის ამუშავება. ევროპული კონვენციის ამუშავების შედეგად კი მიმოხილულ პერიოდში წარმოებულ ფილმებს უცხოურ საპროდიუსერო კომპანიებთან მიენიჭა ოფიციალური კო-პროდუქციის სტატუსი კოპროდუქციები.: „გაიღიმეთ“ (საქართველო-საფრანგეთი-ლუქსემბურგი), „ჩაიკა“ (ესპანეთი-საქართველო-რუსეთი), „ფარაჯანოვი“ (საქართველო-სომხეთი-საფრანგეთი-ნორვეგია-უკრაინა), „გასროლა წყალში“ (გერმანია-საქართველო-საფრანგეთი), „ძმა“ (საქართველო-საფრანგეთი), „ეპიკი“ (საქართველო-გერმანია-დიდი ბრიტანეთი-რუსეთი) და „მანდარინები“ (საქართველო-ესტონეთი). მოხდა ორმხრივი შეთანხმება საფრანგეთთან ერთობლივ წარმოებაზე. გასულ წელს კანის კინობაზრობაზე საფრანგეთის კინოცენტრის პრეზიდენტ ერიკ გარანდოსა და კინოცენტრის დირექტორს თამარ ტატიშვილს შორის შეხვედრით შედგა შეთანხმება ორმხრივი სახლემწიფოთაშორისო ხელშეკრულება საფრანგეთსა და საქართველოს შორის კინემატოგრაფიულ კოპროდუქციაზე განახლების შესახებ. აღნიშნული შეხვედრის შედეგად, ორი ქვეყნის კინოცენტრებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების კოორდინირებული მუშაობის შედეგად ეროვნულ კინოცენტრს და მის დირექტორს თამარ ტატიშვილს მიენიჭა ხელი მოაწეროს „საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ერთობლივად განხორციელებული კინოწარმოების შესახებ შეთანხმების შესწორების თაობაზე“ ურთიერთგაგების მემორანდუმს. სამწლიან მოხსენებაში ასევე აღნიშნულია ქართული ფილმების მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალებზე და მათი წარმატებები:

„2012 წლის პირველ კვარტალში ქართულმა ფილმებმა მონაწილეობა მიიღეს მუმბაის საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე. აქ ორი ქართული ფილმი მონაწილეობდა ნანა ჯანელიძის „ნეტავი იქ თეატრი არის?!“ და მინდია ესაძის „თეთრი არა – შავი“. ჰონკონგის საერთაშორისო კინოფესტივალზე საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო ორმა ქართულმა ფილმმა ნანა ჯანელიძის „ნეტავი იქ თეატრი არის?!“ და თორნიკე ბზიავას „ბუდე“. რუსუდან ჭყონიას ფილმის „გაიღიმეთ“ პრემიერა შედგა ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ფილმის ჩვენებამ წარმატებით ჩაიარა და შემოთავაზება მიიღო სხვადასხვა ფესტივალებიდან. ანტალიის კინოფესტივალში მონაწილეობით ფილმმა მიიღო ჟიურის სპეციალური პრიზი. უახლოეს პერიოდში „გაიღიმეთ“ მონაწილეობას მიიღებს ისეთი ფესტივალების საკონკურსო პროგრამაში როგორიც არის კიევის საერთაშორისო კინოფესტივალი „მოლოდისტი“ და აბუდაბის საერთაშორისო კინოფესტივალი. ესპანურ-ქართული კოპროდუქცია მიგელ ანხელ ხიმენესის ფილმის „ჩაიკა“ პრემიერა შედგა სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში. მოკლემეტრაჟიანი ფილმებიდან აღსანიშნავია რეჟისორ გაბრიელ რაზმაძის ფილმი „შავი თუთა“ და რეჟისორ ლევან კიტიას „სიცოცხლის ფასი“, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პარიზში დაგეგმილ საერთაშორისო კინოფესტივალზე. ქეთი მაჭავარიანის ფილმი „მარილივით თეთრი“ რეჟისორის სადებიუტო ნამუშევარია და ის მონაწილეობდა ჩეხეთში კარლოვი ვარის 46-ე საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო სექციაში, ასევე მიწვეული იყო მონრეალის, ტალინის, მანჰეიმის ფესტივალებზე. ნაჩვენები იყო კალკუტის, სკოპიეს, მონპელიესა და კოტბუსის ფესტივალების საკონკურსო პროგრამებში. კოტბუსში ფილმი დაჯილდოვდა 2 პრიზით რეჟისორი – საუკეთესო დებიუტისათვის და გაგი სვანიძე – მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. გასულ წელს ფილმი რამდენიმე ფესტივალზე მიიწვიეს. ნანა ჯანელიძის დოკუმენტური ფილმი „ნეტავი იქ თეატრი არის?!“ მონაწილეობდა მინსკის საერთაშორისო კინოფესტივალზე, მონპელიეს საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმი დაჯილდოვდა საუკეთესო დოკუმენტური ფილმის პრიზით, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმი გახდა ჟიურის რჩეული ქართულ პანორამაში და დაჯილდოვდა საქართველოს ბანკის პრიზით. სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი „ბახმარო“ მონაწილეობდა ლაიპციგის საერთაშორისო კინოფესტივალზე, იჰლავას საერთაშორისო კინოფესტივალზე და პირველად ქართული ფილმი ნომინირებული იყო აზია-წყნარი ოკეანის კინოდაჯილდოებაზე. ფილმი ასევე მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთ ამერიკის მთავარ დოკუმენტურ ფესტივალზე. ინდოეთის რესპუბლიკაში საქართველოს სალჩოს ხელშეწყობით დაიგეგმა ინდოეთში გოასა და მუმბაის კინოფესტივალებზე კიდევ 7 ქართული სრუმლეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმების მონაწილეობა საკონკურსო პროგრამაში. ლევან თუთბერიძის ფილ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ახმედ ბერიძის მემკვიდრეთა საყურადღებოდ

22.07.2009 წ.-ს გარდაცვლილი ახმედ სელიმის ძე ბერიძის (დაბადების თარიღი: 11.01.1928 წ.) სამემკვიდრეო საქმე იწარმოება ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№21, მე-4 სართული). დაინტერესებულმა პირებმა ნოტარიუს ოთარ ზოიძეს მიმართეთ 20.04.2013 წ.-მდე.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

- დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.
- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.
- მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.
- კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.
- ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# საქართველომ ირლანდიასთან იბრძოლა

22 მარტს საქართველოს 18 წლამდე მორაგბეთა ნაკრები გრენობლში, დაბა მუარონის სარაგბო კლუბის მოედანზე ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის (ჯასთინ ბრიდოუს ტროფი) ელიტურ დივიზიონში პირველ შეხვედრაში ირანდიელ თანატოლებს დაუპირისპირდა. მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ჩვენი ბიჭები დრამატულ ბრძოლაში, ერთი ლელოს სხვაობით დამარცხდნენ მოწინააღმდეგესთან ანგარიშით 31:27.

ჩემპიონატზე სამწუხაროდ მხოლოდ ფინალისა და მესამე-მეოთხე ადგილისათვის მატჩების ტრანსლირება იგეგმება და ამიტომ, მატჩის პერიპეტიებისა და ანგარიშის გაგება, მხოლოდ ტექსტური ლაივის მეშვეობით იყო შესაძლებელი. მატჩის დაწყებამდე ორივე გუნდმა და სტადიონზე თამაშის საყურებლად შეკრებილმა ქომაგმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო ლეგენდარული ქართველი მორაგბის, ნუგზარ ძაგნიძის ხსოვნას.

ილია მაისურაძე, 18 წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

— გული, რა თქმა უნდა, მწყდება, ვინაიდან ამ თამაშის მოგება სავსებით რეალური იყო. შეხვედრის პირველ ნახევარში შედარებით გაგვიჭირდა ბურთის შენარჩუნება და შეტევისას მოგვიწია რამდენიმეჯერ მოწინააღმდეგისათვის ბურთის დათმობა. ირლანდიელები შედარებით გვჯობნიდნენ ფიზიკურად. მიუხედავად ამისა, ბიჭებს ერთი წამით არ დაუხევიათ უკან და თავი შეაკლეს მოწინააღმდეგეს. სამწუხაროდ, დაცვაში რამდენიმე მტკივნეული შეცდომა დავუშვით, რისთვისაც ლელოებით დავისაჯეთ კიდეც. მეორე ნახევარში გავაუმჯობესეთ თამაში და მოედანზე ვდომინირებდით. გულდასაწყვეტია ვინაიდან ძალიან ახლოს ვიყავით მატჩის მოგებასთან და ევროპის ჩემპიონატის ელიტურ დივიზიონში ბევრად ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხებასთან. მე ჩემი ბიჭებით უზომოდ ამაყი და კმაყოფილი ვარ. ახლა მთლიანად გადავერთვებით შემდეგი თამაშისათვის მზადებისთვის. იტალია საკმაოდ სერიოზული და ანგარიშგასაწევი მეტოქეა. ჩვენ გავაანალიზებთ და გავივლით შეცდომებს, რადგან არაა გამორიცხული, რომ იტალიელები აღნიშნული შეცდომების დაშვებას ელოდნენ ჩვენგან.

**გია ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

— ძალზედ გულდასაწყვეტი წაგება იყო! ნამდვილად შეგვეძლო ირლანდიის დამარცხება და თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ირლანდია გადაგვირჩა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ის დასანანი ლელოები, მხოლოდ დაცვაში ჩვენი შეცდომების ხარჯზე დაგვიდეს. მეორე ნახევარში, ბურთის ფლობაც და მოედანზე დომინირებაც ჩვენ მხარეს იყო, ხოლო მატჩის უკანასკნელი 8 წუთის განმავლობაში მოწინააღმდეგის 5 მეტრიან ზონაში ვიყავით და შეუჩერებლად ვუტევდით. მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ უზომოდ ამაყი ვარ ჩვენი ბიჭებით! ეს არის ქართული რაგბის უნიჭიერესი მომავალი თაობა. მიუხედავად ყველაფრისა, ძალზე ბევრია სამუშაო და გამოსასწორებელია შეცდომები. მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო 18-წლამდელების მწვრთნელებს, ვინაიდან ამ თამაშით გამოჩნდა და დაფასდა მათი უდიდესი და დაუღალავი შრომა. თამაშის შემდგომ ოფიციალურ მიღებაზე ვერავინ ფარავდა თავის აღფრთოვანებას ჩვენი 18-წლამდელების თამაშით. ყველა ერთსულოვნად აღნიშნავდა უმცროს ბორჯღალოსანთა თამაშის მაღალ ხარისხსა და პროგრესს. ფირა აერის პრეზიდენტმა ჟან კლოდ ბაკემ განაცხადა, რომ საქართველომ ასეთი ბრწყინვალე თამაშით კიდევ ერთხელ დაამტკიცა,

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

# ახალგაზრდული ფრე აზერბაიჯანთან

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც ავსტრიაში იმყოფება შეკრებაზე, მეორე ამხანაგური შეხვედრა გამართა. ალბანეთის შემდეგ, ალექსანდრე ჩივაძის გუნდის მეტოქე აზერბაიჯანის ნაკრები იყო. შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა.

მატჩის პირველი ნახევარი გატანილი გოლების გარეშე. მეორე ტაიმის 70-ე წუთზე კი, საკუთარ საჯარიმოში წესები დავით კოხიამ დაარღვია და მსაჯმაც თერთმეტმეტრიანი დანიშნა ნადირაძის კარის მიმართულებით, რომელიც აზერბაიჯანელებმა გოლად აქციეს.

ხუთიოდ წუთში, არნემის „ვიტესის“ ახალგაზრდა შემტევმა ვაკო ყაზაიშვილმა, წონასწორობის აღდგენა შეძლო.

ნაკრებში ერთი იძულებითი ცვლილებაც განხორციელდა. ვარჯიშზე ტრავმა მიიღო მეკარე კახა მეშველიანმა და მის ნაცვლად, ავსტრიაში „დინამო“ თბილისიდან ლევან ტყეშელაშვილი გამოიძახეს, რომელიც უკვე ჩავიდა და გუნდთან ერთადაა.

მომდევნო ამხანაგურ შეხვედრას ახალგაზრდული ნაკრები 26 მარტს, კვლავ სოჰაუში, ამჯერად, ხორვატიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. ამ შეხვედრით, 21-წლამდელთა ავსტრიული შეკრება დასრულდება და ფეხბურთელები თავიანთ გუნდებს მიაშურებენ. ალექსანდრე ჩივაძე კი, ვენაში ჩასვლას და 17-წლამდელთა ელიტრაუნდის მატჩებზე დასწრებას გეგმავს.

საქართველოს ნაკრებმა ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ნადირაძე, ტვილდიანი, კობახიძე, ჯგერენაია (კოხია 46), კვეკვესკირი, ჯიღაური (გიგაური 46), პაპავა, პარუნაშვილი, ყაზაიშვილი, ჭანტურია, ქვილითაია (სხირტლაძე 46)

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

**ფეხბურთი**

**მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

კვიპროსი-შვეიცარია ... 0:0

**სამხრეთ ამერიკა**

კოლუმბია-ბოლივია ... 5:0
ურუგვაი-პარაგვაი ... 1:1
არგენტინა-ვენესუელა ... 3:0
პერუ-ჩილე ... 1:0

**კონკაკაფი**

იამაიკა-პანამა ... 1:1
აშშ-კოსტა რიკა ... 1:0

**აფრიკა**

კამერუნი-ტოგო ... 2:1
კონგო-გაბონი ... 1:0
ნამიბია-მალავი ... 0:1
ნიგერია-კენია ... 1:1
კოტ დივუარი-გამბია ... 3:0
სენეგალი-ანგოლა ... 1:1
ბურკინა ფასო-ნიგერი ... 4:0
ტუნისი-სიერა ლეონე ... 2:1
ს.აფრიკა-ც.აფრიკა ... 2:0

**ოკეანეთი**

ტაიტი-სოლ.კუნძულები ... 2:0

**ამხანაგური მატჩები(21)**

იტალია-რუსეთი ... 2:0
პოლონეთი-ლიტვა ... 3:0
თურქეთი-მაკედონია ... 5:3

**ესპანეთი. მე-2 დივიზიონი**

ბარსელონა ბ-უესკა ... 0:1
ლუგო-რასინგი ... 3:2
ხირონა-მირანდესი ... 4:0
ხერესი-პონფერადინა ... 1:2

**იტალია. სერია ბ**

გროსეტო-ჩეზენა ... 1:2
პადოვა-მოდენა ... 0:1

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

სლიგო-ლიმერიკი ... 2:1
უკ დუბლინი-დანდალკი ... 1:2

**აშშ. მლს**

დ.ს. იუნაიტედი-კოლამბუსი ... 1:2
ნიუ ინგლენდი-კანზასი ... 0:0
მონრეალი-ნიუ იორკი ... 1:0
დალასი-სოლტ ლეიკი ... 2:0
ჰიუსტონი-ვანკუვერი ... 2:1
სან ხოსე-სიეტლი ... 1:0
ლოს ანჯელესი-კოლორადო ... 1:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

შარლოტი-დეტროიტი ... 91:92
ნიუ იორკი-ტორონტო ... 110:84
მემფისი-ბოსტონი ... 110:106
ჩიკაგო-ინდიანა ... 87:84
დენვერი-საკრამენტო ... 101:95
გოლდენ სტეიტი-ვაშინგტონი .. 101:92
ლეიკერსი-ბრუკლინი ... 101:95

**ჩოგბურთი**

**ატპ. მაიამი**

რაონიჩი-რუფინი ... 6:2;6:4
ვერდასკო-ფალა ... 3:6;6:7

**ვტა. მაიამი**

ციბულკოვა-ოპრანდი ... 6:3;6:4
უილიამსი!ს.-მორიტა ... 6:3;6:3

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

მონრეალი-ბუფალო ... 1:2
ნიუ ჯერსი-ფლორიდა ... 2:1
ტორონტო-ბოსტონი ... 3:2
დალასი-კოლორადო ... 5:2
ნეშვილი-კოლამბუსი ... 5:2
ედმონტონი-სენტ ლუისი ... 0:3

# საქართველომ ფრანგები პირველ ტაიმში შეაშინა

**საფრანგეთი — საქართველო 3:1**

1:0 ჟირუ (45) 2:0 ვალბუენა (47) 3:0 რიბერი (61) 3:1 კობახიძე (71)

**საფრანგეთი:** ლორისი, ვარანი, კლიში, სახო, პოგბა, ჟალე, მატიუდი (სისოკო 66), რიბერი (მენესი 78), ვალბუენა (რემი 66), ჟირუ, ბენზემა

**საქართველო:** ლორია, ლობჟანიძე, ხიზანიშვილი, ამისულაშვილი(კ), კვირკველია, კაშია, კობახიძე, დაუშვილი, თარგამაძე (გელაშვილი 84), ანანიძე (ყენია 46), ვაწაძე (დვალიშვილი 73)

„სტად დე ფრანსის“ გადაჭედილ სტადიონზე ქართველები 1:3 დამარცხდნენ. ეს ამ წლის პირველი ოფიციალური მატჩი იყო და აქ უნდა გამოჩენილიყო თემურ ქეცბაიას გუნდის მომავალიც. ცხადია, ფავორიტი საფრანგეთის ნაკრები იყო და მათთან მარცხი საფეხბურთო ლოგიკით კანონზომიერიც არის, მაგრამ მთავარი ის იყო გამოჩნდებოდა თუ არა გუნდის პერსპექტივა. უნდა ვაღიაროთ (რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს), რომ საქართველოს ნაკრებმა ამ მოვალეობას თავი გაართვა — გუნდი არ ჩაიკეტა საკუთარ საჯარიმოში (როგორც ეს ესპანეთთან მოხდა) და თამამადაც გადადიოდა მეტოქის ნახევარზე. არავინ იცის, პირველ ტაიმში ალექსანდრე ამისულაშვილისა და სანდრო კობახიძის დარტყმული ბურთები რომ გასულიყო, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. აქვე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ მომენტამდე ჩვენებიც რამდენჯერმე გადარჩნენ, მაგრამ ამაზე ქვემოთ.



საქართველოს ნაკრები ამ მატჩს დანაკლისით შეხვდა — „ჯვაროსნებმა“ ჯაბა კანკავა და თორნიკე ოქრიაშვილი მოისაკლისეს, რომელთაც ყვითელი ბარათების სიჭარბის გამო არ ჰქონდათ ამ მატჩში მონაწილეობის უფლება. მეტოქეს კი, ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავდა. ცხადია, დებიუტანტებიც, მაგრამ როგორი — მადრიდის „რეალის“ მცველი ვარანი და ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველი პოგბა.

საქართველოს ნაკრებმა თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყო: მეკარე გიორგი ლორიას წინ დაცვის ცენტრში ზურაბ ხიზანიშვილი და ალექსანდრე ამისულაშვილი იდგნენ, მარცხნივ — დათო კვირკველია, მარჯვნივ კი, უჩა ლობჟანიძე, საყრდენებად გურამ კაშია და მურთაზ დაუშვილი გაამწესა ქეცბაიამ, ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე დავით თარგამაძე ირჯებოდა, მარცხნივ — კობახიძე, ცენტრში — ჯანო ანანიძე, ეული ფორვარდი მათე ვაწაძე იყო.

პრინციპში სხვა ტაქტიკას არც ველოდით — ქეცბაია ჩვენს ნაკრებს ამ სქემით ათამაშებს მოსვლიდან დაწყებული. ერთია, გრანდებთან უფრო ჩაკეტილ ფეხბურთს აჩვენებს, მაგრამ ფრანგებთან...

როგორც მოსალოდნელი იყო, ფრანგებმა პირველივე წუთებიდან სცადეს სწრაფი გოლის გატანა. პირველი სახიფათო მომენტი ჩვენს კართან მე-7 წუთზე შეიქმნა, როცა რიბერი მარცხენა ფლანგზე გაილაღა, რამდენიმე მცველს იოლად გასცდა, სწრაფად შეიჭრა ჩვენს საჯარიმოში და ეშმაკურადაც დაარტყა, თუმცა ბურთი ძელს მოხვდა. ამ მომენტში აშკარად გადავრჩით.

მე-17 წუთზე ლორიას დამწუხრება უკვე კარიმ ბენზემას შეეძლო, მაგრამ ჩვენმა მეკარემ შესანიშნავად ითამაშა და ახლოდან დარტყმულ ბურთი შესაშური რეაქციით ხელთ მოიგდო.

ქართველმა ფეხბურთელებმა ფრანგების კარისკენ პირველად 28-ე წუთზე დაარტყეს და ამისულაშვილს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, ალბათ ანგარიშიც გაიხსნებოდა. აქვე არც ლორისს უნდა დავუკარგოთ გარჯა, რომელიც სწორად დაუხვდა ბურთს.

იქვე ჟირუს შეეძლო ანგარიშის გახსნა, როდესაც ლორიასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ბურთის თავზე გადაგდება მოუნდომა და სიზუსტე ვერ გამოიჩინა.

ჩვენები არ ჩამორჩნენ მეტოქეს: ჯერ სანდრო კობახიძე, რომელიც ყველაზე გამორჩეული იყო „ჯვაროსნებში“ საჯარიმოს გარედან შეეცადა გოლის გატანას, მაგრამ ლორისმა ამ შემთხვევაში ფანტასტიკურად ითამაშა და ურთულესი ბურთი კუთხურში მოიგერია. სტანდარტები ჩვენებს ასეა თუ ისე, გამოსდიოდათ — კუთხურს მოჰყვა მათე ვაწაძის სახიფათო თავური, რომელიც კარს ასცდა.

ეს მონაკვეთი ქართველებისთვის საუკეთესო იყო ამ მატჩში, მაგრამ ისევ ჩვეული დაუდევრობა და ბოლო წუთი... მსაჯის მიერ კონპენსირებულ დროში კვირკველია ბურთის ამოტანისას შეცდა, შემდეგ კი, იძულებული გახდა წესები დაერღვია. ბურთი საჯარიმოში ვალბუენამ ჩაკიდა, სადაც ჟირუ ქართველ მცველებს გაექცა და ანგარიში გახსნა — 1:0.

ვალბუენაზე უნდა ვთქვათ, რომ ფრანგთა შორის გამორჩეული იყო. ჟირუს ბოლო წუთზე საგოლედ რომ მიაწოდა, არც რიბერი დატოვა გულდაწყვეტილი, რომელმაც საჯარიმოში ხიზანიშვილი გააბითურა და ლორიას ახლო კუთხეში გაუტანა. ამ დროს ანგარიში უკვე 3:0 გახდა, მანამდე კი ვალბუენამ თავადაც გაიტანა, თანაც შესანიშნავი გოლი.

ბოლოს ფრანგები დამშვიდნენ — წინ ხომ ესპანეთთან მატჩი ელით და დიდიე დეშამმაც რამდენიმე ფეხბურთელს დასვენების უფლება მისცა, ამან ქართველთა უფრო გააქტიურება გამოიწვია და

მატჩის 71-ე წუთზე სანდრო კობახიძემ, რომელიც ქართველ ფეხბურთელებს შორის ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა მოედანზე, მოახერხა ერთი გოლის გაქვითვა, ლობჟანიძის პასით — 3:1.

ამის შემდეგ ჩვენები კი ცდილობდნენ კიდევ შეემცირებინათ სხვაობა, მაგრამ ფრანგებმა ამის საშუალება აღარ მისცეს და მშვიდად ჩაამთავრეს შეხვედრა.

**მატჩის შემდეგ:**

**დიდიე დეშამი:**

— ვერ ვიტყი რომ საუკეთესო მატჩი იყო, რადგან ერთი გოლი გავუშვით, რისი აცილებაც შეიძლებოდა. რაც მთავარია მივაღწიეთ მიზანს და სამი ქულა ავიღეთ, მეტოქესთან თამაში ადვილი არ იყო. პირველ ნახევარ საათში ვგეგმავდით გოლის გატანას, ასეთ თამაშებში ანგარიშის გახსნაა მნიშვნელოვანი, რათა ფეხბურთელებს დამატებითი მოტივაცია ჰქონდეთ, მეორე გოლიც მალე გავიტანეთ და შემდეგ შევეცადეთ მატჩი უკვე ჩვენ გაგვეკონტროლებინა.

**თემურ ქეცბაია:**

— პირველ რიგში, მინდა მივულოცო საფრანგეთის ნაკრებს მოგება, დამსახურებული მოგება. ძალიან ძნელი თამაში იყო. პრინციპში, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ბიჭებით კმაყოფილი ვარ, რაც შეეხება პირველ ტაიმში. სამწუხაროა, რომ გოლი ბოლო წამებზე გავუშვით, მაგრამ ასეა ფეხბურთი. გვყავს ძალიან ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გუნდში და იმედია, რომ ეს მათთვის გაკვეთილი იქნება და მომავალში ასეთ შეცდომებს აღარ დავუშვებთ. კიდევ გამოცდილებაა იმ მხრივ, რომ ასეთი დონის გუნდს ეთამაშები, ეს მაგათთვის კარგი გაკვეთილია. სამწუხაროდ, ეს თამაში წავაგეთ, მაგრამ მემგონი ყველამ დაინახა, რომ საფრანგეთის ნაკრები დღეს ჩვენზე უკეთესი იყო და დამსახურებულად მოიგო.

ამის შემდეგ პრესკონფერენცია კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის გაღიზიანება ქართველი ჟურნალისტის კითხვამ გამოიწვია.

***— ბატონო თემურ, რითი ხართ კმაყოფილი, ქართული ფეხბურთით თუ ჩვენების თამაშით? საერთოდ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ თქვენ აქ წასაგებად ჩამოხვედით. რას ნიშნავს საერთოდ მაღალი დონის და მაღალი კლასის ფეხბურთს თამაშობდე...***

— კითხვა ვერ გავიგე, ეს შეკითხვა იყო თუ უკმაყოფილება?

***— წაგებაზე ჩამოსვლით ხართ კმაყოფილი?***

— ვინ თქვა რომ კმაყოფილი ვარ? მე კმაყოფილი ვარ ბიჭების მონდომებით. თქვენ ალბათ კარგად არ გესმით და იმიტომ არ გინდათ რომ გაიგოთ.

***— გუშინ მე ვკითხე დეშამს გადადგებოდა თუ არა, გადადგებით თუ არა თქვენ?***

— სასაცილო არ არის... მაგრამ თქვენისთანა ჟურნალისტი რომ გვყავს იმიტომ არის ასეთი სიტუაცია. რა გინდათ რომ ვთქვა? ბევრჯერ ჩამოვსულვართ და მოგვიგია საფრანგეთში? ან კიდევ ბევრ გუნდს მოუგია საფრანგეთში?

ამის შემდეგ ქეცბაიამ მეტ კითხვას აღარ უპასუხა და თავად გააგრძელა საუბარი:

— რას ველოდით პრინციპში, როგორც ვთქვით თავიდანვე ძნელი თამაში გვქონდა. არც ისეთი ადვილია ჩამოხვიდე საფრანგეთის ნაკრებთან და მოუგო, როგორც ჩვენი ქართველი ჟურნალისტი პრეტენზიას გამოთქვამდა, რომ რატომ წააგეთ საფრანგეთის ნაკრებთანო. არავის არაფრის გაკეთება უნდა საქართველოში და ყველას უნდა ჩამოვიდეთ და საფრანგეთის ნაკრებს მოვუგოთ. სამწუხაროდ, გვაქვს პრობლემები, მაგაზე ვსაუბრობთ დიდი ხანია. მე კმაყოფილი ვარ ბიჭების მონდომებით. რაც შეუძლიათ გამოვიდნენ და გააკეთეს, თავს ზევით ძალა არ არის. უკეთესმა გუნდმა რომ მოგვიგო, ეს ფაქტია. ჩვენ ამას თუ შევისწავლით, რაც შეიძლება მალე და გავიგებთ, რომ ჩვენ არა ვართ საუკეთესო გუნდი მსოფლიოში და ბევრი რამის გაკეთება გვჭირდება. თუ ჩვენ ამას არ გავიგებთ, ძალიან ცუდად არის და ასე გაგრძელდება ჩვენი საქმე.

მატჩის შემდეგ, კომენტარი საქართველოს ნაკრების კარში პირველი გოლის ავტორმა ოლივიე ჟირუმაც გააკეთა, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა:

— გულწრფელად რომ გითხრათ, ქართველ ფეხბურთელებზე ბევრი ინფორმაცია არ მქონდა. ვიცოდით, რომ გუნდურ ფეხბურთს თამაშობენ და მათ წინააღმდეგ თამაში რთულია. ქართველებმა პირველ ტაიმშივე შეგვიქმნეს საფრთხე და ძალა გვაგრძნობინეს. მეორე ტაიმში კი, გოლიც გაგვიტანეს. ჩვენ მოწინააღმდეგეს ძალიან სერიოზულად მივუდექით და მის დასამარცხებლად ყველაფერი გავაკეთეთ. შედეგითაც კმაყოფილები ვართ. ვფიქრობ, საქართველოში თამაში ძალიან რთული იქნება. საქართველოს ნაკრები ღირსეული გუნდია და ეს ჩვენთან თამაშშიც დაამტკიცა, როცა ასე მონდომებით, ბოლომდე გვებრძოდა. ასეთი მონდომებით, ქართველებმა უპირველესად თავის ქვეყანას სცეს პატივი.

ნაკრებში დებიუტით კმაყოფილი დარჩა მადრიდის „რეალის“ მცველი რაფაელ ვარანი:

— დებიუტი ძალიან მახარებს. ეროვნული ნაკრების მაისურის ტარება განსაკუთრებულ ემოციებს აღძრავს. როდესაც ჰიმნი ისმოდა, წარმოუდგენელი განცდები მქონდა. ფანტასტიკური მომენტი იყო. ზეწოლა? „ელ კლასიკოების“ შემდეგ, ეს გრძნობა ჩემთვის უცხოა. ზეწოლა იმდენად არ ყოფილა, რამდენადაც სხვა ემოციები. საკუთარი ქვეყნის ღირსების დაცვა განსაკუთრებულია. ის, რომ მთლად ყველაფერი არ გამომდიოდა, ნორმალური მოვლენაა. მე და სახოს შეთამაშება გვჭირდება, რათა უკეთ ვიასპარეზოთ. რა თქმა უნდა, ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაში ძალიან მინდა. ნაკრებში თამაშს გემო გავუგე და მინდა, სამშობლოს ღირსების დაცვა განვაგრძო.

ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთი მატჩი სენსაციურად დასრულდა — ესპანელებმა შინ ვერ მოუგეს ფინეთის ნაკრებს.

მე-2 ტაიმის დასაწყისში ანგარიში სერხიო რამოსმა გახსნა, თუმცა 79-ე წუთზე პუკიმ თანაფარდობა აღადგინა. დარჩენილ დროში მასპინძლებმა ვერაფერი გააწყვეს გამარჯვების მოსაპოვებლად.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| 2.ესპანეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 8 |
| 3.საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| 4.ბელარუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | 3 |
| 5.ფინეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |

# ეროვნულმა კინოცენტრმა სამწლიანი ანგარიში წარმოადგინა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

მი „უშენოდ მგონი მოვკვდები“ მონაწილეობას იღებდა რუსეთის წამყვან კინოფესტივალებზე საკონკურსო პროგრამაში, მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალისა და „კინოშოკი“-ს შემდეგ ფილმის წარდგენა ვლადივასტოკის კინოფესტივალზე გადაწყდა“.

ეროვნული კინოცენტრის ანგარიშში წარმოდგენილია სტრატეგიული მიმართულებაც:

„2010 წლიდან ეროვნული კინოცენტრის პრიორიტეტებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სტრატეგიისა და კვლევის მიმართულებამ, რომლიც წარმოადგენს ძირითად ინსტრუმენტს კინოცენტრისა და კინოსექტორის კინოპოლიტიკის განსაზღვრისთვის, სტრატეგიის შემუშავებისთვის. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში ეროვნულმა კინოცენტრმა პრიორიტეტად დაისახა სექტორში ბაზრის კვლევის განხორციელება, მიგნებების საფუძველზე სისუსტეების გამოვლენა და თანმიმდევრული, რეალისტური სამოქმედო გეგმის განსაზღვრა. მიმოხილულ პერიოდში განხორციელდა შემდეგი კვლევები: 2010 წელს ეროვნულმა კინოცენტრმა მარკეტინგულ კომპანიასთან ერთად ჩაატარა „ქართულ ფილმებში პროდუქციის/მომსახურების განთავსების პრაქტიკის კვლევა“. მომდევნო წელს ეროვნულმა კინოცენტრმა ბრიტანულ კომპანიასთან ერთად ჩაატარა „ეკონომიკური რუკის კვლევა“. გასულ წელს ჩატარდა კვლევა ადგილობრივი დისტრიბუციის/კინოთეატრების ასაღწერად და მოკლე ანალიზის გასაკეთებლად. განხორციელებული კვლევების მეთოდოლოგია და შედეგები ანგარიშების სახით ხელმისაწვდომია ეროვნულ კინოცენტრში“.

ეროვნულმა კინოცენტრმა თამარ ტატიშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში პრიორიტეტად მიიჩნია თანამშრომლობის განვითარება ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლის ფარგლებშიც გაფორმდა მემორანდუმები თანამშრომლობის შესახებ სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციებთან – საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტთან (საქართველოში კინოტურიზმის განვითარებისა და საქართველოში უცხოური კინოწარმოების მასპინძლობის გაადვილების მიზნით) და საზოგადოებრივ მაუწყებელთან (ეროვნული კინოცენტრის კონკურსში გამარჯვებული დოკუმენტურ ფილმებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკური ბაზით). გასული წლის დასაწყისში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ავტორთა საზოგადოებასთან.

„ჩატარებული კვლევების შედეგად გამოიკვეთა ბაზრის საჭიროებები, რომელთაგან ერთ-ერთია განვითარების ეტაპის არარსებობა ფილმის შექმნის პროცესში. აღნიშნული მიმართულების გასავითარებლად გადაიდგა რამდენიმე ნაბიჯი: სცენარების განვითარების პროგრამა განხორციელდა ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით ევროპულ საგანმანათლებლო ტრენინგ-პლატფორმასთან ერთად; ლიტერატურულ კონკურსზე „გალა“ – დაწესდა ახალი ნომინაცია „საუკეთესო კინოსცენარი“, კინოსცენარების განვითარების მიზნით გაიცა 5 გრანტი. ამ მიმართულებით კინოცენტრი ანხორციელებს რამდენიმე პორექტს. მათ შორის აღსანიშნავია თანამშრომლობა რობერტ ბოშის ფონდთან „პროექტების ბაზრობა – თბილისი“; კინოპროექტებისა და ქსელური მუშაობის განვითარების პროფესიული ტრენინგ-პროგრამის ფარგლებში; თანამშრომლობა ევროპულ ტრენინგ პლატფორმასთან. რობერტ ბოშის ფონდი საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის პერსპექტივა დაისახა 2011 წლის დასაწყისში. ინიციატივის ფარგლებში ფონდთან ერთად ხორციელდება ახალგაზრდა კინემატოგრაფისტების პროექტების განვითარება და ახალგაზრდა გერმანელი თანა-პროდიუსერების მოძიება და მათთან თანამშრომლობა. საქართველოში კინოპროექტებისა და ქსელური მუშაობის განვითარების პროფესიული ტრეინინგ-პროგრამის ფარგლებში ორი ტრენინგი ჩატარდა.

ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის კინოპროექტებისა და სცენარების განვითარების პროგრამა განხორციელდა ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით ევროპულ კინოტრენინგ ორგანიზაციასთან ერთად. კინოპროექტების განვითარების სემინარს დაესწრო 13 ქართველი მონაწილე 5 კინოპროექტით, ხოლო სცენარის განვითარების ტრენინგს 10 მონაწილე. ეროვნული კინოცენტრი ყოველწლიურად აგზავნის თითო მონაწილეს ტრენინგ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ეხება ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებისთვის კინოპროექტების განვითარებას, საპროდიუსერო და სასცენარო უნარების სწავლებას“.

ეროვნული კინოცენტრის პრიორიტეტად განისაზღვრა ქართული კინოს პოზიცირება საერთაშორისო ბაზარზე, რაც გამოიხატა „ეუროპიან ფილმ პრომოუშენში“ ეროვნული კინოცენტრის გაწევრიანებით.

„ეს ორგანიზაცია წარმოადგენს კინოორგანიზაციების საერთაშორისო ქსელს, რომელიც პოპულარიზაციას უწევს ევროპულ კინოს მსოფლიოს მასშტაბით. ქსელში გაწევრიანებულია 32 ქვეყნის პროფესიული კინოორგანიზაცია. საქართველოს ეროვნული კინოცენტრის გაწევრიანების იდეა დაისახა 2010 წლის მიწურულს. ორგანიზაციის საქმიანობებიდან გამომდინარე გამოიკვეთა ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლობის აუცილებლობა ორი მიმართულებით, რომელიც გულისხმობს პროდიუსერებისა და მსახიობების ხელშეწყობას. პროდიუსერების აქტივობაში მონაწილეობა მიიღო ქართველმა პროდიუსერმა ვლადიმერ კაჭარავამ, ხოლო სამსახიობო აქტოვობაში ეროვნულმა კინოცენტრმა ოქტომბრის თვეში ნომინირება გაუწია ქართველ მსახიობს თორნიკე ბზიავას. ამავე წელს ეროვნული კინოცენტრი გაწევრიანდა ევროპულ კინოორგანიზაციაში, რომელიც წარმოადგენს ახალი ამბების სერვისს და ფარავს საერთაშორისო კინოინდუსტრიას. ეროვნული კინოცენტრის აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებით საქართველოდან კინოსიახლეები რეგულარულ რეჟიმში ვრცელდება საერთაშორისო კინოინდუსტრიის ქსელში.“

თამარ ტატიშვილის დროს ეროვნულ კინოცენტრში დაარსდა რეგიონული ფონდი.

„რეგიონული ფონდის დაარსების მიზნით კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში, სხვა ქვეყნების წარმატებული გამოცდილების შესწავლის შემდეგ შემუშავდა საქართველოში რეგიონალური ფონდის დაარსების კონცეფცია. გასული წლის თებერვალში, ქალაქ ბათუმში მოხდა აღნიშნული კონცეფციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისთვის შეთავაზება. აპრილში კი აჭარის კულტურის სამინისტროში გამოიყო სპეციალური პროგრამული დაფინანსება 100.000 ლარის ოდენობით რეგიონში კინოგადაღებების წახალისების მიზნით“.

ეროვნულმა კინოცენტრმა ამ სამი წლის განმავლობაში გადაწყვიტა საქართველოს კინოსექტორის წარმოჩენა საერთაშორისო არენაზე, ამიტომ აქტიურად დაიწყო ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლობა საერთაშორისო კინოფესტივალებთან და ბაზრობებთან „2010-2012 წლებში ეროვნულმა კინოცენტრმა კინოექსპორტის მიმართულებით მონაწილეობა მიიღო კანის 63-ე, 64-ე და 65-ე კინოფესტივალების ფარგლებში ორგანიზებულ კინო ბაზრობებში. კანის კინობაზრობის ფარგლებში ეროვნული კინოცენტრის მიერ განხორციელებული შეხვედრების შედეგად გამყარდა კონტაქტები ისეთ საერთაშორისო ფესტივალებთან, როგორებიც არის ბერლინის, ლოკარნოს, მონრეალის, სარაევოს, ვისბადენის, ტრიესტეს, კარლოვი ვარის კინოფესტივალები. მომდევნო წლებში ბერლინის 61-ე და 62-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ კინობაზრობებზე ეროვნული კინოცენტრი მეხუთედ და შესაბამისად მეექვსედ წარსდგა საქართველოს სტენდით. ეროვნული კინოცენტრი 2011 წელს პირველად ოფიციალურად წარდგა ბოსნია-ჰერცეგოვინაში სარაევოს მე-17 კინოფესტივალზე, ხოლო შარშან ივლისში მე-18 საერთაშორისო კინოფესტივალზე, საქართველო პირველად იყო ოფიციალურად წარმოდგენილი ფესტივალის სხვადასხვა ინდუსტრიულ სექციებში. წელს ლოკარნოს კინოფესტივალის ინდუსტრიული პროგრამის ფოკუსში მოხვდება კავკასიის რეგიონი. ეროვნული კინოცენტრის შუამდგომლობით ქართულმა კინოპროექტებმა მონაწილეობა მიიღო ტრიესტში, კოტბუსში და სოფიაში გამართულ კო-პროდუქციის ფორუმებზე. ეს ღონისძიებები საშუალებას აძლევს ქართველ კინემატოგრაფისტებს, მოიძიონ ალტერნატიული დაფინასება, განავითარონ პროექტები, დაეუფლონ ქსელური მუშაობის და პიტჩინგის უნარებს. ქართული ფილმების რეტროსპექტივა მოეწყო ევროპულ ქალაქებში – ლონდონში, პოლონეთის ქალაქ ტორუნში, უკრაინის ქალაქ ოდესაში, მაკედონიის რესპუბლიკის ქალაქ სკოპიეში. ეროვნულმა კინოცენტრმა მიზნად დაისახა ადგილობრივი ფესტივალების მხარდაჭერა. საქართველო მასპინძლობს 5 საერთაშორისო ფესტივალს. ეს ფესტივალები ნაწილობრივ ფინანსდება კინოცენტრის სუბსიდიებით. თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, იმართება ყოველწლიურად დეკემბერში; ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი, იმართება ყოველწლიურად სექტემბერში; თოფუზის საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალი, იმართება ყოველწლიურად ოქტომბერში; ამირანის სტუდენტური ყოველწლიური საერთაშორისო კინოფესტივალი, იმართება ყოველწლიურად ივნისში.“

ეროვნული კინოცენტრის სამწლიან ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია პროექტების დაფინანსებასა და სამგზავრო თანხებზე 2010-2012 წლებში. ანგარიშში ნათქვამია, რომ:

„საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ 2010 – 2012 წლებში პროექტებსა და სამგზავრო თანხებზე გაცემული თანხები მიმართულებების მიხედვით შეადგენს ყოველწლიურად გაიცემა სამგზავრო თანხები: 2010 წელს დაკმაყოფილდა 26 განაცხადი; 2011 წელს – 45 განაცხადი; 2012 წელს ოქტომბრის თვისათვის დაკმაყოფილებულია 35 განაცხადი. კინოჩვენებების მიმართულებით ეროვნული კინოცენტრმა დააფინანსა:? 2010 წელს ერთი პროექტი „კინოჩვენებები ღია ცის ქვეშ“, 2012 წელს დაფინანსდა სამი პროექტი („სარკმელი სამყაროში“, „ახალი თაობის ფესტივალი“ და „ნიქოზის საერთაშორისო ანიმაციური კინოფესტივალი“). ეროვნული კინოცენტრი მხარს უჭერს კინოლიტერატურის გამოცემასაც: 2010 წელს დაფინანსდა 2 პროექტი („კინოტერმინოლოგიის ლექსიკონი“ და „რეზო ჩხეიძე და დრო“); 2012 წელს დაფინანსდა ერთი გამოცემა „ქართული მულტიპლიკაციის ენციკლოპედია“. გარდა ამისა, ეროვნული კინოცენტრი რეგულარულად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სახის პროექტებში, როგორიცაა სემინარები, მასტერკლასები, ასევე ფილმის სუბტიტრირება, ფირზე გადატანა და ფილმის დისკის დაბეჭდვა: 2010 წელს დაფინანსდა სამი პროექტი – „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“-ს, მომზადდა დისკი, სადემოსტრაციო ვერსია; სტუდია „სინეტეკი“-ს საზაფხულო კინოსკოლის ოთხი მოკლემეტრაჟიანი ფილმის ასლის ფირზე გადატანა და დაბეჭდვა და „ხმელეთი 0,047%“-ის სუბტიტრირება. 2012 წელს დაფინანსდა ორი პროექტი: „საფეხური“ და „დოკუმენტური თხრობა კინოში“. ცალკე აღნიშვნის ღირსია კინოჟურნალი ფილმ პრინტი, რომელიც ეროვნული კინოცენტრისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით გამოდის. სულ გამოსულია ჟურნალის 6 ნომერი. მიმდინარეობს მუშაობა მე-7 ნომერზე. ამათგან ერთი ნომერი ინგლისურენოვანია, სადაც მოთავსდა პირველი სამი გამოცემის საუკეთესო სტატიები. ჟურნალი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ყველა ნომერს ყავს სხვადასხვა რედაქტორი. ამიტომ არცერთი ნომერი არ ჰგავს ერთმანეთს და ეს ფაქტორი მრავალფეროვანს ხდის თითოეულ გამოცემას. ჟურნალი საშუალებას აძლევს ქართველ და უცხოელ მკითხველს, გაეცნოს თანამედროვე კინო მოვლენების შესახებ ინფორმაციას და გააქტიუროს საქართველოს მიმართ პროფესიონალთა ინტერესი“.

## სკანვორდი



1. ეროვნული პარკი კენიაში; 2. ... ტრიოლე; 3. ალკოჰოლური სასმელი; 4. ნოტი; 5. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 6. ერთგვარი გომბეშო; 7. „ქალაქი ...“; 8. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 9. ქალთა ქართული ცეკვა; 10. კუტი, ინვალიდი; 11. თიხის ან ფაიფურის პატარა ჩასაბერი საკრავი; 12. რადიოდანადგარის ნაწილი; 13. როგორიმე წესი, რიგი, ხასიათი; 14. კაუსტიკური სოდა; 15. ... ნოლტი; 16. ტიბეტური ხარი; 17. სპორტის იაპონური სახეობა; 18. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 19. გრძელი, ფართო წამოსასხამი; 20. ჯოზეფ ... (ბიზნესმენი); 21. სპორტული ჯირითი; 22. ბუნებრივი საღებავი; 23. მეეტლის ადგილი; 24. სოფიკო ჭიაურელის სცენური სახე; 25. წარწერა ფილმის კადრზე; 26. ჯუჯა კამეჩი; 27. სატურნის თანამგზავრი; 28. მაგნიტი; 29. რისამე აღნაგობა, წყობა; 30. სტალონეს მეტსახელი; 31. მუდმივი დენის გენერატორი; 32. ... საფინი; 33. გაორმაგების აღმნიშვნელი წინსართი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ურთხელი; 2. ეპისტოლე; 3. აგრონომია; 4. ჯორჯაძე; 5. მიტელშპილი; 10. მალაგა; 11. გაგარინი; 12. ბაიკერი; 13. ბილაინი; 16. კაბალიერო; 17. ბენეტონი; 19. არტანუჯი; 21. ვარჯი; 23. თეთრა.

**თარაზულად:** 6. არქიპელაგი; 7. კოპტები; 8. სენატი; 9. არტანუჯი; 14. დიამბეგი; 15. სპილბერგი; 18. კონკა; 20. ვედრება; 22. თითბერი; 24. მახათა; 25. კემბრიჯი; 26. პარანა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კურტაჟი; 2. ლაკმუსი; 3. ბიმეტალი; 4. სოფიტი; 5. გუდიარი; 8. ღირსება; 9. დეპუტატი; 12. მჭედლიძე; 13. მაესტრო; 16. დინასტია; 17. ბოლვერა; 19. სპარტა; 20. დიდუბე.

**თარაზულად:** 6. ფუქსავატი; 7. კორპუსი; 8. ღვენთი; 10. ხართუმი; 11. საკე; 14. ფრანკები; 15. დეპრესია; 18. ნიბლია; 21. პარმალი; 22. დიჯეი; 23. არეუნა; 24. ლაფონტენი.

# საქართველომ ირლანდიასთან იბრძოლა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რომ ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატის სტრუქტურის შეცვლამ გაამართლა და ელიტურ დივიზიონში, რომელშიც 6 ერის ასაკობრივი ნაკრებები თამაშობენ, ერთა თასის ორი საუკეთესო ასაკობრივი ნაკრების დამატება შეცდომა არ ყოფილა! მან აგრეთვე დაამატა, რომ ეს ერთა თასის გამარჯვება იყო. მატჩის ფრანგმა რეფერიმ, ქართველების მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა და ბრძანა, რომ მას დიდი ხნის განმავლობაშ არ ენახა ასეთი თავდადებული თამაში. მან ასევე აღნიშნა, რომ ქართველი 18-წლამდელები ერთი წამითაც არ გატყდნენ და მიღებულ ლელოებს – ლელოებითვე პასუხობდნენ. მუარონის რაგბის კლუბის პრეზიდენტმა კი სთქვა, რომ ქართული რაგბის პროგრესიდან გამომდინარე, უკვე დადგა დრო 6 ერის თასისა 7 ერის თასად გარდასაქმნელად. ჩვენ თავი უხერხულად ვიგრძენით, ვინაიდან, მიღებაზე დამსწრეთა სრული ყურადღება ჩვენი ბიჭების მიმართ იყო მიპყრობილი და მატჩში გამარჯვებულ ირლანდიელ 18-წლამდელებს შედარებით ნაკლები ყურადღება დაეთმოთ. მიუხედავად ყველაფრისა მინდა, რომ ყველამ დავივიწყოთ და ისტორიას ჩავაბაროთ ეს მატჩი, ვინაიდან ახლა იტალიასთან თამაშზე უნდა ვიფიქროთ ყველამ! ნურავის ნუ შეექმნება მცდარი წარმოდგენა იტალიის ნაკრებზე იმით, რომ მათ საფრანგეთთან, თავიანთ თავზე ბევრად უფრო ძლიერ მეტოქესთან დიდი ანგარიშით დათმეს შეხვედრა. იტალიელებს საკმაოდ ძლიერი ნაკრები ყავთ და ჩვენ წინ არ გველის იოლი შეხვედრა. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ბიჭები შეძლებენ ემოციური რეზერვის შევსებას და ძალების სრულ მობილიზებას და მთელ კონცენტრირებას მოახდენენ იტალიასთან გასამართ მატჩზე.

**დონ კასკი, საქართველოს ეროვნული სარაგბო აკადემიის მენეჯერი:**

– ჩვენ გვქონდა ირლანდიის ნაკრების დამარცხების კარგი შესაძლებლობა, რომელიც სამწუხაროდ ხელიდან გავუშვით. თამაშის განმავლობაში, ფირა ერის პრეზიდენტმა – ჟან კლოდ ბაკემ მითხრა, რომ იგი აღფრთოვანებულია იმით თუ რამდენად გამოვასწორეთ ჩვენ თამაში ბოლო ორი წლის განმავლობაში. მართლაც ერთ-ერთი ბრწყინვალე მატჩი ჩავატარეთ, რომელშიც ირლანდიის საკმაოდ ძლიერ ნაკრებს დავუპირისპირდით. სამწუხაროდ, ჩვენ დავუშვით ორიოდ დასანანი შეცდომა, რომელსაც ასეთი ძლიერი გუნდები არ გპატიობენ. შეცდომების გამოსწორება შესაძლებელია მაღალი დონის გუნდებთან ხშირი თამაშითა და გამოცდილების დაგროვებით. თამაშის შემდეგ, ირლანდიელთა მენეჯერმა სთქვა, რომ იგი ბოლო წამამდე არ იყო დარწმუნებული თავისი გუნდის გამარჯვებაში და რომ ქართველმა 18-წლამდელებმა ერთ-ერთი შთამბეჭდავი მატჩი გამართეს. ჩვენი შემდეგი ეტაპი იტალიასთან გასამართი მატჩია. აუცილებლად გავივლით და გამოვასწორებთ ირლანდიასთან დაშვებულ შეცდომებს და მოვემზადებით მატჩისათვის. იტალიას ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ კარგი მომზადების შემდეგ ჩვენ ყოველგვარი შიშის გარეშე მათ შევერკინებით.

სატურნირო განრიგის მიხედვით, საქართველოს 18 წლამდე ნაკრები 26 მარტს, თბილისის დროით 20:00 საათზე იტალიის ნაკრებს შეხვდება და გამარჯვების შემთხვევაში, 30 მარტს უელსისა და პორტუგალიის წყვილში გამარჯვებულთან მოუწევს თამაში.

**მ. ჟ.**

## ანდერს ბრეივიკი დედის დაკრძალვაზე დასწრების უფლებას ითხოვს

ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბრეივიკი, რომელიც 2011 წელს 77 ადამიანის მკვლელობისთვის იხდის ბრალს, დედის, ბენკე ბერინგ ბრეივიკის დაკრძალვაზე დასწრების უფლებას ითხოვს. ამის შესახებ, „ესოშეითედ პრესი" იუწყება.

ტერორისტის ადვოკატის განცხადებით, ბრეივიკი დედას, თვის დასაწყისში ციხეში შეხვდა. ბენკე ბერინგ ბრეივიკი, პარასკევს გარდაიცვალა.

„მას უფლება მისცეს გამომშვიდობებოდა დედას, ორივემ იცოდა, რომ ეს უკანასკნელი შეხვედრა იყო. ის გლოვობს. ეს მისთვის ძალიან სამწუხარო ამბავია. მან მითხრა, რომ ისინი სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიის მატარებლები იყვნენ, მაგრამ დედაშვილს არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდათ",– განაცხადა ადვოკატმა.

მანამდე „ტელეგრაფი" წერდა, რომ ნორვეგიელ ტერორისტს ბავშვობაში დედა სასტიკად ეპყრობოდა.

„ის მასში სასტიკ ზრდასრულ მამაკაცს ხედავდა, მიუხედავად იმისა, რომ ის მანაშინ პატარა ბიჭი იყო. ქალი შიშობდა, რომ ის საზოგადოებისთვის საშიში იყო", – ნათქვამია „ტელეგრაფში" გამოქვეყნებულ სტატიაში.

ფსიქოლოგების დასკვნით, ვენკე ბერინგი, ჯერ კიდევ მისი ძუძუთი კვების დროს გრძნობდა, რომ შვილი „აგრესიული და ჰიპერაქტიური" იყო. ხოლო, როცა ანდერსი ოთხი წლის იყო, ეუბნებოდა, რომ მისი სიკვდილი სურდა.

2011 წლის ზაფხულში, ანდერს ბრეივიკმა ოსლოს ცენტრში ბომბიააფეთქა და შემდეგ კუნძულ უტოიაზე არსებული ახალგაზრდული ბანაკის მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნა. მის ქმედების შედეგად, 77 ადამიანი დაიღუპა. ბრეივიკი, ოსლოსთან მდებარე „ილას" ციხეში, ერთადგილიან საკანში იხდის სასჯელს.

ანდერს ბრეივიკი დაიბადა 1979 წლის 13 თებერვალს დიპლომატის, კერძოდ ლონდონში ნორვეგიის საელჩოს ეკონომისტის, იენს ბრეივიკისა და მედდის, ვენკე ბერინგის ოჯახში. ახლადშეუღლებული წყვილი მალევე, 1980 წელს დაშორდა ერთმანეთს, როცა ანდერსი ერთი წლის იყო. განქორწინების შემდეგ, ვენკე ბერინგი შვილთან ერთად საცხოვრებლად ნორვეგიაში გადავიდა. ანდერს ბრეივიკს, მამის მხრიდან, ჰყავს ორი ნახევარძმა და ერთი ნახევარდა, ხოლო დედის მხრიდან ნახევარდა. იგი იზრდებოდა დედასთან, ოსლოს დასავლეთით, მდიდარ რაიონში, სკოიენში. მოგვიანებით ვენკე ბერინგი ცოლად გაჰყვა ნორვეგიის არმიის მაიორს, ტურე ლარსენს.

მამას, ბრეივიკ უმცროსი ზაფხულობით პარიზში ნახულობდა, სადაც იენს ბრეივიკი დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა. 1994 წელს, 15 წლის ყმაწვილ ანდერს ბრეივიკს მამასთან დაპირისპირება მოუვიდა და მას შემდეგ ისინი აღარ შეხვედრილან. როგორც ცნობილია ანდერს ბრეივიკის დედ-მამა იმავე პარტიის, ნორვეგიის შრომის პარტიის, მხარდამჭერები იყვნენ, რომლის ახალგაზრდულ ბანაკზე მან თავდასხმა განახორციელა.

მამამ, იენს ბრეივიკმა როცა ინტერნეტით შეიტყო მის ნამოქმედარზე, შვილზე უარი თქვა და ანდერს ბრეივიკს ურჩია სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულოს. ამჟამად ბრეივიკის სამი და ცხოვრობს კონსპირაციულ ბინებში, სპეციალური დაცვის სამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ, რადგან ძალზედ დიდია ტერაქტის შედეგად დაზარალებული ოჯახების მხრიდან აგრესიის საფრთხე.

სწავლობდა სმესტადის დაწყებით სკოლაში, რისის საშუალო სკოლაში, სრული ზოგადი განათლება კი ჰართვიგ ნისენის სკოლაში მიიღო. უმაღლეს განათლებას ინტერნეტით ეუფლებოდა, ნორვეგიის მენეჯმენტის სკოლაში. 1999 – 2003 წლებში ანდერს ბრეივიკი მუშაობდა საკომუნიკაციო კომპანია „თელიას" ქოლცენტრში.

# ბორის ბერეზოვსკი მოწამლეს?



ბრიტანეთის პოლიცია ბორის ბერეზოვსკის შესაძლო მოწამვლის ვერსიას ამოწმებს. ამის შესახებ გაზეთი „ტელეგრაფი" წერს, თუმცა ამ ინფორმაციის წყაროს არ მიუთითებს.

„პოლიცია შიშობს, რომ რუსი ოლიგარქი, რომელიც საკუთარ სახლში გარდაცვლილი ნახეს, შესაძლოა მოწამლული იყოს", – აღნიშნულია სტატიაში.

რაც შეეხება კიდევ ერთ გამოცემას, „სქაი ნიუსი" პოლიციაზე დაყრდნობით იუწყება, რომ ბერეზოვსკის სახლში ჩატარებული შემოწმების შემდეგ რადიაციული ფონის გადაჭარბებული რაოდენობა არ დაფიქსირებულა.

67 წლის ბორის ბერეზოვსკის ცხედარი დიდ ბრიტანეთში, სურეის საგრაფოში, ქალაქ ასკოტთან მდებარე მის სასახლეში ორი დღის წინ აღმოაჩინეს. ცხედარი სააბაზანოში იპოვეს. ბორის ბერეზოვსკი დიდ ბრიტანეთში 2001 წლიდან ცხოვრობდა, სადაც 2003 წელს პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიიღო.

ბერეზოვსკის გარდაცვალების მიზეზების შესახებ რამდენიმე ვერსია ვრცელდება.

ადვოკატმა ალექსანდრ დობროვინსკიმ „ფეისბუქში" დაწერა, რომ ბიზნესმენმა თავი მოიკლა. დობროვინსკის განცხადებით, ბერეზოვსკი ბოლო დროს მძიმე მდგომარეობაში, ფაქტობრივად გაკოტრებული იყო და იძულებული გახდა, თავისი კოლექციიდან სურათები გაეყიდა.

„ჩვენი საერთო ნაცნობებიდან ვიცი, რომ ბერეზოვსკიმ მათ რამდენიმე ათასი დოლარი სთხოვა, რომ ბილეთი აეღო და სადღაც გაფრენილიყო", – აცხადებს ადვოკატი.

თუმცა რუსული მედია იმასაც იუწყება, რომ ბოლო დროს ბერეზოვსკის გულის შეტევა რამდენჯერმე დაემართა და შესაძლოა, მისი სიკვდილის მიზეზი სწორედ ინფარქტი იყო.

ამასთან, ზოგიერთი დასავლელი ჟურნალისტი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ბერეზოვსკი მოკლეს.

ცოტა ხნის წინ მან რუსი ოლიგარქის აბრამოვიჩის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი წააგო . ბერეზოვსკი აბრამოვიჩს ლონდონის სასამართლოში 4,7 მილიარდ დოლარს ედავებოდა. მისი თქმით, აბრამოვიჩმა მასზე ზეწოლის საშუალებით იაფად გააყიდინა თავისი აქტივები რუსეთში. რუსული სააგენტო „ნიუსრუ.ქომის" ინფორმაციით, ამ სასამართლო პროცესისთვის დაქირავებული იურისტების გასასტუმრებლად, მას რამდენიმე სახლის და ცნობილი სურათის „წითელი ლენინის" გაყიდვა მოუწია. მან გაყიდა ასევე 1927 წელს გამოშვებული „როლს როისი".

უსახსრობის გამო მას მოუწია სხვა სასამართლო პროცესების შეწყვეტაც. ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინ მან სასამართლო პროცესი შეწყვიტა პარკაციშვილების ოჯახის წინააღმდეგაც. მხარეები დაზავებაზე შეთანხმდნენ. ბერეზოვსკიმ, პატარკაციშვილის ოჯახთან ყველანაირი მოთხოვნა გააუქმა. ასევე ცნობილია, რომ ბერეზოვსკიმ პატარკაციშვილების ოჯახს „ბორჯომი" დაუთმო.

სიკვდილის წინ, ბორის ბერეზოვსკიმ, რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს წერილობით მიმართა, რომელშიც პრეზიდენტს მიტევება და სამშობლოში დაბრუნების უფლება სთხოვა. ამის შესახებ, რუსული მედია რუსეთის პრეზიდენტის პრეს-მდივანის დიმიტრი პესკოვის, ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება.

„რამოდენიმე ხნის წინ, ბერეზოვსკიმ ვლადიმერ პუტინს, მის მიერ პირადად დაწერილი წერილი გამოუგზავნა, რომელშიც ის გამოტყდა, რომ დაუშვა უამრავი შეცდომა და რუსეთის პრეზიდენტს შეწყალება და სამშობლოში დაბრუნების უფლება სთხოვა. ჩემთვის უცნობია, რა რეაქცია ჰქონდა პრეზიდენტს ბერეზოვსკის სიკვდილთან დაკავშირებით, თუმცა ნებისმიერი ადამიანის სიკვდილი საწყენია, მნიშვნელობა არ აქვს, როგორი იყო ის სიცოცხლეში „ცუდი თუ კარგი", – ციტირებს რუსული გამოცემა პესკოვის სიტყვებს.

რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა, ბერეზოვსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა. ამის შესახებ, რუსული მედია იუწყება.

„გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ ან არაფერს", – განაცხადა რუსეთის მთავარმა კომუნისტმა და დასძინა რომ ვინაიდან ის მორწმუნე ოჯახიდან არის, გარდაცვლილ ბიზნესმენზე, მისი დაკრძალვის შემდეგ ისაუბრებს, როდესაც მისი სული სიმშვიდეს მოიპოვებს.

„კარგი და კეთილი სიტყვებით საუბარი მე ბერეზოვსკიზე არ შემიძლია. ის თავად გამოტყდა, რომ ბევრი შეცდომა დაუშვა, დარჩა ოჯახის, სამშობლოს, ფულის და მეგობრების გარეშე და ფინალიც სრულიად ლოგიკურია. რაც შეეხება მის პოლიტიკურ ბიოგრაფიას – მე მასზე საკუთარი მოსაზრება გამაჩნია, მაგრამ ჩემს დამოკიდებულებას დაკრძალვის შემდეგ გამოვთქვამ, როდესაც მისი სული სიმშვიდეს მოიპოვებს", – განაცხადა ზიუგანოვმა.

## ირანის სულიერი ლიდერი აშშ-სთან მოლაპარაკებებისთვის მზადაა

ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერი ლიდერი აიათოლა ალი ჰამენეი ვაშინგტონთან პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვაზე უარს აღარ იტყვის, თუმცა ასეთი დიალოგის პროდუქტიულობაში ეჭვი ეპარება.

თებერვლის დასაწყისში ჰამენეიმ განაცხადა, რომ ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ აშშ-სთან პირდაპირ დალოგზე უარს არ ამბობს.

„ამერიკელების მხრიდან წამოვიდა სიგნალი ბირთვული პრობლემის შესახებ პირდაპირი მოლაპარაკებების გამართვასთან დაკავშირებით. მე ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი, თუმცა მათი გამართვის წინააღმდეგი არ ვარ", – აღნიშნა ჰამენეიმ ადგილობრივი ტელეკომპანიის ეთერში.

ამასთან, სულიერი ლიდერი მიიჩნევს, რომ მოლაპარაკებებში აშშ-ის მიზანი ირანზე ზეწოლის განხორციელება და არა შეთანხმების მიღწევაა, ირანის პოზიცია კი იმაში მდგომარეობს, რომ პარტნიორებს ბირთვული პროგრამის მშვიდობიანი მიზნები დაუმტკიცოს.

შეგახსენებთ, რომ აშშ, დასავლეთის რიგი ქვეყნები და ისრაელი ირანს ბირთვული იარაღის შექმნაში ადანაშაულებენ. ამ ეტაპზე ირანის წინააღმდეგ რიგი სანქციები მოქმედებს.

ამ დღეებში, ბარაკ ობამამ ირანის ხელისუფლებას მიმართა და ირანის ბირთვული პროგრამის საკითხის გადაჭრა სთხოვა – ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „ასოშეითედ პრესი" ავრცელებს.

თავის ტრადიციულ მიმართვაში, რომელიც სპარსული ახალი წლის – ნოვრუზის მილოცვისას გააკეთა, აშშ-ის პირველმა პირმა აღნიშნა, რომ ირანმა გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადადგას და მსოფლიო საზოგადოების აზრს, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, ანგარიში გაუწიოს.

„ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნევს, რომ ეს კონფლიქტი მხოლოდ დიპლომატიური გზით უნდა გადაიჭრას. ირანი ირწმუნება, რომ კვლევა ბირთვულ სფეროში მშვიდობიან ხასიათს ატარებს, მაგრამ მსოფლიო მათ ამაში ვერ დაარწმუნეს. ახლა მათ აქვთ შესაძლებლობა, მოახდინონ ამის უფრო რეალური დემონსტრირება", – აღნიშნა ბარაკ ობამამ.

როგორც ცნობილია, დასავლური სახელმწიფოები და ისრაელი შიშობენ, რომ ატომური კვლევები თეირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნას ემსახურება. ირანი უარყოფს ამ ეჭვებს და ირწმუნება, რომ პროგრამა მხოლოდ სამოქალაქო მიზნებისთვისაა შექმნილი და მშვიდობიან ხასიათს ატარებს.

## პაკისტანის ექს-პრეზიდენტი სამშობლოში დაბრუნდა



ოთხი წლის განმავლობაში სამშობლიდან გაქცეული პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი სამშობლოში დაბრუნდა.

მუშარაფი აპირებს სათავეში ჩაუდგეს საკუთარ პარტიას და მონაწილეობა მიიღოს მაისში დაგეგმილ არჩევნებში.

აეროპორტში მას მომხრეების დიდი ჯგუფი დახვდა, რომლებიც სკანდირებდნენ „გაუმარჯოს გენერალ მუშარაფს".

ექს-პრეზიდენტს ქვეყნის მოქმედმა ხელისუფლოებამ რამდენიმე სასამართლო საქმესთან დაკავშირებით ხელშეუხებლობის გარანტიები მისცა. შესაბამისად მუშარაფი დარწმუნებულია, რომ მას არ დააპატიმრებენ.

მოძრაობა თალიბანი კი აცხადებს, რომ ისინი პაკისტანის ყოფილ ლიდერს გაანადგურებენ, რადგან მან ქვეყნის ინტერესები გაყიდა.

მუშარაფმა სამშობლოში დაბრუნებამდე განაცხადა, რომ მას არ აშინებს თალიბების მუქარა და იგი თავდაცვისა და უსაფრთხოების ზომებს მიიღებს.

ამ ფონზე, ჩრდილოეთ ვაზისტანის პროვინციაში, საკონტროლო გამშვებ პუნქტზე, თვითმკვლელი ტერორისტის მიერ მოწყობილი აფეთქების შედეგად, 17 ჯარისკაცი დაიღუპა.

აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ამ დრომდე არავის აუღია.

ჩრდილოეთ ვაზისტანის პროვინცია ავღანეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს, სადაც თალიბანისა და „ალ-ქაიდას" საკმაოდ მყარი პოზიციები აქვთ.

როგორც აღვნიშნეთ, თალიბანის წარმომადგენელთა განცხადებით ისინი აპირებენ თავდასხმას ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტზე ფერვეზ მუშარაფზე, რომელიც პაკიტანში დაბრუნდა. დასავლეთის მედია წერს, რომ ეს აფეთქებათ სწორედ მუშარაფის გაფრთხილების მანიშნებელი იყო.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## ბენიამინ ნეთანიაჰუმ რეჯეპ ტაიპ ერდოღანს ბოდიში მოუხადა

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ საკუთარი თურქი კოლეგის წინაშე 2010 წლის მოვლენების გამო ბოდიში მოიხადა. საუბარი ეხება მოვლენებს, როდესაც იმ გემების დაკავებას, რომლებიც ღაზას სექტორის ბლოკადის გარღვევას ცდილობდნენ, თურქეთის ცხრა მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა. როგორც „როიტერი" აშშ-ის ხელისუფლების ანონიმურ წარმომადგენელზე დაყრდნობით იუწყება, ერდოღანმა ბოდიში მიიღო და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დალაგების აუცილებლობას დათანხმდა.

ისრაელის ლიდერის კანცელარიაში აცხადებენ, რომ ნეთანიაჰუ მზადაა, დაღუპულთა ოჯახებს კომპენსაცია გადაუხადოს. საუბარი, ისარელში აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ვიზიტის დროს შედგა, სადაც პრეზიდენტმა რეგიონში ამერიკის ორ მთავარ მოკავშირეს შორის ურთიერთობების აღდგენის იმედი გამოთქვა.

ორი ქვეყნის პრემიერს შორის უკანასკნელად სუბარი 2011 წლის ოქტომბერში შედგა, როდესაც ნეთანიაჰუმ ერდოღანს, ძლიერი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში დახმარება შესთავაზა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთსა და ისრელს შორის ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვის მიზეზი „თავისუფლების ფლოტილიაზე" მომხდრი ინციდენტი გახდა, როდესაც 2010 წელს იმ გემების დაკავებას, რომლებიც ღაზას ბლოკადის გარღვევას ცდილობდნენ, ცხრა პროპალესტინელი აქტივისტი დაიღუპა. ისინი ეროვნებით თურქები იყვნენ. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ანკარამ თელ-ავივთან დიპლომატიური ურთიერთობები მინიმუმადე დაიყვანა და მასთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა შეაჩერა, ასევე დაღუპულთა ოჯახების მიმართ კომპენსაციის გადახდა და ღაზას ბლოკადის მოხსნა მოითხოვა.

ამ ფონზე, „ჰამასის" ხელმძღვანელის ისმაინ ხანიას განცხადებით, თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი აპრილის შუა რიცხვებში „ისტორიული ოფიციალური ვიზიტით" ღაზას სექტორს ეწვევა.

ისარელსა და თურქეთს შორის „ისტორიული შერიგების" შემდეგ, როდესაც ისრაელის პრემიერმა თურქ კოლეგას „თავისუფლების ფლოტილიის" მოვლენებთან დაკავშირებით ბოდიში მოუხადა, ხანია „ჰამასის" სულიერი ლიდერის შეიხ აჰმედ იასინის დაღუპვიდან 9-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ მიტინგზე სიტყვით წარსდგა.

აღსანიშნავია, რომ ერდოღანის ღაზას სექტორში ვიზიტთან დაკავშირებით ინფორმაცია წინათაც არაერთხელ გავრცელებულა, თუმცა ეს ვიზიტები სხვადასხვა მიზეზების გამო არ შემდგარა.

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 25 მარტი**

06.30 დ/ფ „როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" 07.30 „ჩვენი დილა" (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.35 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი" — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ „უხილავი სამყარო" 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ „ᲮᲛᲐ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲐᲜ" 21.00 ტ/სერ „ᲛᲘᲛᲘᲜᲝ" 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 „კომენტატორი" 00.00 „საფარი" 00.30 მხ/ფ „ᲡᲘᲠᲘᲐᲜᲐ" (ტიტ.) (ჯ. კლუნი)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები" — „ბუდაპეშტი" 09.00 მხ/ფ „ᲔᲜᲓᲔ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ" (ა.ბანდერასი) 10.50 მხ/ფ „ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲗᲥᲕᲘᲗ ᲓᲘᲐᲮ" (ჯ.კერი) 12.30 მხ/ფ „ᲜᲘᲦᲐᲑᲘ" (ჯ.კერი) 14.10 დ/ფ „სიცოცხლე" 6 ნაწ. 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა" 6 ნაწ. 19.00 ტ/სერ „ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ"3 სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა" 00.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „ᲘᲦᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲐᲮᲚᲔ" 11.20 სერ. „ᲛᲐᲤᲘᲘᲡ ᲥᲕᲠᲘᲕᲘ" 13.00 სერ. „24 – 6" 14.40 კონცერტი: „ვია 75" 16.00 სერ. „ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ" 17.50 სერ. „ᲗᲘᲚᲘᲡᲛᲐ" 18.50 სერ. „ᲡᲐᲮᲘᲤᲐᲗᲝ ᲕᲜᲔᲑᲐ" 21.00 სერ. „ᲛᲐᲠᲢᲝᲡᲣᲚᲘ" 22.00 მხ/ფ „ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲛᲝᲠᲩᲔᲜᲔᲑᲐ" (ჯ.ბელუში) 00.40 მხ/ფ „ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲜᲔ: ᲐᲞᲝᲙᲐᲚᲘᲞᲡᲘ" (მ. იოვოვიჩი) 02.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘᲐ" 11.00 სერ. „ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲡᲙᲠᲣᲚᲘ" 18.45 სერ. „ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ" 20.05 სერ „ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ" 22.00 „საქართველოს ვარსკვლავი" 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „მონასტრის ბინადარნი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 დოკ/ფ „ექვთიმე" 13.30 კონცერტი-ანს.„შვიდკაცა" 14.30 დოკ/ფ „მებრძოლი ეკლესია" 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ" 17.30 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ᲘᲕᲐᲜᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 საქართველოს ისტორია 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საღვთისმსახურო წელიწადი 23.40 კვირიაკეს სიუჟეტი „საქართველოს ეკლესიის ისტორია" მეუფე ანანია 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 დოკ/ფ „ანთიმოზ ივერიელი" 01.45 ირაო

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 11.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - „არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 „ყოველდღიური აბები" 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი" 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6587

ევრო — 2,1457

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5202

100 რუსული რუბლი — 5,3623

## ამინდის პროგნოზი 25 მარტისთვის




# დავით მარსაგიშვილის ოქროს აკორდი



სპორტის სასახლეში მიმდინარე მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი დავით მარსაგიშვილი (84 კგ) ევროპის ჩემპიონი გახდა. ქართველმა ფალავანმა მთელი შეჯიბრება დამაჯერებლად ჩაატარა, ფინალური შეხვედრა კი სომხეთის ნაკრების წევრს მუსა მურთაზალიევს 2:0, 2:0 მოუგო და ოქროს მედალი დამსახურებულად მოიპოვა.

ამრიგად, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ევროპირველობა 2 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედლით დაასრულა და გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდა, მესამე უკრაინა იყო, ხოლო პირველი რუსეთის ნაკრები. დავით მარსაგიშვილი (84 კგ) შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაება და ავსტრიელ დომინიკ კლაუს პეტერსს ჯამში 14:0 მოუგო – 7:0, 7:0 გაიმარჯვა.

პირველი პერიოდის მოსაგებად 43 წამი დასჭირდა, მეორეში კი 50 წამი იკმარა და მესამე წრეში გავიდა, სადაც რუმინელ ანდრეი ვიქტორ ფრანცს შეხვდა. ქართველმა ფალავანმა რუმინელთან შედარებით ფრთხილად, ძალების დაზოგვით იჭიდავა და პირველი პერიოდი 1:0 მოიგო, მეორე პერიოდში მაღალი კლასი კიდევ ერთხელ გამოავლინა და ფრანცს 7:0 აჯობა.

ამ გამარჯვებით მარსაგიშვილი ნახევარფინალში გავიდა, სადაც რუსეთის ნაკრების ტიტულოვანი წევრი ანზორ ურიშევი ელოდა. ურიშევი ევროპის ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულია და 2011 წელს თავისთვის მეორე ევროპირველობის ფინალი ქართველ მოჭიდავეს მოუგო. მარსაგიშვილს თბილისურ ევროპირველობაზე რევანშის შანსი მიეცა და გამოიყენა კიდეც – დაძაბულ, ემოციებით სავსე შეხვედრაში, რომელმაც კულმინაციას მეორე პერიოდის მიწურულს მიაღწია 1:0, 4:2 გაიმარჯვა.

მარსაგიშვილმა პირველი პერიოდი გაფრთხილებით მოიგო, მეორე სეტში კი ურიშევს გდება გაუკეთა, რამაც მეტოქის მწვრთნელთა უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვია, თუმცა მსაჯებმა გადაწყვეტილება არ შეცვალეს და გამარჯვება ქართველ ფალავანს მიაკუთვნეს. ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ მომენტში რუსთა მხარე უტაქტობითაც გამოირჩეოდა და საჭიდაო ხალიჩაზე მათი მხრიდან ნასროლი მინერალური წყლების ბოთლები გადმოცვივდა.

ფინალში სომხეთის ნაკრების წევრს მუსა მურთაზალიევს დამაჯერებლად, ზედმეტი ნერვიულობის გარეშე მოუგო და ევროპის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გახდა. ჩემპიონები გამოვლინდნენ ქალთა ჭიდაობაშიც, სადაც 63-კილოგრამში ლატვიელმა ანასტასია გრიგორევამ იჩემპიონა, 72-ში კი რუსმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნატალია ვოროբევამ გაიმარჯვა.

ასევე გამოსარჩევია მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილის გამოსვლა. 18 წლის მოჭიდავემ ევროპირველობა დამაჯერებლად დაიწყო და პირველ ეტაპზე ბულგარელი ბობან დანოვი 1:0, 4:0 დაამარცხა, დიდად არც მეოთხედფინალში რუს მაგომედ გაჯი ნურასულოვთან გასჭირვებია, ვისაც დამაჯერებლად 3:2, 7:0 სძლია.

პეტრიაშვილი ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში უკაინელ ალენ ზასიევს დაეჭიდა, მონდომებითაც იჭიდავა, მაგრამ 0:1, 0:3 დამარცხდა და რეპეშაჟის ფინალში ჭიდაობის უფლებას დასჯერდა, სადაც გერმანელ ნიკ მატუჰინს აჯობა.

აქვე გეტყვით, რომ კიდევ ერთი მედალი გია ჩიხლაძემ მოიპოვა. 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში უკრაინის სახელით მოჭიდავე ქართველმა სპორტსმენმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

**დავით მარსაგიშვილი:**

– ასეთი მხარდაჭერის პირობებში მოგების გარდა, სხვა გზა არ მქონდა. ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვინც ასე მიჭერდა მხარს, ზურგს უკან საქართველოს ვგრძნობდი. ასეთი ქომაგობა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, მსგავსი ქომაგობა არსად მინახავს. გუშინ იმასაც კი ვფიქრობდი, აქ რა იჭიდავებს-მეთქი, მაგრამ ასეთი ქომაგობა ლეიბზე თურმე ბევრს ნიშნავს. ამ ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლა დავისახეთ მიზნად და საბედნიეროდ, მიზანსაც მივაღწიეთ.

ბოლოს დავძენთ, რომ საქართველოს ნაკრებმა 2-2 ოქროსა და ბრინჯაოს მედლების წყალობით, გუნდური მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ რუსეთის ნაკრებს ჩამორჩა.

მ. ჟ.

# შენგელიას ორმაგი დუბლი



თორნიკე შენგელიამ ორმაგი დუბლის გემო გაიხსენა. ნბა-ს განვითარების ლიგის მორიგ მატჩში „სპრინგფილდ არმორმა“ „მეინს“ უმასპინძლა და ქართველი ფორვარდის შედეგიანი გარჯის მიუხედავად დამარცხდა – 108:115.

შენგელიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 30 წუთი გაატარა. ქართველმა ფორვარდმა 18-დან 8 ორქულიანი, 5-დან 1 სამიანი და 10-დან 6 საჯარიმო ჩააგდო. შენგელიას მონაგარმა 23 ქულა, 11 მოხსნა, 5 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება შეადგინა, რაც სპრინგფილდელთაგან საუკეთესო შედეგია. „ბრუკლინიდან“ შენგელიასთან ერთად განათხოვრებულმა ტაიშონ ტეილორმა 36 წუთში 15 ქულა და 8 პასი მიითვალა, ხოლო დომინიკ ჯონსმა 21 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულ „მეინში“ ფანტასტიკურად ითამაშა ჯერომ ტეილორმა, რომელმაც 49 ქულა მოაგროვა და თავისიანებს პირადად მოაგებინა.

„სპრინგფილდს“ 17 მოგება 27 წაგება აქვს, აღმოსავლეთ დივიზიონში ბოლო ადგილზე იმყოფება და პლეი ოფში გასვლის შანსი ფაქტობრივად დაკარგული აქვს. მომდევნო შეხვედრას შენგელიას გუნდი 27 მარტს დივიზიონის ლიდერ „კანტონთან“ გამართავს.

მ. ჟ.

# სოფო ბედია ქველმოქმედებისთვის იმღერებს



ეკა ირემაშვილი

25 მარტს საქველმოქმედო საინიციატივო ჯგუფი „ადენესი“ სამედიცინო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საქველმოქმედო საღამოს ჩაატარებს, რომელშიც ცნობილი ქართველი მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას. საქველმოქმედო საღამო 6 წლის ნიკა ნედოსეკინის დასახმარებლად ჩატარდება, რომელსაც თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე აქვს და უკვე მესამე ოპერაციას საჭიროებს.

როგორც ღონისძიების კურატორი ნანუკა იმნაძე აღნიშნავს, საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ნიკო ბერიძე, სოფო ბედია, მარიტა როხვაძე, ვაჟა მანია, მარიკო ებრალიძე, ია ტომაში, ოთო ბერიშვილი, გია ნიკოლაძე, ჯაზ ბენდი, მარიამ ელიეშვილი, დები ზვიადაურები, მებაღე, ნიკა ნორიელი, ანსამბლი „ერულა“, მაკა მახარაძის საბალეტო დასი და კიდევ სხვა ცნობილი სახეები.

– 6 წლის ნიკა ნედოსეკინს ჩვენი დახმარება და თანადგომა სჭირდება. ამ საქველმოქმედო საღამოს ვატარებთ მის დასახმარებლად. სამწუხაროდ, ნიკას ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე აქვს და უკვე მესამე ოპერაციას საჭიროებს. ამ საღამოდან შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება ნიკას ანგარიშზე, – ამბობს ნანუკა იმნაძე.

# ასტროპროგნოზი

## 25 მარტისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

უჩვეულო დღეა

**ვერძი** – მოერიდეთ კონფლიქტსა და ამდაგვარ რამეებს. **კურო** – დაზოგეთ ფული და ენერგია. **ტყუპები** – შორს ნუ წახვალთ, სახლთან ახლოს იტრიალეთ. **კირჩხიბი** – კარგ ამავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **ლომი** – გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, გელით სხვა სიახლეც. **ქალწული** – თქვენი საქმე წინ მიდის, ფულიც გაქვთ. **სასწორი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **მშვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია, ასე უფრო გაგიმართლებთ. **თხის რქა** – ბევრი მუშაობის შემდეგ დასვენება არ გაწყენთ. **მერწყული** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **თევზები** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი

**თარაზულად:** 5. მუქთახორა; 6. კავკასიის კლდეზე მიჯაჭვული ბერძენი ტიტანი; 8. იაპონიაში წინკარში ფეხსაცმლის გასახდელი ადგილი; 10. ხეში ჩასმული სხვადასხვა ფერის ხის ფირფიტები; 11. ბრგე და ღონიერი კაცი; 13. უპირატესი მდგომარეობა; 16. ნიკელისა და სხვა მეტალის შენაერთი; 18. სახელმწიფო აზიაში; 19. თაღლითი; 21. ჩრდილო ამერიკის ზომიერი კლიმატური სარტყლის ველები; 22. ყურის გამოსაკვლევი სამედიცინო ხელსაწყო; 23. პროტესტანტების მღვდელი.

**შვეულად:** 1. სამხედრო საავადმყოფო; 2. ... რივზი; 3. ორგანული სასუქი; 4. ზღვის თევზი; 7. კატის ნაშიერი; 9. კურკოვანი ხილი; 12. უცხოეთის გემი, რომელიც პოლიციურ სამსახურს ეწევა ნავსადგურში; 14. ბერძნული სიმებიანი საკრავი; 15. თირკმლების ანთება; 17. საპასუხო დარტყმა ფარიკაობაში; 20. საკოსტიუმე ქსოვილი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




# ფოლკლორის ცენტრი ახალ პროექტს იწყებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ახალ პროექტს იწყებს. 25 მარტს ცენტრში შედგება ახალი წამოწყების „ქართული ფოლკლორი – XX საუკუნე“ პრეზენტაცია.

ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, 25 მარტიდან იწყება გრანდიოზული პროექტი, რომელიც მოიცავს მუსიკას, ქორეოგრაფიას, ზეპირსიტყვიერებას, სახვით და გამოყენებით ხელოვნებას.

– ამ ენციკლოპედიური ხასიათის პროექტს დასაბამი მისცა თვით ცენტრის ძველ არქივში დაგროვებულმა მასალებმა – მომღერლების, ლოტბარების, მოცეკვავეების, ქორეოგრაფების მიერ საკუთარი ხელით დაწერილმა ბიოგრაფიებმა, რაც, ფაქტობრივად დღესაც გრძელდება, – აღნიშნავს გიორგი უშიკიშვილი.

პროექტს მიესალმება და მხარს უჭერს კავსაძეთა მომღერალი გვარის შთამომავალი კახი კავსაძე. მამამისის – დათაშკა კავსაძის მონოგრაფია პირველად სწორედ ფოლკლორის ცენტრში დაიწერა. ასევე კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი – საქართველოში პირველი ლოტბარი ქალის, მარო თარხნიშვილის შვილიშვილი. ფოლკლორის ცენტრმა შეუსრულა მარო თრხნიშვილს ანდერძი: გამოსცა მისი ნამღერი და მარიკა კვალიაშვილის ჩაწერილი 50 ქართლ-კახური სიმღერა (მონოგრაფიითურთ).

მომავალ ენციკლოპედიაში სხვა მრავალ შემსრულებელთან და ლოტბართან ერთად საპატიო ადგილს დაიჭერს და სათანადოდო აისახება რამინ მიქაბერიძის ღვაწლი: სახელმწიფო ანსამბლისა და „რუსთავის“ უცვლელი სოლისტი, „მართვეს“ ერთ-ერთი დამაარსებელი.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ახალ პროექტებთან ერთად საზოგადოებას კვლავაც იწვევს ცენტრში, სადაც საანგარიშო მოხსენებები ეწყობა. ამჯერად ცენტრის საკონფერენციო დარბაზში ფოლკლორული წრეებისათვის, ზეპირსიტყვიერების სპეციალისტებისათვის, მკვლევრებისათვის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელმა ეთერ თათარაიძემ წარადგინა მიმართულების რვაწლიანი მუშაობის ანგარიში: ექსპედიციები, შეხვედრები, პრეზენტაციები, ფოლკლორის ეროვნული პრემია, ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამოები, გამოცემები და აუდიოდისკები, ვახტანგ კოტეტიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვიერეული.

დამსწრე საზოგადოებას ასევე საშუალება მიეცა, გაცნობოდა ცენტრის ძველსა და ახალ არქივს, არქივის ელექტრონულ პროგრამას, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული, თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული და ხელმისაწვდომია საარქივო საქმიანობის სფეროში. ასევე საინფორმაციო ცენტრის გამოყენებისა და სარგებლობის წესებს.

ფოლკლორის ცენტრმა ფოლკლორული ანსამბლის „შგარიდა“ საიუბილეო საღამო დმანისის კულტურის ცენტრში გამართა. 10 წლის იუბილეზე შედგა ანსამბლის პირველი აუდიოალბომის პრეზენტაციაც. საიუბილეო საღამო გახსნა დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ეკა ოქრიაშვილმა. ანსამბლი დალოცა, პირველი აუდიოალბომი მიულოცა და ამ რეგიონში ასეთი ანსამბლის არსებობის მნიშვნელობაზე ისაუბრა დმანისის სიონის ტაძრის წინამძღვარმა იღუმენმა დიონისემ (გვიმრაძემ). იუბილარებს მიესალმნენ, ანსამბლის რეპერტუარსა და დამსახურებაზე, მისი დამაარსებლისა და ხელმძღვანელის გურგენ გურჩიანის ღვაწლზე ისაუბრეს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი უშიკიშვილმა, ფოლკლორის ცენტრის მუსიკალური მიმართულების ხელმძღვანელმა ნანა ვალიშვილმა, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თემურ თეთრაძემ, დმანისის მუზეუმის დირექტორმა, ისტორიკოსმა და არქეოლოგმა ჯუმბერ კოპალიანმა. „შგარიდას“ საიუბილეო კონცერტში მონაწილეობდნენ დმანისის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „კიდევაც დაიზრდებიან“, ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ირინოლა“ (ხელმძღვანელი თამარ შარგიანი), კულტურის ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი (ქორეოგრაფები: თამარ ანდრიაშვილი და გოჩა კავლელიშვილი). კონცერტი კი დაასრულა ფოლკლორულმა ანსამბლმა „შგარიდამ“, რომელმაც შეასრულა უძველესი სვანური სარიტუალო სიმღერა-ჰიმნები და ფერხულები.